ვიორვობიდან – ვიორვობამდე

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 19 ნოემბერი, 2004 წელი. №269 (4998) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ პრემიერ-მინისტრი

საფრთხეს ვერ ვხედავ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გუშინ განაცხადა, გასულ კვირას იგი შეხვდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ინვესტორ კომპანიის „BP“-ის ხელმძღვანელობას, რომელმაც აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრს არაერთი საინტერესო გეგმა წარუდგინა.

– მე დღეს ვერანაირ საფუძველს და საფრთხეს ვერ ვხედავ, აღნიშნული პროექტი შეჩერდეს, მაგრამ თუ რაიმე პრობლემაა მილებთან დაკავშირებით და რაიმე ეჭვის საფუძველი არსებობს, ეს აუცილებლად უნდა შემოწმდეს, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

ქართველების ბინძური შეურაცხყოფა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ბესლანის ცნობილ ტრაქტში საქართველოს მოქალაქის მონაწილეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და აცხადებს, რომ „ბესლანის ტრაგედიამი ქართული კვალის ძიება ქართველების ბინძური შეურაცხყოფაა“.

– საქართველო ანტიტერორისტულ კამპანიაში ჩართული ქვეყანაა, რომელიც აქტიურად ებრძვის ტერორიზმს, – აღნიშნა პრემიერმა და აქვე დასძინა, რომ „აქამდე განხორციელებულ მასშტაბურ ტერაქტებში ძირითადად რუსეთის მოქალაქეები მონაწილეობდნენ“.

იხ. მე-2 გვ.

◎ ეს ერთი წელიწადი

საქართველო სამების ტაძრისკენ მიმავალ გზაზე

ვალერი ჯუღელის ფოტო.

ნომერში წაიკითხავთ:

ეპოქის შემქმნელი პრეზიდენტი, ამალის წევრები და „მატრიოშკები...“

რევოლუციური ფორიაქი აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩა, თუმცა არც იმის დრო მოსულა, ტაშით დავიხეთქოთ ხელისგულები და, საბედნიეროდ, არც იმისა – უმეძობამ შეგვიპყროს. განსჯის დრო კი ნამდვილად დადგა. მაინც რას და როგორ ფიქრობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნაზი არონია?

მე-3 გვ.

ხელხვავიანი შემოდგომა ჯემალ აჯიაშვილისა

რას ვერ წარმოიდგენდა ჯემალ აჯიაშვილი ორმოცი წლის წინათ და რა არის მისი ხვავი და ბარაქა.

მე-5 გვ.

პრივილეგირებული არასამთავრობოებიც არიან

რამ მისცა ამის თქმის საფუძველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს, საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნისტიის“ წევრს გიორგი თევზაძეს? წაიკითხეთ მისი ინტერვიუ.

მე-6 გვ.

◎ აბჭარი

საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის პირველი ლეგიონერია

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო სამხედრო-პატრიოტული ალიანსის – სპა, „საქართველოს ლეგიონის“ პრესსამსახურის წერილი, რომელშიც გვთხოვს, რომ მკითხველს ვაცნობოთ ლეგიონის გამგეობის გაფართოებული სხდომის ერთსულოვანი გადაწყვეტილება, – ამიერიდან ქვეყნის პრეზიდენტი, საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი პირველ ლეგიონერად არის დასახელებული.

– ჩვენი გამგეობის ასეთი გადაწყვეტილება შემთხვევითი როდია, – ვეითხრა ახალგაზრდული პატრიოტული ორგანიზაციის თავკაცმა, პოლკოვნიკმა **თეიმურაზ თუმანიშვილმა,** – საქართველოს ლეგიონერთა მთელი პირადი შემადგენლობა მხარს უჭერს ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის პოლიტიკურ კურსს, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და გაპარტახებული ეკონომიკის აღორძინებისკენ. სწორედ ამ მიზნით, სულ რაღაც წელიწადნახევარში, საქართველოს ლეგიონის შემადგენლობაში გავაერთიანეთ 150-ზე მეტი ობოლი, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული მოზარდი. ამ ხნის განმავლობაში საკუთარი მონდომებითა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მხარდაჭერით, გავმართეთ ორი სამხედრო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი შეკრება-ბანაკი, (ამის შესახებ ჩვენი გაზეთი გამოწვლილვით წერდა. **რედ.**), ჩამოვაყალიბეთ ნორჩ ლეგიონერთა ორი ოცეული, რომელიც სრულად უპასუხებს ნატოს სტანდარტებს და მზადაა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის. ლეგიონერთა ერთი ჯგუფი უკვე ჩარიცხულია ელიტარულ სამხედრო ქვედანაყოფებში, ხოლო რამდენიმე მათგანი კადეტთა კორპუსის კურსანტი გახდა. ამის გარდა, პროფესიონალ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით, ჩვენი აღსაზრდელები ეუფლებიან სხვადასხვა სამოქალაქო პროფესიებს, რომელსაც ისინი მომავალში გამოიყენებენ. კერძოდ, მომავალ მშენებელთა ჯგუფი მონაწილეობს თბილისის გამარჯვების პარკში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალური კომპლექსის აღდგენა-რესტავრაციაში. ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია და 2005 წლის 9 მაისისთვის დასრულდება.

– რაც შეეხება გამგეობის გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებას, – თქვა საუბრის ბოლოს პოლკოვნიკმა თეიმურაზ თუმანიშვილმა, – ჩვენი პირადი შემადგენლობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ქვეყნის პირველი ლეგიონერის რანგში, ევროპის მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელთა მსგავსად, აქტიურად ჩაერთვება ლეგიონის საქმიანობაში და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, რომელსაც საქართველოს მომავალი ეკუთვნის.

* * *

ბუნებრივია, ლეგიონერებს, რწმენა და იმედი აუხდებათ, რადგანაც, ქვეყნის პრეზიდენტისთვის ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და საქვეყნოდ აცხადებს, რომ მისი მცირეწლოვანი ვაჟი, როცა ამის დრო დადგება, აუცილებლად იმსახურებს ქართულ ჯარში.

სპარტაკ ძოგულია.

◎ ინფორმაცია

უნივერსიტეტის ღირსება – ივანე ჯავახიშვილი

დიდი ქართველი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 64 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით სტუდენტთა და ასპირანტთა ლიგის წარმომადგენლებმა გუშინ ჯავახიშვილის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

ლიგაში გაერთიანებულმა სტუდენტებმა ერთხელ კიდევ დაგმეს უმაღლესი განათლების რეფორმის შესახებ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი. მათ ჯავახიშვილის საფლავთან უნივერსიტეტის ღირსების დაცვისა და მისი ავტონომიურობის შენარჩუნების პირობა დადეს.

ევროსაბჭო გვეხმარება

ევროსაბჭო საქართველოს სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრაში დაეხმარება. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ევროსაბჭოს ელჩების მონიტორინგის ჯგუფს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟან კლოდ ჟოზეფმა განუცხადა, ევროსაბჭო საქართველოს შიდა საკითხებში ჩარევას არ აპირებს, თუმცა მზად არის, სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრაში დაეხმაროს.

დევნილთა რეგისტრაცია 1 დეკემბერს დაიწყება

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური დახმარებით აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა რეგისტრაცია მიმდინარე წლის 1 დეკემბერს დაიწყება და 2005 წლის აპრილში დასრულდება.

ამის შესახებ გუშინ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ განაცხადა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ დევნილთა რეგისტრაცია მიმდინარე წლის მაისსექტემბერში უკვე ჩაატარა, აღრიცხვაანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დევნილთა რეგისტრაცია კიდევ ერთხელ ჩატარდება.

ასტემიროვას განმარტებით, გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური დახმარებით აღრიცხვის ჩასატარებლად 6 ჯგუფი მომზადდა, რომლებიც 1 დეკემბრიდან შრომატევადი სამუშაოს შესრულებას შეუდგებიან. მისივე თქმით, ეს სამუშაო 6 წლის ასაკიდან ყველა დევნილის სურათის გადაღებასაც მოიცავს.

არძინბამ ვიცე-პრეზიდენტი არშია გადააყენა

თვითმპყრობლებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს ვალადისლავ არძინბას აღარც ვიცე-პრეზიდენტი არშბა ემორჩილება. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ ოპოზიციასთან თანამშრომლობის საბაბით არძინბამ ვალერი არშბას თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებას მოაწერა ხელი.

– აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია პრეზიდენტის მიერ ვიცე-

პრეზიდენტის გათავისუფლებას არ ითვალისწინებს. ქვეყნის პრეზიდენტისადმი პატივისცემის მიუხედავად, კონსტიტუციის დარღვევას არ ვაპირებ და უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოვალეობის შესრულებას განვაგრძობ, – განუცხადა ინტერპრესს არშბამ.

ინტერ-პრესი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„მოსკოვის კაცმა“ აშკარა დამარცხება განიცადა

ზურაბ ჟვანიამ ინტერვიუ მისცა REGNUM საინფორმაციო სააგენტოს

როგორ აღიქვამენ ყოველივე ამას თბილისში? რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ სიტუაციამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესზე? როგორია ამის თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოსაზრება?

აფხაზეთში რეალურად შექმნილმა ვითარებამ, სამწუხაროდ, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს მდგომარეობა და იგი მოწმობს იქ პოლიტიკური კრიზისის განვითარებას. მაგრამ, ჩვენ ყველაზე მეტად, ბუნებრივია, შეშფოთებული ვართ იმით, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში ასე აშკარად ერევა რუსეთის მხარე. არ დაგიმალავთ, ძალზე გამიკვირდა და შეგვაშფოთა იმან, რომ კენჭისყრის დასრულებისთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთში გამართული ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის არჩევნები დაახასიათა როგორც „სამართლიანი და დემოკრატიული“. რა სამართლიან არჩევნებზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ აფხაზეთიდან დევნილ 300 ათას ადამიანს, ეს კი იქაური მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტია, არ ჰქონდა ხმის უფლება. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა უფლებები დარღვეულია, ცხოვრება კი გაუკუღმართებული. არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთ არჩევნებს სერიოზულად მოეკიდოს ვინმე.

არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს ისიც, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას არ დაუმალავს თავისი სიმპათიები თუ ანტიპათიები, წინასწარ განსაზღვრა მისთვის სასურველი კანდიდატურა და მასზე სავსებით გარკვეულ იმედებს ამყარებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის მომავალ ხელმძღვანელად ამ კანდიდატის „გაყვანით“ აპირებდნენ აფხაზეთში, და მაშასადამე, საქართველოშიც მიზანმიმართული პოლიტიკური კურსის განხორციელებას. თუმცა, „მოსკოვის კაცმა“ აშკარა დამარცხება განიცადა, რის შემდეგაც, მოსკოვი ყველას დასანახად კვლავ უბოდიშოდ ჩაერია ამ პროცესში და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს ეს, ორივე კანდიდატი გამოიძახა „საქმის გასარჩევად“ რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოში. კონსულტაციებს საკმაო დრო დაეთმო, მაგრამ მათ წარმატებულს, ალბათ, ვერ ვუწოდებთ, თუ მოვლენათა შემდგომ განვითარებას გავითვალისწინებთ. მე ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ აფხაზეთში არჩევნების გამართვის შემდეგ თითქმის უკვე ორი თვე გავიდა, ამ მხარის ხელმძღვანელობაში კი ჯერჯერობით არავინ მოსულა. პროცესს ხელოვნურად აჭიანურებენ, თანაც ეს არ ხდება აფხაზეთში სტაბილურობის დამყარების ინტერესებიდან გამომდინარე. სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი ჯერჯერობით არ ჩანს, მაშასადამე, არ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელთანაც შეიძლებოდა მოლაპარაკების გამართვა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მეგობარი ქვეყნების მონაწილეობით მისი მოწესრიგების პროცესის განახლების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინტერპანორამა

ხუთი ადამიანი ემსხვერპლა გრიგალს პოლონეთში

პარშავაში დაღუპულთა შორის არის ექვსი თვის ბავშვიც. იგი იმ საბავშვო ეტლში იპოვეს, რომელსაც ხე დაეცა. გრიგალის დროს ქარის სიჩქარემ საათში 126 კმ-ს მიაღწია. მეტეოროლოგთა პროგნოზით პოლონეთის ბევრ ქალაქში გრიგალს თოვლის ქარბუქი შეცვლის.



ადამიანი სირბილის უნარისა და დიდი უპანალის წყალობით იშვა მაიმუნისგან

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სწორედ სირბილის უნარმა შექმნა ადამიანი ისეთად, როგორც იგი არის დღეს. სირბილის საშუალებას კი იძლეოდა უფრო დიდი უკანალი, ვიდრე მაიმუნს აქვს. სწორედ უკანალი იცავს სხეულის წონასწორობას სირბილში.

◎ ყურადღება!

დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“

იპითხეთ განახლებული, ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის ყველაზე სანდო, მართალი, ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!

ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ: „საქპრესა“ – 99-30-54; „მაცნე“ – 37-47-49; „უწყებანი“ – 93-64-72; „ექსპრესი“ – 96-23-11; „პლანეტა-ფორტე“ – 93-38-73; „ინფოსერვისი“ – 34-09-35; „თბილისის მიმომხილველი“ – 98-74-95.

ხელმოწერის ფასები:

1 თვით – 13 ლარი;
3 თვით – 39 ლარი;
6 თვით – 78 ლარი;
ერთი წლით – 156 ლარი.

გაზეთის გამოწერა და ხელშეკრულების გაფორმება, ოცი პროცენტის ფასდაკლებით, შეგიძლიათ, აგრეთვე რედაქციაში, კოსტავას ქ. №14, 93-26-99, 99-73-24 ინდექსი – 66434.

⊙ პრემიერ-მინისტრი

ხმაური ცარიელ ადგილზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ფინანსთა სამინისტროს ირგვლივ არსებულ აჟიოტაჟს „ხელოვნურად შექმნილს" უწოდებს.

— ეჭვგარეშეა, რომ ფინანსთა სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამინისტროა, მინისტრი ნოღაიდელი კი — ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწე, — განაცხადა ჟვანიამ ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას.

გავრცელებული დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, ორი დღის წინათ ფინანსთა სამინისტროში შემოწმების ჩასატარებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ. თუმცა ეს ინფორმაცია არც შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და არც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა არ დაადასტურეს.

— არავითარი ძალოვანები სამინისტროში არ შესულან. ძალოვანები კონკრეტულ საკითხს სწავლობენ, რომელიც საბანკო საქმიანობას ეხება, — აღნიშნა ჟვანიამ და დასძინა, რომ „ხმაური ცარიელ ადგილზეა ატეხილი".

⊙ სიახლე

დევნილებს პლასტიკური ბარათები დაურიგდებათ

დევნილთა და განსახლების სამინისტროს (მინისტრი ეთერ ასტემიროვა) თითქმის 11-თვიანი თანამშრომლობა „სახალხო ბანკთან" (ბანკის უფროსი გიორგი გოგუაძე) გუშინ საქველმოქმედო აქციით დაგვირგვინდა — ბანკმა სამინისტროს საჩუქრად ოთხი კომპიუტერი (ინტერნეტის ქსელში ჩართვით) გადასცა.

— ეს არის სამინისტროსათვის უაღრესად დიდი საჩუქარი, რომელიც ხელს შეუწყობს დევნილთა პრობლემების მოგვარებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, მათთვის თანხების დროულად მიწოდებას გულისხმობს, — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ეთერ ასტემიროვამ.

სახალხო ბანკისა და დევნილთა და განსახლების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, 2005 წლის აპრილისთვის დევნილთა აღრიცხვიანობის პრობლემა ქვეყანაში საბოლოოდ მოწესრიგდება. ამასთან დევნილებს დაურიგდებათ პლასტიკური ბარათები, რითაც მათ საშუალება მიეცემათ თავიანთი კუთვნილი თანხა „სახალხო ბანკის" ოფისების მეშვეობით საქართველოს ნებისმიერ რაიონში აიღონ.

— ჩვენი მიზანია, დევნილთა მომსახურება აბსოლუტურად გამჭვირვალე, კომფორტული და თითოეული დევნილისთვის მისაღები იყოს, — აღნიშნა „სახალხო ბანკის" უფროსმა გიორგი გოგუაძემ. პლასტიკურ ბარათებზე გადასვლით, რაც მთავარია, „მკვდარი სულების" ყბადაღებული თემა ერთხელ და სამუდამოდ გამოირიცხება.

⊙ ცხელი თემა

ვინ უარყოფდა უნივერსიტეტის ავტონომიას — „გარემონტებული" კომუნისტები თუ „დამჯერი ბავშვი"?

კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ" პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გასატანად უკვე მზად იყო, მაგრამ განათლების კომიტეტმა საზოგადოების მძაფრი ინტერესის დასაკმაყოფილებლად მისი მეორედ მოსმენა გადაწყვიტა. ნოდარ გრიგალაშვილის ოთახში კომიტეტის წევრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და განათლების მინისტრი შეიკრიბნენ. კანონპროექტზე მუშაობა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, მაგრამ სანამ მუხლობრივად განხილვას შეუდგებოდნენ, მედიის წარმომადგენლებისთვის სხდომის პირველი ღია ნაწილი გაიმართა. კანონპროექტი, რომელსაც მომდევნო კვირას პარლამენტის სხდომაზე გაიტანენ, განათლების სამინისტროსა და ვასილ მაღლაფერიძის კანონპროექტების შეჯერებულ ვარიანტს წარმოადგენს.

— ის მუხლები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-თანამშრომელთა გაღიზიანებას იწვევდა, ამოღებულია. ლაპარაკია 65 წელს გადაცილებულ პროფესურაზე, დაიკავებენ თუ არა ისინი კათედრის გამგის თანამდებობებს, გააგრძელებენ თუ არა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ასე შემდეგ. ეს პროექტი მომდევნო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში არ ეხება აკადემიურ თანამდებობებს. ასეთია პრეზიდენტის პოზიციაც. გაღიზიანება გამოიწვია იმანაც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში „გარედან" უნდა დანიშნულიყვნენ დროებითი მმართველები. როდესაც ახალი კანონპროექტის საფუძველზე ახალი სტრუქტურებია ასარჩევი, ბუნებრივია, ვინმემ უნდა ითავოს ამ პროცესის ორგანიზება. მაგრამ რაკი ამას შეეწინააღმდეგნენ, საკითხი მოვხსენით. თუმცა გარწმუნებთ, ეს გარკვეულ სირთულეებს გამოიწვევს. საზოგადოების ყურადღება დეტალებზე, ორგანიზაციულ საკითხებზე იყო გადმოტანილი, ფუნდამენტური პრინციპები კი, სამწუხაროდ, ჩრდილში დარჩა. არადა, ამ პროექტის ღირსება სწორედ ეს, განათლების სისტემის ძირფესვიანად შემცველი პრინციპებია. ჩვენი რეფორმისთვის მეორეხარისხოვანია, ვინ იქნება სკოლის დირექტორი თუ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი. მთავარია, რომ იქმნება ის სისტემა, რომელმაც ევროპის არეალში უნდა გაგვიყვანოს, — განაცხადა ნოდარ გრიგალაშვილმა.

კანონპროექტს, რომელიც განათლების სამინისტრომ წარუდგინა საზოგადოებას, ანტიქართულს, ანტიეროვნულს უწოდებენ. ბატონმა ნოდარმა ამ ბრალდების საპასუხოდ ერთი წინადადება იკმარა: — ეს არის პროექტი განათლების სისტემის შესახებ, რომელიც, ვიმეორებ, ევროპაში გასვლას გვთავაზობს. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, კანონპროექტი უნივერსიტეტის უკეთ დაფინანსებასა და მეტ ავტონომიას ითვალისწინებს. იგი თურმე ელოდა, რომ საზოგადოება ხოტბას შეასხამდა ხელისუფლებას ამ კანონპროექტის გამო, რადგან ეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ოცნების ახდენაა.

— წარმოდგენილი კანონპროექტი უნივერსიტეტს იმ ნამდვილ ავტონომიას ანიჭებს, რასაც აქამდე ვერც ერთ დროში მიაღწია უმაღლესმა სასწავლებელმა. „გარემონტებულმა" კომუნისტებმა, რომლებიც ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში იყვნენ ხელისუფლებაში, უნივერსიტეტი ისე გაათავისუფლეს, როგორც ალექსანდრემ — ყმა გლეხი (მიწა — ბატონს, თავისუფლება — გლეხს). უნივერსიტეტი კაპიკებსაც ვერ გაანაწილებდა, დაფინანსების საკითხი მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო. რექტორის მოხსნა ნებისმიერ დროს შეეძლოთ პრეზიდენტსა და განათლების მინისტრს პედაგოგისათვის შეუფერებელი, უღირსი საქციელის გამო. ასეთ ავტონომიას იცავდა ჩვენი ზოგიერთი ღრმადგანათლებული კოლეგა.

შეჯერებული კანონპროექტის მიხედვით, ფაკულტეტებიდან პროფესორების შემადგენლობით აირჩევა აკადემიური საბჭო, რომელიც, თავის მხრივ, აირჩევს რექტორს. თუ ვინმეს „გარედან" მოესურვება თავისი კანდიდატის გაყვანა, თითქოს გზა მოეკვეთება. კანდიდატი იმ უნივერსიტეტის პროფესორი უნდა იყოს, იქვე უნდა მუშაობდეს და უნივერსიტეტმა აკადემიურ საბჭოში უნდა აირჩიოს. მოკლედ, აუცილებლად უნივერსიტეტელი უნდა იყოს. ბატონი ნოდარის ამ განმარტებას კომიტეტის წევრის, „მემარჯვენე" მანანა ნაჭყებიას ირონიული რეპლიკა მოჰყვა — ორი თვით ადრე, ბატონო?

იმას, რომ ახალი კანონპროექტი შერბილებულია, მანანა ნაჭყებია განათლების მინისტრის ან ნოდარ გრიგალაშვილის კი არა, საზოგადოების დამსახურებად მიიჩნევს. მისი თქმით, ცვლილებების შეტანა საზოგადოების მძაფრი კრიტიკის წინააღმდეგობის გამო გახდა აუცილებელი. კახა ლომაია, უბრალოდ, „დამჯერი ბავშვი" აღმოჩნდა. კანონპროექტის პირველი ვარიანტის მიხედვით კი განათლების მინისტრს შეეძლო, დაეთხოვა რექტორიც, აკადემიური საბჭოც, ანუ „გაერეკა" უნივერსიტეტი.

კომიტეტის თავმჯდომარემ ნაჭყებიას სიტყვები სიმართლესთან შეუსაბამოდ გამოაცხადა. კანონპროექტში საზოგადოების, კერძოდ, სტუდენტების ზემოქმედების შედეგად არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, მათ შეაჯერეს განათლების სამინისტროსა და მაღლაფერიძის კანონპროექტები. ამ უკანასკნელში კი არ იყო ის მუხლები, რომლებმაც საზოგადოების მღელვარება გამოიწვია.

ამის შემდეგ სხდომა დაიხურა. რამდენიმე წუთით გამოხმობილმა მანანა ნაჭყებიამ, სხვათა შორის, ერთ ალოგიკურობასაც გაუსვა ხაზი.

— ავტონომიაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან რექტორს საპატიო თანამდებობის გარდა არაფერი რჩება, უფლებები ჩამორთმეული აქვს. პროექტში განსაზღვრულია, ვინ შეიძლება იყოს რექტორობის კანდიდატი, პრაქტიკულად, კი საწინააღმდეგო კეთდება. პრეზიდენტმა ორი თვით ადრე მიიყვანა უნივერსიტეტში და პრორექტორად დანიშნა ქალბატონი, რომელსაც არც უსწავლია იქ, მუშაობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს ხომ ალოგიკურია?

განათლების მინისტრმა ადრე დატოვა კომიტეტის სხდომა. მანანა ნაჭყებიას შენიშვნებს კახა ლომაიამ მოკლედ უპასუხა:

— სამწუხაროდ, ოპოზიციას ემოციურის გარდა არც ერთი რეალური არგუმენტი არ აქვს კანონპროექტთან დაკავშირებით.

რაც შეეხება „არაუნივერსიტეტელ" რუსუდან ლორთქიფანიძეს, კანონპროექტში ჩადებული მუხლი მასზეც უნდა გავრცელდეს, მაგრამ კახა ლომაიამ ამის შესახებ კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა — კანონის ინტერპრეტაციის უფლება არ მაქვსო.

პარლამენტის ის სხდომა, რომელზეც კანონპროექტი უნდა განიხილონ, როგორც ჩანს, საკმაოდ მღელვარედ წარიმართება.

რუსუდან გახარია.

⊙ ინფორმაცია

სასჯელი უდისციპლინო დეპუტატთათვის

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან, შესაძლოა, უმრავლესობის წარმომადგენლები ნიკა რურუა, რომან კუსიანი, ქეთევან მახარაშვილი, პაატა ლეჟავა და ვასილ მაღლაფერიძე გარიცხონ.

ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა გუშინ მას შემდეგ განაცხადა, რაც 11 საათისთვის დანიშნული სხდომა ერთი საათის განმავლობაში კვორუმის არარსებობის გამო ვერ გახსნა.

— ამდენი დაგვიანება დაუშვებელია. „ნაციონალ-დემოკრატების" ფრაქციაში აუცილებლად დავსამ საკითხს, უმრავლესობამ ეს ხუთი დეპუტატი კომიტეტის შემადგენლობიდან გაიწვიოს და სხვა წევრები მოავლინოს, — აღნიშნა მან.

* * *

დეპუტატი რომან კუსიანი იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს დაუპირისპირდა. კუსიანის გაღიზიანება ბეჟაშვილის მიერ უდისციპლინობის მოტივით კომიტეტიდან გასარიცხ დეპუტატთა შორის მისი გვარის დასახელებამ გამოიწვია.

როგორც კუსიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, მასთან პირად საუბარში თავად ბეჟაშვილმა ეს ფაქტი უარყო.

კანონპროექტი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" განიხილეს

„საარჩევნო კოდექსში" შესატანი ცვლილებებისა და დამატებების კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო, გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" განიხილეს. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებით გამართულ „მრგვალ მაგიდასთან" პოზიციები საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოხატეს.

არასამთავრობო სექტორი მოითხოვს პარლამენტისგან, ცვლილებების პროექტის დაჩქარებულად მიღება შეწყდეს და კანონპროექტი ფართო და ხანგრძლივი დისკუსიის საგნად იქცეს.

„საარჩევნო კოდექსის" ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით მსჯელობა დღეს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გაგრძელდება.

ინტერ-პრესი.

⊙ კანონმდებლები

ენერგომამებმა თუ არ გაგვწირეს

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის (თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი) სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.

— ენერგეტიკა ისეა დანგრეული, ექსპერტების დასკვნით, ორ წელიწადში არც ერთი ჰესი არ იარსებებდა, ჩვენ შევაჩერეთ ნგრევა და რეალური საფუძველი ჩავუყარეთ იმას, რომ ამ დარგს მომავალი გაუჩნდეს, — განაცხადა მინისტრმა. დეპუტატები ეთანხმებიან ენერგეტიკის მინისტრს, რომ მას მეტად მძიმე მემკვიდრეობა ერგო, მიუხედავად ამისა მისგან და მისი გუნდისგან უფრო ქმედით ღონისძიებებს ითხოვენ. გუშინ პარლამენტში ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ მწვავე დამოკიდებულება აშკარად იგრძნობოდა. დამერწმუნეთ, საქართველოში ერთი ადამიანიც არ არსებობს, ვისაც ჩემზე მეტად უნდოდეს მთელი საქართველოს განათება, გულწრფელად აღიარა ნიკა გილაურმა. დეპუტატების აზრით, ენერგოსისტემაში რეფორმა არასწორად განხორციელდა. დრომ აჩვენა, რომ საჭიროა ენერგოკომპანიების არა დაქუცმაცება, არამედ გამსხვილება. პარლამენტარები ითხოვენ, სადისტრიბუციო კომპანიის მიერ გაწეული ანგარიშიც მოისმინონ, ასევე, გაირკვეს საბითუმო ბაზრის საკითხი კანონმდებლობასთან მიმართებაში როგორი იქნება, კანონმდებლობით განისაზღვროს და გაიზარდოს ენერგეტიკის სამინისტროს მაკოორდინებელი როლი (როგორც სხდომაზე ითქვა, აღნიშნულ სამინისტროს ძალიან შეზღუდული უფლებები გააჩნია).

თუ სასწრაფოდ ქმედითი ღონისძიებები არ გატარდა, ელექტროენერგიის მომარაგების თვალსაზრისით ეს ზამთარი ძალიან მძიმე იქნება, — ასეთ პესიმისტურ დასკვნებს აკეთებენ კომიტეტის სხდომაზე დარგის სპეციალისტები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ენერგომამები მთლად არ გაგვწირავენ.

ჯერჯერობით გარკვეული არ არის მომავალ პლენარულ სხდომაზე „საგადასახადო კოდექსის" პროექტის შემდგომ განხილვას დაიწყებენ თუ არა. საქმე ის გახლავთ, რომ პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული პროექტის წერილობითი ვარიანტი სხდომის სტენოგრამასთან ჯერ არ შეჯერებულა და, შესაბამისად, პირველი მოსმენით მიღებული პროექტის ვერსიაც მზად არ არის.

ზურაბ ტყემალაძე, „მემარჯვენე ოპოზიცია": „კომიტეტებისთვის ჯერ კიდევ უცნობია პარლამენტმა პირველი მოსმენით საგადასახადო კოდექსის რა ვარიანტი მიიღო. ჩვენ სხდომის სტენოგრამა გამოვითხოვეთ და პარლამენტში არსებულ ვარიანტს შევადარეთ. დავრწმუნდით, რომ უამრავი საკითხი, რომელიც პარლამენტის სხდომაზე შევათანხმეთ, გათვალისწინებული არ არის".

ზურაბ ტყემალაძე ამ ფაქტით ძალიან უკმაყოფილოა. საგადასახადო კოდექსის შემდგომი განხილვა პარლამენტში ალბათ, უხმაუროდ არ ჩაივლის. ოპონენტების აზრით, ახალი საგადასახადო კოდექსი შეიცვლება, ეკონომიკაში რაიმე ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. მოგეხსენებათ, ახალი საგადასახადო კოდექსით, არსებული ოცდაერთი გადასახადიდან რჩება ცხრა — საშემოსავლო, სოციალური, მოგების, დამატებითი ღირებულების, ქონების, აქციზის, სათამაშო ბიზნესის, მიწისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადები. იმავდროულად სოციალური, დამატებითი ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები მცირდება. ოპონენტების აზრით, ცალკეული შემცირებული საგადასახადო განაკვეთები საერთო ჯამში ახალს არაფერს იძლევა. მათი თქმით, თუ მოქალაქე დავუშვათ, 21 გადასახადში 50 ლარს იხდის, მომავალში იმავე თანხას 9 გადასახადში გადაიხდის. მათ ამ ეჭვებს კანონპროექტის ავტორები არ იზიარებენ.

მოგეხსენებათ, ბიუჯეტის დამტკიცება და საგადასახადო კოდექსის მიღება დეკემბრის ბოლომდე უნდა მოხდეს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა 2005 წელს 2 მილიარდ 106 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს. მთავრობის მიერ მომზადებულ პროექტში პრიორიტეტულია თავდაცვის სფეროსა და სამართალდამცავი უწყებების უხვად დაფინანსება. ამასთან, მთავრობა საპენსიო-სახელფასო დავალიანების გასტუმრებასა და სიღატაკის დაძლევას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემთხვევაში, სადაც ყურადღება გამახვილებულია გადასახადების ლიბერალიზაციაზე, შემოსავლების 20-პროცენტიანი ზრდა მაინც შესაძლებელია. კანონპროექტის ავტორები დარწმუნებული არიან, რომ მომავალ წელს ქვეყნის მთავარი ქისა ძირითადად ფისკალური უწყებებიდან შეივსება.

მზია გელენავა.

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„მოსკოვის კაცმა" აშკარა დამარცხება განიცადა

(პირველი გვერდიდან)

სერგეი ბაღაფშის მომხრეების მიერ სამთავრობო შენობათა დაკავება გახდა საპასუხო ნაბიჯი ოპოზიციის მოქმედებაზე, რომელიც, ყოველმხრივ ცდილობს „გაიყვანოს" რაულ ყაჯიმბა პრეზიდენტად. ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ გაკეთებული არჩევანის მიუხედავად, შესაძლებელია, რომ სიტუაცია აღარ დაემორჩილოს კონტროლს?

მოვლენათა საშიში განვითარების წინასწარ განჭვრეტა არ იყო რთული არც მაშინ, და, მით უმეტეს — დღეს, როცა აფხაზეთის საზოგადოებრიობას, ამომრჩევლებს თავს მოახვიეს მთელი რიგი უხეში გადაწყვეტილებები, უგულებელყვეს მათი ნება. ხომ არ შეიძლება, რომ ერთი მხარე, რომელსაც ამომრჩევლებმა უპირატესობა მიანიჭეს, მშვიდად ადევნებდეს თვალყურს, თუ როგორ ილახება მისი უფლებები და როგორ ცდილობს მოწინააღმდეგე მხარე ყოვლად უსაფუძვლოდ დააყენოს ეჭვქვეშ მისი წარმატება. დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება ის სიტუაცია, როცა ორი კანდიდატი აცხადებს თავს გამარჯვებულად. ჩვენ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვაგვარ მიდგომასთან. ერთი ასეთი მიდგომის გაგება შესაძლებელია, მეორე კი იწვევს გაოცებას და დიდ შეშფოთებას, თანაც, უწინარეს ყოვლისა, თვით აფხაზეთში. იგივე შეიძლება ითქვას ყოველივე იმის თაობაზეც, რაც ამ დღეებში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა: ამჟამად შექმნილი სადავო, ზოგისთვის კი აბსოლუტურად უდავო სიტუაცია შეიძლება სამართლებრივი გზით მოგვარდეს იმ ქალაქში, რომელიც ითვლება აფხაზეთის ცენტრად და არა სადღაც ორი ათასი კილომეტრის დაშორებით.

თუ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა რატომ ცდილობს იმ ძალების დახმარებას, რომლებიც ყველაზე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს კურსს, კონფლიქტის მოგვარებისათვის კონკრეტულად გამიზნული მოლაპარაკების განახლებას რომ ითვალისწინებს?

ამ კითხვას პასუხი უნდა გასცენ რუსეთის მხარის წარმომადგენლებმა. ისინი იჩენენ ინტერესს პრობლემისადმი და თვითონ უნდა დაასაბუთონ, თუ რამდენად გონივრული და ლოგიკურია მათი მოქმედება. მე კი შემიძლია ვთქვა, რომ არ ვართ კმაყოფილი რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობით. მაგრამ არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, მწამს, რომ თბილისი და მოსკოვი ადრე თუ გვიან მიაღწევენ პოზიციების დაახლოებისა და თანამშრომლობის მისაღებ და სასარგებლო დონეს. ამისთვის საჭიროა საერთო ძალისხმევა. ჩვენ ვალდებული ვართ დისკუსია ურთიერთობის მთელი პრობლემატიკის შესახებ გადავიყვანოთ ნორმალურ, კონსტრუქციულ კალაპოტში, მივანიჭოთ მას ისეთი ფორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვნახოთ სწორი გზა შეთანხმებული მოქმედებისათვის და ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის. უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვითანამშრომლოთ ნაცვლად იმისა, რომ ვცადოთ ერთმანეთის „გამოჭერა სიტყვაზე" ან ერთმანეთის მიმართ გამოვთქვათ რაიმე საყვედურები. დროის დაკარგვა არ შეიძლება. ეს ეხება აგრეთვე მუშაობას დიდ ყოვლისმომცველ ხელშეკრულებაზე, რომელზეც საკმაო იმედებს ვამყარებთ. იმედი გვაქვს, რომ ეს დოკუმენტი გახდება მნიშვნელოვანი ნაბიჯი და მისცემს სტიმულს ჩვენს ქვეყნებს შორის ჭეშმარიტად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. არ არის გამორიცხული, რომ უკვე იანვრის დამლევისათვის შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების მომზადება, შემდეგ კი მისი ხელმოწერის ჯერიც დადგება.

ასეთი დამაიმედებელი პოლიტიკური აქციისათვის საჭიროა არსებობდეს ცნობილი წანამძღვრები, მაგრამ ვინ უწყის, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები იმავე აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში?

რა თქმა უნდა, ყოველივე ის, რასაც ჩვენ ამჟამად ვხედავთ აფხაზეთში, ვერ უწყობს ხელს მოლაპარაკების პროცესის გააქტიურებას ვერც სოხუმთან და ვერც მოსკოვთან. აფხაზეთში გამართულ არჩევნებს, რომელსაც ჯერჯერობით შედეგი არ მოუტანია, თბილისში აღიქვამენ, მხოლოდ იმის შესაძლებლობად, რომ გამოჩნდება აფხაზთა ხელისუფლებაში ისეთი ადამიანი, რომელიც აფხაზური მხრიდან იკისრებს პასუხისმგებლობას ვითარების მოწესრიგების შემდგომი პროცესისათვის. ხშირად გვეკითხებიან, თუ რომელ კანდიდატს მივანიჭებდით უპირატესობას აფხაზეთის ხელმძღვანელის პოსტზე. ამ კითხვის ავტორებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატთაგან ჩვენთვის რომელიმე უფრო შესაფერისია შემდგომი დიალოგისთვის. იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გავუცრუო იმედი ასეთი კითხვების დასმის მოყვარულებს: პრეტენდენტთა შორის არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც რაიმე უპირატესობას ვანიჭებდეთ იმ მოსაზრებით, რომ მასთან გაცილებით უფრო გაგვიადვილდებოდა დიალოგის წარმართვა. ვინ იცის, თუ მომავალ პრეზიდენტთაგან რომელი უფრო თავგამოდებით იბრძოლებს „აფხაზეთის დამოუკიდებლობის" იდეის დაცვისათვის? და რატომ უნდა ვიფიქროთ ჩვენ, რომ ამ კანდიდატთაგან რომელიმე უფრო დამთმობი იქნება. არა, რა თქმა უნდა. ჩვენთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რაც შეიძლება მალე დაიძლიოს ეს გაუგებარი სიტუაცია და სავალალო რეალობად არ იქცეს რაღაც შეტაკებები, რომლებმაც შესაძლოა, საერთო დესტაბილიზაცია მოუტანოს აფხაზეთს. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ამ საკითხში გარკვეული სიცხადე დაისახა, რასაც შეუწყო ხელი სოჭში სამხრეთ ოსეთის ლიდერთან და ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულმა ჩვენმა შეხვედრამ. დაიწყო კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციის პროცესი, რომელსაც ითვალისწინებს მხარეების მიერ ხელმოწერილი სპეციალური შეთანხმება. თუმცა, ამ დღეებში გაირკვა, რომ დოკუმენტით დათქმული ვადების დაცვა ვერ მოხერხდება. რას გააწყობ, დემილიტარიზაციის პროცესი გაგრძელდება თანამიმდევრულად და იგი ბოლომდე მივა. ამის პარალელურად ხორციელდება ღონისძიებები, რათა მხარეების მოქმედებამ კონფლიქტის ზონიდან საბრძოლო ტექნიკის, იარაღისა და ცოცხალი ძალის გამოყვანის მიზნით, არ შეუშალოს ხელი ადგილობრივ მოსახლეობას ზამთრისათვის მომზადებაში.

თუმცა, იმის თქმა, რომ ვითარების მოწესრიგების პროცესი ცხინვალის რეგიონში პროგრესირებას განიცდის, ჯერჯერობით არ შეიძლება. კონფლიქტის შემდეგ გასული 12 წლის განმავლობაში ფაქტობრივად, არანაირი წინსვლა არ შეინიშნება. ისევე, როგორც აფხაზეთშიც. თუმცა, ჩვენ შეიარაღებული ვართ, უწინარეს ყოვლისა, მოთმინებით და მზად ვართ, შევუწყოთ ხელი ისეთი კონსტრუქციული გადაწყვეტილებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ ორი პრობლემის სამართლიან მოგვარებას. ვფიქრობ, ჩვენ აქ სამართლიანად უნდა ველოდოთ რუსეთის როლის გააქტიურებას, რადგან პრობლემათა გადაჭრის გზა რუსეთზე გადის. ჩვენ გვაქვს ყველა ბერკეტი და შესაძლებლობა იმისთვის, რომ მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების პროცესის მეშვეობით, დავიწყოთ მოძრაობა რეგიონში ვითარების მოწესრიგების საქმეში რეალური პროგრესის მიღწევის გზაზე და საერთოკავკასიურ სივრცეს — იქ არსებული დესტაბილიზაციის არაერთი კერით — თავიდან ავაცილოთ ახალი უსიამოვნებები.

⊙ ინფორმაცია

ვინ აირჩევს რექტორს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს თავად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აირჩევს. ამგვარი ცვლილება შევიდა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტში, რომელიც მეორე მოსმენით პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა გუშინ განიხილა.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა განაცხადა, უნივერსიტეტის ფაკულტეტები თავად აირჩევენ აკადემიურ საბჭოს, ხოლო საბჭო, თავის მხრივ, რექტორს აირჩევს. ამასთან, რექტორობის კანდიდატს უნივერსიტეტი უნდა ჰქონდეს დამთავრებული, უნდა მუშაობდეს უნივერსიტეტში და იყოს უნივერსიტეტის პროფესორი.

შეეხება თუ არა ეს პირობები სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის ერთ-ერთ კანდიდატს რუსუდან ლორთქიფანიძეს, რომელსაც უნივერსიტეტში არ უსწავლია, ჯერჯერობით უცნობია. ამ საკითხზე კომენტარს არც კომიტეტის თავმჯდომარე და არც განათლების მინისტრი არ აკეთებენ. ლომაიამ „კანონპროექტის ინტერპრეტაციისგან" თავი შეიკავა, თუმცა განაცხადა, რომ კანონი ყველას უნდა ეხებოდეს.

ჯერჯერობით ასევე გაურკვეველია, მოასწრებს თუ არა პარლამენტი კანონის მიღებას 13 დეკემბრამდე — უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებამდე.

გრიგალაშვილის შეფასებით კი, კანონპროექტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა და ეს „რევოლუციური სულისკვეთების პროექტია". — არ შეიძლება, ეს კანონპროექტი იყოს ანტიეროვნული და ანტიქართული, რადგან რეფორმის შედეგად გაიზრდება უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია და დაფინანსების წყაროები, — აღნიშნა მან.

* * *

საპარლამენტო ფრაქცია „გაერთიანებული ოპოზიციის" წევრის მანანა ნაჭყებიას აზრით, „განათლების შესახებ" კანონპროექტში განხორციელებული ცვლილებები უნივერსიტეტებს ავტონომიას არ ანიჭებს.

როგორც ნაჭყებიამ ჟურნალისტებს განუცხადა, „კანონპროექტით განისაზღვრება, როგორი მმართველი ორგანოები უნდა ჰყავდეს უნივერსიტეტს, როგორ უნდა აირჩიონ ეს ორგანოები, როგორ დაკომპლექტდეს ისინი და სხვა, ამიტომ უნივერსიტეტების ავტონომიურობაზე საუბარი ზედმეტია და ამ ცვლილებებით მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების მართვას ვართულებთ".

მისივე შეფასებით, „ხელისუფლების განცხადება, თითქოს უნივერსიტეტს ავტონომია აქამდე არასდროს ჰქონია და ახლა ხონჩით მიართვა, აბსურდულია". — კანონპროექტში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ რექტორი თავად უნდა აირჩიოს და კანდიდატი მხოლოდ უნივერსიტეტელი უნდა იყოს, გაუგებარია მაშინ, როცა ორი თვის წინათ პრეზიდენტის სურვილისამებრ, სახელმწიფო უნივერსიტეტში პრორექტორად არაუნივერსიტეტელი დაინიშნა, — განაცხადა ნაჭყებიამ.

ინტერ-პრესი.

P.S. ვრცლად კომიტეტის ამ სხდომის შესახებ საუბარია ამავე გვერდზე დაბეჭდილ რუსუდან გახარიას წერილში.

⊙ სამეგრელო-ზემო სვანეთი

ზუგდიდელმა ნაციონალებმა წლის შედეგები შეაჯამეს

„ვარდების რევოლუციის" წლისთავის წინა დღეებში ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია ჩატარდა.

თანამოაზრეთა თავყრილობა წარიმართა საქმიან ვითარებაში, რომელიც სხვა პარტიების ღონისძიებებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა უბრალოებით, დემოკრატიულობით და ახლებური, ცივილიზებული აზროვნებით. კონფერენციას ხალისიანი ელფერი მისცა მუსიკის თანხლებამ.

ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა მისი თავმჯდომარე ვახტანგ ცხადაია. მან მოკლედ მიმოიხილა ყველა ის საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც შეძლო პარტიამ. განსაკუთრებით შეჩერდა იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტასაც ცენტრალური ხელისუფლების დახმარებითა და თანადგომით აპირებენ. რა თქმა უნდა, მათში მოიაზრება მეჩაიეობა, ენერგომარაგება და ინვესტიცია.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვით გამოსულებმა სიამაყით აღნიშნეს რეგიონის მოსახლეობის დიდი წვლილი 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციის" გამარჯვების საქმეში. სამეგრელოდან დაძრულმა ეროვნულმა ძალამ ხომ თბილისში გამძლეობისა და ერთიანობის ჩინებული ნიმუში აჩვენა სრულიად საქართველოს.

კონფერენციაზე გამოკვეთილად ითქვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონულ ორგანიზაციაში ადრე არსებულ უსაფუძვლო წინააღმდეგობებზე, რამაც ერთგვარი ზიანი მიაყენა პარტიის იმიჯს.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საორგანიზაციო მდივანი გოჩა კუპრავა და მწერალი ზაურ კალანდია.

ზუგდიდელმა ნაციონალებმა ღია კენჭისყრის წესით აირჩიეს პარტიის რესპუბლიკური ყრილობის 90 დელეგატი.

ჯარისკაცობა ღირსების საქმეა

სასიკეთო ძვრები შეინიშნება ქვეყნის მასშტაბით. თანდათან ირღვევა კორუფციისა და კონტრაბანდის საძირკველი. სახელმწიფო სტრუქტურებში მყარდება წესრიგი, ყველამ იცის ვინაა და რა უნდა აკეთოს. წვევამდელები ხალისით მიდიან სამხედრო სამსახურში, არც რეზერვისტები ჩამორჩებიან. ისინიც მამულიშვილური ერთგულებით იცვამენ ჯარისკაცურ ფარაჯას და სამკვირიან სამხედრო მომზადებას გადიან საჩხერეში.

რეზერვისტთა პირველი ნაკადი სამეგრელოდან 10 ნოემბერს წავიდა საჩხერეში, მეორე ნაკადი — 11 ნოემბერს, ხოლო მესამე — 12-ში. ასე რომ, მხარის ცხრავე რაიონის რეზერვისტები გაივლიან სამხედრო წვრთნას.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, სამეგრელო-ზემო სვანეთში დაგეგმილია რეზერვისტთა ხუთი ბატალიონის შექმნა, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საწინდარი იქნება.

სამშობლოს დაცვა ნებისმიერ კაცს ევალება. ამიტომაა, რომ რეზერვისტთა შორის, სულ სხვადასხვა თანამდებობისა და პროფესიის ხალხია: სკოლის დირექტორები, სოფლის გამგებლები, ქალაქისა და დაბის საკრებულოს წევრები, რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც ქვეყნის სამსახურში დგომა ღირსების საქმედ მიაჩნიათ.

რეზერვისტთა გამგზავრებისას ხალხმრავლობა და საზეიმო განწყობილება სუფევდა. მათ აცილებდნენ მხარისა და რაიონების ხელმძღვანელები, ახლობლები, რომლებსაც ეიმედებათ თავიანთი წარგზავნილები.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

ჟამი იმედისა და რწმენისა

ეპოქის შემქმნელი პრეზიდენტი, ამალის წევრები და „მატრიოშკები"...

ხალხის დიდ ნაწილს დღესაც კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოყალიბებული აზროვნება მოსდევს და მოითხოვს, მთავრობამ კარგად გამოკვებოს. არადა, არის ასეთი აქსიომა — ხელისუფლების მოვალეობა პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაა. გიორგობა კარს მოგვადგა. განვლილ წელიწადს ყველა სხვადასხვაგვარად ხედავს. ზოგი უფრო მეტ პოზიტიურ მომენტს უსვამს ხაზს, ზოგიც — პირიქით, მეტ უარყოფითს. არიან ადამიანები, მაკვილაკები (ავენები), რომლებიც მხოლოდ განქიქებას ელტვიან. ისინი კი, ვისაც პრეზიდენტი უყვარს (თუმც, მაგალითად, ამერიკაში, ვერ მიხვდებიან, რატომ უნდა გიყვარდეს ხელისუფალი. ის შეიძლება, მოგწონდეს ან არ მოგწონდეს თავისი პოლიტიკის გამო), კარგს ჰიპერბოლირებულად წარმოგვიდგენენ და უთუოდ გაუსვამენ ხაზს დროის სიმცირეს — ერთ წელიწადში ამდენი რომ მოასწრო, არ გიკვირთო?

რევოლუციური ფორიაქი აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩა, თუმცა, არც იმის დრო მოსულა, ტაშით დავიხეთქოთ ხელისგულები და, საბედნიეროდ, არც იმისა — უიმედობამ შეგვიპყროს. განსჯის დრო კი ნამდვილად დადგა და ვცადოთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ ერთ წელიწადს, მნიშვნელოვანი მოვლენები გამოვყოთ და იქნებ ავ-კარგის მიზეზებიც ვიპოვოთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ნაზი არონიას ნაფიქრსა და თქმულში.

უმშვენიერესი ქალბატონი, რომელსაც ხშირად ლია ელიავას ადარებენ, ახალი სახეა ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ ბევრისგან განსხვავებით, ჩრდილში არ არის, მას ფართო საზოგადოება იცნობს. ნაზი არონიასთან საუბარი იმითაც იქნება საინტერესო, რომ ყოფილი მოსამართლე, ალბათ, პროფესიული ჩვევიდან გამომდინარე, ცალმხრივად ვერ მიუდგება „განსასჯელს" — ხელისუფლებას (მიუხედავად იმისა, რომ თავად უმრავლესობის წევრია). აქვე შევთანხმდეთ, რომ არ შევეხებით პურსა და ხორცს, ზოგადად, კვებას. ჩვენ პოლიტიკური საკითხები გვაინტერესებს.

ნაზი არონია.

— წლების მანძილზე ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ სიტყვა „დემოკრატიას", რომ ის შაბლონად იქცა და არსი დავივიწყეთ. დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობა, ნიშნავს იმას, რომ ხალხი უნდა გრძნობდეს, თავად რომ მართავს, რომ ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული. წლების წინათ ჩვენთან ხალხის აქტიურობა ჩამკვდარი იყო. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ დღეს ერთბაშად აყვავდა დემოკრატია. სანამ მოქალაქეებს არ ეცოდინებათ, როგორი მომავალი უნდათ, მთავრობის რომელი გადაწყვეტილებაა სწორი, რომელს ემხრობიან, არ მოიშლება დამოკიდებულება „რა ჩემი საქმეა", მანამდე ჩვენ სრულად ვერ გვექნება დემოკრატია. დღეს ყველა პოლიტიკოსი გახდაო, — გაიგონებთ საყვედურს. ადამიანებმა პოლიტიკაზე ლაპარაკი რომ დაიწყეს, ეს ცუდი კი არ არის, დემოკრატიის ხარისხის ამაღლებაზე მეტყველებს. ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს რომ აკრიტიკებს ხალხი, ეს იმას ნიშნავს, რომ გაიგო, რა არის დემოკრატია.

— თქვენ ამბობთ, ცუდი არ არის, ყველა რომ პოლიტიკოსი გახდაო. მაგრამ, ქალბატონო ნაზი, პოლიტიკაში ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი მოვიდა, ვისაც აქამდე შეხება არ ჰქონია ამ სფეროსთან. თქვენ მოგწონთ ასეთი საკადრო პოლიტიკა?

— როგორ გგონიათ, მიხეილ სააკაშვილი ერთი დიდი დარბაზის კარებში ჩადგა და შემომსვლელებს სათითაოდ ჩაუტარა ტესტირება? როდის უნდა მოესწრო მას ეს? ხელისუფლება შეცდომებისგან დაზღვეული ვერ იქნება, ვერც ძველი მეთოდებისგან თუ კორუფციის ფაქტებისგან. ევროპის განვითარებული ქვეყნებიც კი ვერ აღწევენ თავს ამას. იქ რა, კორუფცია არ გვხვდება ან ყველა კადრი კარგია? მთავარია ის, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ გულწრფელი ადამიანები, ვისაც მთელი არსებით სურს სიკეთე ქვეყნისთვის, ხალხისთვის.

— თუ პრეზიდენტს არ სცალია გვერდით მდგომთა შესარჩევად, მაშინ ეს კომპეტენტურმა პირებმა მაინც ითავონ. ცნობილი გამოთქმაა — მეფეს ამალა ქმნის...

— მეფეს ამალა არ ქმნის. პიროვნებები ქმნიან ეპოქას და ეპოქა ქმნის პიროვნებებს. ეს სინქრონულად, თანადროულად ხდება ხოლმე. სააკაშვილი ეპოქამაც შექმნა, მაგრამ სააკაშვილმაც შექმნა ეპოქა. დღეს, უპირველესად, მოწადინების დანახვა შეიძლება. უამრავ წარმატებას მივაღწიეთ. ან ბრმა უნდა იყო, ან განგებ უნდა დახუჭო თვალი, ეს რომ ვერ დაინახო. ეკონომიკის სფეროში უამრავი სასიკეთო ძვრა მოხდა, რომელზეც ყველა ლაპარაკობს და აღარ გავიმეორებ. დეფიციტს შეჩვეული ვიყავით, პროფიციტი კი პირველად გავიგეთ. არ შეიძლება, არ დააფასო ხელისუფლების ეს მოწადინება.

— დღევანდელი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ახალი სახე არ არის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ზურაბ ნოღაიდელი შევარდნაძის დროსაც იყო ფინანსთა მინისტრი. თუკი მოწადინებას ამდენი შეუძლია, გამოდის, რომ მაშინ მათ კარგი საქმის კეთება, უბრალოდ, არ სურდათ?

— ერთი კაცი არ ქმნის პოლიტიკას. ნოღაიდელი, როგორც ამბობენ, კარგი ფინანსისტი და მინისტრია, მაგრამ მხოლოდ ის ვერც წინა ხელისუფლებაში გადაწყვეტდა, ვერც დღეს შეძლებდა რამეს. უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, პროგრამა, რომელსაც ხელისუფლება შეიმუშავებს. ნოღაიდელი წინა ხელისუფლების პოლიტიკას ახორციელებდა. ზოგმა (მაგალითად, მიხეილ სააკაშვილმა და მიხეილ მაჭავარიანმა) პროტესტის ნიშნად, საერთოდ, დატოვა თანამდებობა.

— ჩვენ ხელისუფლების წარმატებებზე ვსაუბრობთ და, უპირველესად, ალბათ, კორუფციასთან ბრძოლა უნდა აღინიშნოს. მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ იგი უთანასწოროდ წარიმართა, ბევრი გადარჩა, ბევრის უფლება კი დაირღვა. თქვენ, როგორც იურისტს, რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ ეს პროცესი?

— „მატრიოშკა" ხომ გინახავთ? დიდი, უფრო პატარა, შემდეგ კიდევ უფრო პატარა და ასე შემდეგ. დიდებს უკვე მოეთხოვათ პასუხი. დარჩნენ პატარა „მატრიოშკები". ხალხმა უდრტვინველად მიიღო კორუფციაში ეჭვმიტანილთა დაკავება. აკვნესდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც იკვებებოდა იმ გარკვეული წყაროებით. მე ამ სიტყვებს ბრაზით არ ვამბობ. რევოლუციური პროცესების დროს ინტელიგენცია ყველაზე დაზარალებული ფენა აღმოჩნდება ხოლმე. შესაძლოა, ის გულწრფელად თანაუგრძნობს თავის ნაცნობსა თუ უცნობს, რომელზეც ეუბნებიან, მტკიცებულების გარეშე დაიჭირეს და აწამეს კიდეცო. მაგრამ, აბა, ნახეთ, რა განწყობაა ხალხში.

— ხალხის ნაწილი ამბობს, კორუმპირებული მოხელეები დასაპატიმრებელი იყვნენ, მაგრამ მათ ვინც იჭერს, ისინიც დასაჭერები არიანო...

— არც იმათ დაჭერაზე იტყვის ვინმე უარს, ვინც დასაჭერი იქნება. ეს არის დიდი იმედი.

— ზოგჯერ ავლებენ პარალელს 1937 წელთან. თქვენ გამორიცხავთ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას?

— რევოლუციის დღეებში ზუგდიდში გამართული მიტინგის მონაწილეებს ავტომატებიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. შეიძლება, მე იმ ხალხის მიმართ სიმპათია მქონდეს? თუ მე მათ უსაფუძვლოდ დავუწყებ დევნას, ეს, ცხადია, ანგარიშსწორება იქნება. მაგრამ თუ მე მათს დანაშაულს გამოვააშკარავებ, ანგარიშსწორებას ვერ დავარქმევთ. ეს სამართლიანობის აღდგენაა. არ შეიძლება ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს პოლიტიკური ანგარიშსწორება ვუწოდოთ.

უმნიშვნელოვანესი, რაც წინა გიორგობის შემდგომ პერიოდში მიიღო საქართველომ, არის მსოფლიოს უდიდესი მხარდაჭერა, რაშიც ადრე კორუფციის მომძლავრება გვიშლიდა ხელს. დღეს თავად ნატო ალაპარაკდა ამ ორგანიზაციაში ჩვენს გაწევრიანებაზე.

— ქალბატონო ნაზი, ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი საერთაშორისო მხარდაჭერის გარანტი არ იყო?

— იმის თქმა, შევარდნაძე საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტი არ იყოო, უაზრობა იქნება. მაგრამ სისტემა, რომელიც მან შექმნა დემოკრატიის სახელით და მოხელეთა ხროვა, რომელიც თვითდინებაზე მიუშვა, უკან სწევდა ქვეყანას. ამ ყველაფერს მხოლოდ ცნობილი პოლიტიკოსის სახელი ვერ გადასწონიდა.

— საყვედურების მოსმენა დღევანდელ ხელისუფლებასაც უწევს, განსაკუთრებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის გამწვავებასთან დაკავშირებით. ის, რაც სამაჩაბლოში მოხდა, იყო თუ არა შეცდომა?

— ეს უფრო თავდაცვა იყო, კონტროპერაციები აგრესიის საპასუხოდ. ჩვენ არც გვიფიქრია, სამაჩაბლოს შეუტიოთ და ბრძოლით ავიღოთო, იერიში არ დაგვიწყია. იქ დღესაც ისმის სროლის ხმა. სამშვიდობო პროცესს დრო სჭირდება, ორ დღეში ვერ დასრულდება. ჩვენ დასავლეთის გავლენით გვინდა ზეგავლენა მოვახდინოთ რუსეთზე, რომ მან არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც დაგვიდასტუროს, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას რომ აღიარებს. ასე უნდა მოწესრიგდეს ვითარება, გადაიჭრას ტერიტორიების დაბრუნების პრობლემა. ჩვენ ამ გზას ვადგავართ.

— მოსახლეობის უმრავლესობის უკმაყოფილებას იწვევს განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი და თავად მინისტრიც. ეს საკადრო პოლიტიკისადმი ნაკლებად მიქცეული ყურადღების, იმ მოუცლელობის ბრალი ხომ არ არის, რომელსაც ჩვენ უკვე შევეხეთ?

— ბევრ ჩვენგანს ჩვევად ექცა, აკრიტიკოს ის, რაც არ იცის. ნაკლებად მჯერა, რომ იმ 70 ათას კაცს, ვისი ხელმოწერაც მოაგროვეს „მემარჯვენეებმა", გულდასმით ჰქონდეს წაკითხული ეს პროექტი. უბრალოდ, ამ თემის აჟიტირება მოახდინეს. კი, ბატონო, გამოთქვან შენიშვნები, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროექტს წაიკითხავენ. კახა ლომაია თავის გამოსვლებში რადიკალური და ნაკლებად რევერანსული პიროვნებაა და ამის გამო, ალბათ, ბევრ დაუმსახურებელ „დარტყმასაც" იღებს, მაგრამ ის პატიოსანი და გულწრფელი ადამიანია. რაც შეეხება მის ინჟინრობას, დიპლომი ხელს არ უშლის განათლების სისტემაში მუშაობას. სოტკილავა ფეხბურთელი იყო, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი გახდა, როგორც საოპერო მომღერალი. ქვანია ბიოლოგია, მაგრამ ცუდად ერკვევა ეკონომიკურ საკითხებში, ცუდი პრემიერ-მინისტრია? მე მომწონს, ახალგაზრდობა რომ გამოჩნდა ასპარეზზე. გამოცდილება კი მოვა და ლომაიაც იქნება ძალიან კარგი, გამოცდილი მინისტრი, როცა ამ ბატალიებს გადალახავს.

— საინტერესოა, ამ ერთი წლის მანძილზე თუ გადადგა ხელისუფლებამ ისეთი ნაბიჯი, რომელმაც, ქალბატონო ნაზი, ვერ დაგაკმაყოფილათ?

— გადაწყვეტილებები სწორია, ტენდენციებისა და დამოკიდებულების გამო ბედნიერების გრძნობა მეუფლება, მაგრამ, შედეგები ჯერჯერობით, ცხადია, არ მაკმაყოფილებს. თუმცა, ყველაფერი წინ არის.

ესაუბრა
რუსუდან გახარია.

ფიქრები „ვარდების რევოლუციის" წლისთავზე

ქვეყნის გადარჩენისთვის სამართლიანი საზოგადოება უნდა შევქმნათ

რეფორმების განხორციელების აუცილებლობაზე წინა ხელისუფლებაც ლაპარაკობდა, მაგრამ საქმით არაფერი გაკეთებულა. მის ნაცვლად დაიწყო ქვეყნის ნგრევა. საქართველოს აღორძინებისთვის საჭირო იყო სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ეკონომიკის განვითარება. ამ მიზნით მეგობარი ქვეყნებიდან მივიღეთ მილიონობით გრანტები, კრედიტები, მაგრამ ეს თანხები დანიშნულებისამებრ არ წავიდა, იგი მიითვისეს ხელისუფლებაში მოკალათებულმა კორუფციულმა კლანებმა. ნათქვამია: როგორიცაა ხელისუფლება, ისეთივეა საზოგადოებაო. მათ აჰყვნენ ის ნაძირალები, რომლებმაც ძირი გამოუთხარეს ქვეყნის ძლიერებას, დაანგრიეს და გაყიდეს ფაბრიკა-ქარხნები, დაჭრეს რკინიგზების ლიანდაგები, ვაგონები და ჯართად გაიტანეს თურქეთში, გაჩეხეს უნიკალური ჯიშის ასწლოვანი ტყეები და მორებად მიჰყიდეს უცხოელებს.

ჩვენ, გასული საუკუნის 40-იანი წლების სტუდენტები, სამთვიან არდადეგებზე არ მივდიოდით დასასვენებლად, იმ პერიოდში რექტორატის განკარგულებით წყნეთის შემოგარენში ვრგავდით წიწვიანი ჯიშის მცენარეებს, რომლებიც გუშინ და გუშინწინ გაჩეხეს და იქ სასახლეები ააშენეს. ტყე არის საქართველოს სილამაზე, სიმდიდრე, ჯანმრთელობა და იმის ნაცვლად, რომ კიდევ უფრო გაგვეზარდა, მოგვევლო და გვეპატრონა, დასალუპად გავწირეთ.


აბელ გეგია.

რევაზ ლაღიძემ შექმნა შესანიშნავი სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა", რომელსაც ხშირად მღეროდნენ რესტორნებში ტყის გაჩეხვის შემდეგ გამდიდრებული კორუმპირებული პირები, და მის განადგურებაზე არ იღებდნენ ხელს.

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა სპეციალური ბრძანება გამოსცა ციმბირში ტყის გაჩეხვისა და მისი რეალიზაციის შესახებ. მასში საქართველოს ტყეების გაჩეხვაც იყო მითითებული. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა იმპერატორს შეჰკადრა, საქართველო ლამაზია თავისი ბუნებით, ნუ დავამახინჯებთ ამ ლამაზ ქვეყანას, ნუ გავჩეხთ ტყეებსო. დაუჯერა იმპერატორმა. რუსმა ვორონცოვმა საქართველოს ბუნება განადგურებას გადაარჩინა, ქართველმა ნაძირალებმა კი გაჩეხეს, ფულად აქციეს საუკუნოვანი ტყეები.

წინა ხელისუფლების დროს დაიწყო რეფორმა თითქოსდა ქალაქის „გამშვენიერებისთვის". აშენდა მრავალსართულიანი შენობები, რითაც დაიფარა ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები. ვაკის პარკის მიმდებარე ფალიაშვილის, მოსაშვილის და ირაკლი აბაშიძის ქუჩებზე სამსართულიანი შენობების გვერდით წამოჭიმეს 11-სართულიანი შენობები, მოურიგდნენ სახლის მეპატრონეებს, მშენებლობის დაწყებამდე მოიძიეს ბინის მყიდველები, აიღეს მათგან თანხები და გაყიდეს სართულები, რომელთა მშენებლობა წლობით მიმდინარეობდა და ზოგი ჯერაც არ არის დამთავრებული. იმიტომ აშენებენ საცხოვრებლებს გამორჩეულ ადგილებში, რათა მეტი ფასი დაადონ ბინებს, თორემ, რამდენი ქუჩა არსებობს თბილისში, რომელსაც რეკონსტრუქცია ესაჭიროება, მაგრამ მათზე არავინ ფიქრობს. როცა ფალიაშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა შეიტყვეს, რომ იქ მაღალსართულიანი სახლების მშენებლობას აპირებდნენ, დაწერეს კოლექტიური განცხადება (მასზე 100 კაცმა მოაწერა ხელი) პრეზიდენტ შევარდნაძისა და მშენებლობის მინისტრ მ. ჩხენკელის სახელზე. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ მრავალსართულიანი მშენებლობა დააზარალებს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ მათ გვერდით სამსართულიან სახლებში, დაუბნელებს ბინებს, დააზიანებს კანალიზაციას, სასმელი წყლის მილებს და ელექტროგაყვანილობას, რადგან ეს კომუნიკაციები გათვლილია იმ სამსართულიანი შენობების მოთხოვნილების შესაბამისად, ამის გამო საკანალიზაციო მილები ვერ გაატარებს ფეკალურ მასას, რის გამოც ხშირად გამოვა მწყობრიდან, და გამოიწვევს ანტისანიტარიას. ნათქვამი მართლაც ასრულდა. მოსახლეობა ვერ ღებულობს სასმელ წყალს: არსებული ვიწრო გაბარიტის მქონე მილები ვერ უზრუნველყოფს მათზე მიერთებულ მრავალსართულიან სახლებში მცხოვრებთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ასევე, გადატვირთვის გამო, ხშირად გამოდის მწყობრიდან ელექტროსადენები. ამ კომუნიკაციების შეცვლაზე არ უფიქრიათ არც მშენებლებს და არც იმათ, ვინც ვაკის პარკთან მაღალსართულიანი სახლების მშენებლობის ნებართვა გასცა.

საჩივრის გამო მშენებლებმა მომჩივრებს უთხრეს, რა გინდათ, მზე ორი საათით გექნებათ, ბინები კი დაგიბნელდებათ, მაგრამ ჰაერი საკმარისი გექნებათ სასუნთქადო. თანაც დასძინეს, პროფესიით ინჟინრები ვართ და ვიცით ამის შესახებო. ისინი შეიძლება პროფესიით ინჟინრები იყვნენ, მაგრამ პირადი დაინტერესების გამო დაავიწყდათ, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად თუ ქუჩის სიგანე 15 მეტრს არ აღემატება, იქ 5-სართულიან სახლზე მეტის აგება არ შეიძლება.

ის. მე-4 გვ.

ინფორმაცია

„ლეიბორისტებმა" ეროვნული იდეოლოგიის ცენტრი დააფუძნეს



„ლეიბორისტული პარტიის" მესვეურებმა ეროვნული იდეოლოგიის ცენტრი დააფუძნეს. ახლადშექმნილ „ლეიბორისტულ" წარმონაქმნს ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი უხელმძღვანელებს, რომელსაც გუშინ „ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პარტიის მანდატი გადასცა.

ეროვნული იდეოლოგიის ცენტრის შექმნის მიზეზებზე საუბრისას, ნათელაშვილმა განმარტა, რომ "ქვეყანას ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ ეროვნული იდეოლოგიის ნგრევის თვალსაზრისით ემუქრება, რაც სახელმწიფო კანცელარიიდან, უცხოური ცენტრების დაკვეთით ხორციელდება".

„ეროვნული იდეოლოგიის ცენტრი იქნება გაერთიანება, რომელშიც შემუშავდება ეროვნული იდეოლოგიის კონცეფცია და რომელიც აღუდგება ხელისუფლების ანტიეროვნულ საქმიანობას" - განაცხადა გუშინ ცენტრის პრეზენტაციაზე „ლეიბორისტების" ლიდერმა.

მისივე მტკიცებით, ეროვნული იდეოლოგიის ცენტრი თავისუფალი იქნება პოლიტიკური და პარტიული ინტერესებისგან.

მეფარიძის დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი ქონება

საოლქო სასამართლოში გუშინ სატყეო მეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის შოთა მეფარიძის ქონების კონფისკაციის საკითხთან დაკავშირებით გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა.



პროკურატურისა და დაცვის მხარეებმა სასამართლო კოლეგიას შუამდგომლობები წარუდგინეს. სასამართლოს ძირითადი სხდომა მას შემდეგ გაიმართება, რაც ექსპერტიზა მეფარიძის სადავო ქონების ღირებულებას დაადგენს.

როგორც "ინტერ-პრესს" პროკურორმა ვლადიმერ ხუჭუამ განუცხადა, ბრალდება მეფარიძის, მისი ოჯახის წევრებისა და მასთან დაკავშირებული პირების ძვირადღირებულ საცხოვრებელ სახლებს, ნაკვეთებსა და ავტომანქანებს დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

ინტერ-პრესი.

ეს ერთი წელიწადი

ის, რაც „თბილავიამშენში" ხდება, ქართველ მეწარმეთა დიდი გამარჯვებაა

როცა ხელისუფლება ენდობა საწარმოს, ხოლო საწარმო — ხელისუფლებას

— სიმამრს ყვარებიხართ, — მითხრა შპს „თბილავიამშენის" დირექტორმა ვაჟა თორდიამ, როცა კარგა ხნის ლოდინის შემდეგ (საწარმოო თათბირს ატარებდა) მის კაბინეტში აღმოვჩნდი.

— ალბათ, სიდედრი უნდა გეთქვათ, — შევაპარე საწარმოს თავკაცს, — მაგრამ აქ პურმარილს რომ ვერ ვხედავ?

— რაცა ვთქვი, წყალი არ გაუვა, — „პოზიციას" არ თმობს ბატონი ვაჟა, — თუ კარგ პურმარილს შეესწრებით, სიდედრს ყვარებიხართ, თუ კარგ საქმეს — სიმამრს. დღევანდელ პურმარილზე რა მოგახსენოთ, მაგრამ კარგ საქმეს ნამდვილად შემოესწარით, მეუბნება თანამოსაუბრე და საქართველოს პრეზიდენტის ახლად ხელმოწერილ განკარგულებას მაწვდის.

განკარგულებაში ჩაწერილია:

— აქციონერთა საზოგადოება „თბილავიამშენის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები (საწესდებო კაპიტალის ყველა აქციის 90 პროცენტი) პირდაპირი წესით მიეყიდოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილავიამშენს".

აქციების პირდაპირი მიყიდვის პირობად განისაზღვროს:

— აქციათა პაკეტის გასაყიდი ფასის — 67 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნული ვალუტით გადახდა, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად;

— ას „თბილავიამშენის" პროფილის შენარჩუნება;

— უპირატესად რენტაბელური სახელმწიფო შეკვეთების შესრულება;

— აქციათა პაკეტის გასაყიდი ფასის სრულად გადახდიდან სამი წლის განმავლობაში ას „თბილავიამშენის" მუშა-მოსამსახურეთა ყოველწლიური საშუალო ხელფასის გაზრდა სულ ცოტა 10 პროცენტით და ამდენივე პროცენტით — მუშაკთა რაოდენობისა.

პრეზიდენტის განკარგულების გაცნობის შემდეგ ცოტა არ იყოს გაკვირვებული დავრჩი. მეგონა, რომ ერთ საწარმოში, კერძოდ, „თბილავიამშენში" მოვედი. აქ კი ამ სახელწოდებით ორი საწარმო დამხვდა — ერთს აქციონერთა საზოგადოება ჰქვია, ხოლო მეორეს — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ამათგან ას „თბილავიამშენმა" შპს „თბილავიამშენს", განკარგულების თანახმად, თავის აქციები (90 პროცენტი) უნდა მიჰყიდოს.

— რატომ, იქნებ გამარკვიოთ? — ვეკითხები დირექტორს.

— შპს „თბილავიამშენს", რომლის დირექტორიც მე გახლავართ, დღემდე აღებული ჰქონდა აქციონერთა საზოგადოება „თბილავიამშენის" მართვა 10 წლის ვადით. ამიერიდან პრეზიდენტის განკარგულებით, ას „თბილავიამშენის" აქციების 90 პროცენტი გადმოგვეცა ჩვენ — შპს „თბილავიამშენს", ხოლო 10 პროცენტი უფასოდ გადაეცემა ას „თბილავიამშენის" კოლექტივს.

— კი მაგრამ, რა საჭირო იყო შპს „თბილავიამშენის" შექმნა, როცა არსებობდა ას „თბილავიამშენი" და მას შეეძლო საკუთარი თავი თავადვე ემართა?

— 1998 წელს, როცა აქ სამუშაოდ მოვედი, საწარმოს ერქვა თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანება. სახელმწიფო საკუთრების ამ ფორმით არსებობა დღევანდელ პირობებში შეუძლებელი იყო და ამიტომაც იგი აქციონერთა საზოგადოებად გარდავქმენით. ამ ფორმით, ბუნებრივია, იგი კვლავ სახელმწიფო საწარმოდ დარჩა, რომელთან ურთიერთობასაც საზღვარგარეთელი პარტნიორები ყოველთვის გაურბიან. აი სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი შპს „თბილავიამშენის" შექმნა, რომელსაც თამამად და ღიად შეეძლო უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა.

— რას წარმოადგენს თავად შპს „თბილავიამშენი"?

— ეს არის მენეჯმენტთა ჯგუფი, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვი, საწარმოს მართვა აღებული აქვს 10 წლით. ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია დასავლეთის ქვეყნებთან (აშშ, კანადა, ისრაელი და სხვა) პარტნიორულ ურთიერთობებზე. ისინი კითხულობენ: ვისი საკუთრებაა ქარხანა? თუ ის სახელმწიფოს ეკუთვნის, ყოველგვარ გარიგებას ეჭვის თვალით უყურებენ და არ მოდიან. ამასთან, საინვესტიციო სივრცე არ არის იმ დონეზე, რომ ვინმე რისკზე წავიდეს. ამიტომ ჩვენი მენეჯმენტის პოლიტიკაა, ვეძებოთ არა პატრონი, არამედ — პარტნიორი. თუ გვინდა ქვეყანაში საავიაციო მრეწველობა შევინარჩუნოთ, ამ გზით უნდა წავიდეთ. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით არაფერი გააკეთა.


პანტიკო თორდია.

— რატომ, თქვენ კონკრეტული არაფერი შესთავაზეთ?

— სწორედაც რომ, კონკრეტული პროექტი შევთავაზეთ, მაგრამ ვერ გარისკეს. ჩვენ მოვითხოვდით, ჩაეტარებინათ ტენდერი, მაგრამ მისი განმსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო ფული, უპირატესობა უნდა მიენიჭებინათ იმ ბიზნეს-გეგმისთვის, რომელიც უზრუნველყოფდა საწარმოს პერსპექტიულ განვითარებას. რადგან ეს ვარიანტი უარყვეს, ჩვენ უფრო რბილი ფორმა შევთავაზეთ — გადმოეცათ ჩვენთვის საწარმოს აქციები 10 წლის ვადით. მაშინდელმა პრეზიდენტმა ამას მხარი დაუჭირა. ჩატარდა ტენდერი, რომელშიც შპს „თბილავიამშენმა" გაიმარჯვა.

— მას შემდეგ რა შეიცვალა?

— შეიცვალა ხელისუფლება და მასთან ერთად — ეკონომიკური პოლიტიკაც. მთავრობამ ჩვენში დაინახა საქმის მკეთებელი, პროფესიონალი, ინიციატივიანი ხალხი და გვენდო. ამიტომაც შემოგვთავაზა საწარმოს აქციების პირდაპირი შესყიდვა, რაზეც, ბუნებრივია, ჩვენ უარი არ გვითქვამს. ჩვენ მადლობელი ვართ ასეთი ნდობისთვის, რომელიც საქმით დავიმსახურეთ. ამის დასტურია მიღწეული წარმატებები. 1998 წელს საწარმოს ბიუჯეტის 25 მილიონი ლარი ემართა, 2001 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო ხაზინა თავის კუთვნილ თანხას შეუფერხებლად იღებს. წლეულს ბიუჯეტში შენატანმა თანხამ 45 მილიონ ლარს მიაღწია, საშუალო ხელფასი კი 67 ლარიდან 350 ლარამდე ავიდა. თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა სამუშაო ადგილების რაოდენობა. პრეზიდენტის განკარგულება გვავალებს ყოველწლიურად ხელფასებისა და სამუშაო ადგილების 10 პროცენტით ზრდას, რასაც უეჭველად შევასრულებთ.

— ამ განკარგულებით საწარმოს აქციების 90 პროცენტი მიეყიდება შპს „თბილავიამშენს", დანარჩენი 10 პროცენტი სად წავა?

— როგორც უკვე ვთქვი, ეს 10 პროცენტი უფასოდ გადაეცემა ას „თბილავიამშენის" კოლექტივს. მისი განაწილების მექანიზმი უკვე შემუშავებულია. აქციების მფლობელი გახდებიან არა მარტო საწარმოს ამჟამინდელი მუშაკები, არამედ პენსიონერები და ზოგი სხვა კატეგორიის ყოფილი მუშაკები, რომლებიც კანონით ამას იმსახურებენ.

— ბატონო ვაჟა, შპს „თბილავიამშენის" საქმე გარკვეულია, მაგრამ რა ბედი ელის აქციონერთა საზოგადოება „თბილავიამშენს"?

— რადგან აქციების 10 პროცენტი ას „თბილავიამშენს" გადაეცემა, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საწარმოდან ისიც კერძო საწარმოდ გარდაიქმნება. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ორი საწარმო ერთმანეთს შეერწყმება. რა ფორმით, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— და კიდევ ერთი კითხვა: თავიდან, ვიდრე პრეზიდენტის განკარგულება დაიწერებოდა, ზოგმა ისე გაიგო, რომ საწარმოს პირადად მისი დირექტორი ვაჟა თორდია ყიდულობს.

— ეს ყოვლად წარმოუდგენელია, რადგან მე საამისო თანხები არ გამაჩნია.

— მაგრამ ისიც საინტერესოა, როგორ და რა ფორმით შეძლებს შპს „თბილავიამშენი" 67 მილიონი აშშ დოლარის გადახდას?

— ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ობიექტია თურქმენეთი. ჩვენ იქ ვარემონტებთ ვერტმფრენებს და თვითმფრინავებს, ვეწევით მოდერნიზაციასა და სერვისმომსახურებას, ვაწვდით ახალ თვითმფრინავებსაც. ამის საფასურად თურქმენეთის მხარე საქართველოს უმცირებს იმ ვალებს, რაც მას ადრეულ წლებში გაზის საფასურის გადაუხდელობით დაუგროვდა. მაგრამ ეს არ გახლავთ ქაღალდზე ჩათვლა, ეს არის რეალური ფული, რომელსაც შპს „თბილავიამშენი" გაისტუმრებს.

ასეთია სადღეისოდ „თბილავიამშენში" შექმნილი სურათი, რომელიც ქართული რეალობისთვის ცოტა უჩვეულოდ გამოიყურება. დღემდე, როგორც წესი, უცხოელი ინვესტორების იმედად ვიყავით, რომლებიც დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მოდიოდნენ იმიტომ, რომ ამა თუ იმ ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად ჯართიანად გამოეხრათ საწარმოს ქონება და უკან სავსე ჯიბეებით დაბრუნებულიყვნენ. ასეთი პრაქტიკის უკუგდების პიონერად მოგვევლინა დედაქალაქის საავიაციო საწარმო, რომელმაც ახალი ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით, შეძლო დარგის დამოუკიდებელი მშენებლობის გზას დადგომოდა. საავიაციო მრეწველობის შენარჩუნება და განვითარება კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, დიდი პრესტიჟია. მით უფრო, როცა ლაპარაკია მაღალ ინტელექტზე, მაღალ ტექნოლოგიებსა და პროფესიონალიზმზე. ასეთ საწარმოს ხელეწიფება ქვეყნისთვის დიდი და სერიოზული პრობლემების გადაწყვეტა როგორც ეკონომიკისა და თავდაცვის სფეროში, ისე მთელ რიგ სხვა დარგებში. ამას ჩვენ ახლო მომავალშივე ვიგრძნობთ.

ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 269, პარასკევი, 19 ნოემბერი, 2004 წელი.

პრეზენტაცია

გლობალური ფონდის ქართული რეალიები

შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი 2002 წელს შეიქმნა მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ამ დაავადებებს ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 6 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, და რაც ძალიან საგანგაშოა, ეს რიცხვი განუხრელად იზრდება.

გლობალური ფონდი ფინანსდება განვითარებული ქვეყნების მთავრობებისა და კერძო პირთა შემოწირულობების ხარჯზე. ფონდი, სავარაუდოდ იღებს და განკარგავს 10 მილიარდამდე აშშ დოლარს 5 წლის მანძილზე. ფონდის მიერ დაფინანსდა 60-მდე ქვეყანა, რომელთა შორისაა საქართველოც.

პროგრამის განხორციელებას საქართველოს მხრიდან მონიტორინგს გაუწევს „ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო", რომლის თავმჯდომარეა არასამთავრობო ორგანიზაცია „სოკოს" დირექტორი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო სტრუქტურები, საზოგადოების წარმომადგენლები, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები.

– იმედი მაქვს, რომ დღევანდელი შეხვედრა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება გლობალური ფონდის პროექტების განხორციელების გზაზე. დასრულებულია სატენდერო პროცედურები, გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაციები და ორგანიზაციათა ჯგუფები, შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ამ პროგრამების, ეფექტიანი დაწყებისა და ათვისების საკითხი, – ეს ამ დღეებში განაცხადა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა, გლობალური ფონდის პროგრამის „აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" შესახებ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გამართულ პრეზენტაციაზე. მინისტრის თქმით, რაკი ქალბატონი სანდრა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეობას დათანხმდა, ეს ხელს შეუწყობს პროექტების განხორციელების დაჩქარებას და სხვადასხვა ორგანიზაციის მობილიზაციას. შესაბამისად კი, გლობალური ფონდის წარმომადგენლებს, გაცილებით მეტი ბერკეტები ექნებათ ქართულ პროექტებზე დადებითი ზემოქმედების მოსახდენად.

დამსწრეთ მიესალმა ქალბატონი სანდრა რულოვსი და კმაყოფილება გამოთქვა გლობალური ფონდის პორტფელის მენეჯერის ვალერი ჩერნიავსკის საქართველოში ჩამოსვლის გამო.

– პრეზენტაციის დაწყების წინ, მე და ბატონმა ვალერი ჩერნიავსკიმ უკვე ვისაუბრეთ. უფრო ღრმად გავიცანი გლობალური ფონდის პრინციპები, მუშაობის სტილი და სხვ. ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც საბჭოს თავმჯდომარე ვარ და შევეცდები გამოვასწორო არსებული ხარვეზები, – თქვა სანდრა რულოვსმა. მან სამართლიანად მიიჩნია გლობალური ფონდის მკაცრი დამოკიდებულება საქმისადმი. ეს გრანტი მათი საჩუქარია, და ამიტომ, მათ კარგი შედეგი აინტერესებთ, რისთვისაც უნდა გავითვალისწინოთ მათი რეკომენდაციები, რომ უფრო ქმედითი იყოს ამ სამი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციისა და სხვა ღონისძიებები.

ბატონმა ვიქტორ ჩერნიავსკიმ საქართველოსთვის კვლავაც დახმარების მზადყოფნა გამოთქვა და დამსწრეთ შეახსენა, რომ გლობალური ფონდის პოზიცია პროგრამის შესასრულებელი სამუშაოების მაქსიმალური დაჩქარებაა. არადა, საქართველო გრაფიკს ჩამორჩა, რაც, ძირითადად, ობიექტური, მაგრამ გარკვეულწილად სუბიექტური მიზეზებითაც არის გამოწვეული. საჭიროა ტემპის აჩქარება. – ჩვენ გვინდა, რომ საქართველო სანიმუშო იყოს იმ ქვეყნებისთვის, სადაც გლობალური ფონდის პროგრამები ხორციელდება, განაცხადა ვიქტორ ჩერნიავსკიმ. მანვე დამსწრეთ ამცნო, რომ მალე მოეწერება ხელი ტუბერკულოზის კონტროლისა და პრევენციის პროგრამასაც.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, შიდსთან ბრძოლის პროგრამის განსახორციელებლად, უკვე ხელმოწერილია ხელშეკრულება 2 წლისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია 4 მილიონი აშშ დოლარი. რაც შეეხება მალარიის აღმოფხვრისა და მასთან დაკავშირებული პრობლემებისთვის – 806,300 აშშ დოლარი. პირველ წელს გამოიყო 438,900 დოლარი და პროგრამის განხორციელება წლეულს, 1 ივლისიდან დაიწყო.

აივ/შიდსის პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: მოსახლეობის მაღალი რისკ-ჯგუფების უფლებების დაცვის მიზნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში აივ/შიდსის პრევენცია; უსაფრთხო სისხლი და სისხლის პროდუქტები; ახალგაზრდებში აივ/შიდსის პრევენცია და სხვა.

6 ძირითადი მიმართულებით წარიმართება მალარიის პრევენციისა და კონტროლის განხორციელების პროგრამაც. უკვე შეძენილია 1280 კგ. ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტიანი ინსექტიციდები, რომლებიც განკუთვნილია მალარიის კერების დასამუშავებლად რეგიონებში.

პრეზენტაციაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი წერეთელი.

მოისმინეს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მოხსენებები. დასასრულს კი გაიმართა პრესკონფერენცია, რომლის დროსაც ჟურნალისტებმა და დამსწრე საზოგადოებამ ამომწურავი პასუხი მიიღეს შეკითხვებზე.

ბელა ლომთაძე.

ნავთობსადენი

საუკუნის მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სიგრძე ნიუ-იორკიდან მაიამამდე ან ლონდონიდან სამხრეთ ესპანეთამდე მანძილის ტოლია. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქალაქში ხმა დაირხა: აწი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა შეჩერდებაო. მაგრამ ეს არ არის მართალი, მშენებლობა ჩვეული ტემპით მიმდინარეობს და მომავალ წელს დამთავრდება. ამ აქტუალურ თემაზე გვესაუბრება ბი-პის პრესსამსახურის ხელმძღვანელი რუსუდან მემმარიაშვილი.

– მსოფლიო გლობალური მნიშვნელობისაა, კასპიის ზღვაში აღმოჩენილი ნავთობის დიდი რეზერვი, რომელიც დაახლოებით 17-დან 33 მილიარდ ბარელს შეადგენს, – თქვა მან, – მისი საბადოების ერთი ჯგუფი, საერთო სახელწოდებით აზერის, ჩირაგისა და გუნაშლის (აჩგ) საბადო, შეიცავს დაახლოებით 5,2 მილიარდ ბარელ ნავთობს და მათგან პროდუქციის მიღება დამატებითი საექსპორტო სიმძლავრეების ამოქმედებას საჭიროებს. ამჟამად ჩირაგის ადრეული ნავთობის პროექტის ფარგლებში ხდება ნავთობის ტრანსპორტირება დღეში 120,000 ბარელი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის საშუალე-



ბით სუფსამდე და ჩრდილოეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით ნოვოროსიისკამდე. განვითარების შემდგომ ეტაპზე ნავთობის მოპოვების პირველი ფაზის დაწყება 2005 წელს არის დაგეგმილი, ხოლო მეორე ფაზის სწრაფი განვითარება 2007 წლისთვის დღეში 800 000 ბარელის მოპოვების საშუალებას იძლევა. მაქსიმალური წარმოება – დღეში დაახლოებით მილიონი ბარელის ოდენობით – მესამე ფაზის დასრულებისას, 2010 წლისთვის არის ნავარაუდევი.

როგორც აზერის, ჩირაგისა და გუნაშლის ოპერატორი, ბი-პი ხელმძღვანელობს 2,9 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ახალი საექსპორტო გზის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნედლი ნავთობის მილსადენის დაპროექტებასა და მშენებლობას.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაივლის სამ ქვეყანას და 1760 კილომეტრს აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით – ხმელთაშუა ზღვამდე, თურქეთის პორტ ჯეიჰანში ახალი საზღვაო ტერმინალი აშენდება. ბი-პი ხელმძღვანელობს უცხოური კომპანიების ჯგუფს. ამათგან, ერთი კომპანია ექსპლუატაციას გაუწევს ნავთობსადენს დაახლოებით 20 წლის განმავლობაში. დაფინანსება მოხდება სხვადასხვა საერთაშორისო წყაროებიდან, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (მსოფლიო ბანკის ჯგუფის კომერციული დაფინანსების ინსტრუმენტი) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ექსპორტის საკრედიტო ორგანიზაციების და ბთჯ-ს მიერ. ნავთობსადენის ექსპლუატაციის შედეგად მიღებული საგადასახადო და სხვა სახელმწიფო შემოსავლები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმ სამი ქვეყნის აყვავების საქმეში, სადაც აღნიშნული ნავთობსადენი გაივლის.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ პროექტი უზრუნველყოფს დღეში ერთი მილიონი ბარელის (50 მილიონი ტონა წელიწადში) ტრანსპორტირებას საერთაშორისო ბაზრებზე და რეგიონს ენერგიის მსხვილი საერთაშორისო მწარმოებლის ფუნქციას მიანიჭებს. ბთჯ ნავთობსადენი მომარაგებს მსოფლიო ბაზრებს და მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს იმ ქვეყნებს, რომლებმაც ეკონომიკური დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვეს.

პროექტი ამ საუკუნის უდიდეს საინჟინრო მიღწევად არის მიჩნეული.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს იმ სამ ქვეყანას შორის დადებული სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულება, სადაც ეს ნავთობსადენი გაივლის და აგრეთვე ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან, რომელიც გაფორმებულია თითოეული ქვეყნის შესაბამის მთავრობასთან და ბთჯ მონაწილეებს შორის.

ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც ბთჯ პროექტის განვითარების ფინანსურ და სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს. ხელშეკრულება მკაფიოდ განსაზღვრავს იმ ვალდებულებებს, რომელთა დაცვა აუცილებელია, როგორც კონკრეტულ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან და პროცედურებთან, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებთან და ინსტრუქციებთან დაკავშირებით. ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ითვალისწინებს აგრეთვე თავისუფალ სატრანზიტო და საგადასახადო რეჟიმს, ასევე ბთჯ პროექტის მონაწილეების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის გარემოს დაცვისა და სოციალური კვლევების ჩათვლით. თითოეული ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს სატრანზიტო კორიდორებისა და ნავთობსადენის დაცვის უზრუნველყოფას.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გადაკვეთს სამ ქვეყანას, რომელიც მიაღწევს 2,800 მეტრ სიმაღლეს კავკასიონის მთებში, კასპიის ზღვიდან ნედლი ნავთობის უცხოეთის ბაზრებზე ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განხილვის დროს უმთავრესი ყურადღება გარემოსდაცვით საკითხებს ენიჭებოდა, აქედან გამომდინარე, ბთჯ იყო ერთადერთი რეალური მარშრუტი, რომელიც არ გამოიწვევდა ისედაც გადატვირთული ბოსფორის სრუტის დამატებით დატვირთვას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტი ოპტიმალურად ჩაითვალა, რადგან იგი ყველაზე ნაკლებ ეკოლოგიურ რისკთან არის დაკავშირებული, და ამავე დროს, გულისხმობდა იმ სამი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ხელშეწყობას, რომლებზეც ეს ნავთობსადენი გაივლიდა.

ბთჯ პროექტის განხორციელების ვადები ისე არის შერჩეული, რომ 2005 წლისთვის მშენებლობის დასრულება დაემთხვევა აჩგ-ის საბადოების პირველი ძირითადი ფაზიდან ნედლი ნავთობის გეგმიური მოპოვების დაწყებას.

ახალი ნავთობსადენის დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით. ნავთობსადენს აზერბაიჯანში და საქართველოში აშენებენ უცხოელი კონტრაქტორები, ხოლო თურქეთში – თურქეთის სახელმწიფო კომპანია ბოტაში (BOTAS), თურქეთის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი კონტრაქტის საფუძველზე.

ნავთობსადენის ამოქმედების და მის თავზე ნიადაგის გულდასმით აღდგენის შემდეგ ბთჯ უზრუნველყოფს ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებას შეუმჩნევლად და უხმაუროდ, ისე, რომ ობიექტის ახლოს მდებარე მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე არანაირ ზემოქმედებას არ მოახდენს.

ნავთობსადენი უსაფრთხოა, მილსადენების მარშრუტის მთელს სიგრძეზე ყველა სადგურზე არის კონტროლის სპეციალური სისტემები: ერთი დისტანციური მართვისა და მონიტორინგისთვის, ხოლო მეორე – უსაფრთხოების დაცვისათვს. ამ სისტემებს ერთად უწოდებენ მართვისა და უსაფრთხოების საერთო სისტემას, (ICSS), რომელშიც შედის პროცესების მართვის სისტემა (PCS) და საერთო უსაფრთხოების სისტემა. (ISS).

მილსადენზე საზედამხედველო კონტროლი განხორციელდება ბაქოს მახლობლად მდებარე სანგაჩალოს ტერმინალიდან ICSS სისტემის მეშვეობით, რომელშიც გამოყენებულია ბოჭკოვან-ოპტიკური ტექნოლოგიები, რომლებიც აკავშირებს ყველა სადგურს მილსადენის მთელ სიგრძეზე. ჯეიჰანის ტერმინალში არსებული იმავე ფუნქციების მქონე ICSS უზრუნველყოფს სარეზერვო საკონტროლო საშუალებებს იმ შემთხვევისთვის, თუ სანგაჩალოს საკონტროლო ცენტრი ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. თანამგზავრული კავშირები გამოიყენება საკომუნიკაციო სისტემების შეფერხების შემთხვევაში.

აგრეთვე შესაძლოა ლოკალური კონტროლი და მონიტორინგი საქართველოში არსებული პირველი სატუმბ-სადგურიდან, რომელიც დაკომპლექტებულია მუდმივი პერსონალით. იგი ნებისმიერ ინციდენტზე რეაგირებას მოახდენს.

ასე რომ, ამ მილსადენების გამო მოსახლეობას უსაფრთხოების მხრივ რაიმე პრობლემები არ შეექმნება და შესაბამისად, კომპენსაციის გადახდაც არ მოუწევთ.

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ მილსადენები დააპროექტეს და ააშენეს უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მათი ექსპლუატაციის დროს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯმენტს უმაღლესი პრიორიტეტი მიენიჭება. ჯეიჰანის ტერმინალიდან პირველი ნავთობის ექსპორტი მომავალი წლიდან განხორციელდება.

ლალი ძინძლაძე.

ინფორმაცია

აწყურელები კომპენსაციებს მოითხოვენ

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია გამართა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა ოთხი საათით შეაფერხა.

აქციის მონაწილეები კომპენსაციებს მოითხოვენ. მათი განცხადებით, აწყური მეწყერული ზონაა და ნავთობსადენის კომპანიის კუთვნილი მანქანები, რომლებსაც მთელი დღის განმავლობაში უწევთ მიმოსვლა, მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ საცხოვრებელ სახლებს.

აწყურის თემის საკრებულოს თავმჯდომარის გელა მუმლაძის განცხადებით, კომპანია მოსახლეობის პრობლემებით ჯერჯერობით არ დაინტერესებულა. ნავთობკორპორაციის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თემურ მაღრაძე კი აცხადებს, რომ ამ საკითხს უახლოეს დღეებში შეისწავლის და თუ დამტკიცდა, რომ სახლები ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ვიბრაციის შედეგად ზიანდება, კომპანია მთლიანად აუნაზღაურებს მოსახლეობას ზარალს.

„პროკრედიტ ბანკის" სიურპრიზი

„პროკრედიტ ბანკის" საბურთალოს ფილიალში სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის მსურველთათვის ერთთვიანი აქცია დაიწყო.

როგორც ინტერ-პრესს "პროკრედიტ ბანკში" განუცხადეს, 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ბანკის საბურთალოს ფილიალში სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში მომხმარებელი წლიური 9,5-პროცენტიანი დანამატის ნაცვლად, 10 პროცენტით გაზრდილ თანხას მიიღებს.

მოუხელთებელი „კრიმინალური ავტორიტეტი" დაკავებულია

გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე „შავი სამყაროს" ერთ-ერთი ლიდერი, მრავალჯერ ნასამართლევი ჯონდი მოწონელიძე დააკავეს.

მოწონელიძე 1983 წელს – ავტომანქანის გატაცებისთვის, 1989 წელს კი სიძის მკვლელობისთვის არის გასამართლებული. გარდა ამისა, იგი 1992 წელს გეგუთის კოლონიიდან განხორციელებული ჯგუფური გაქცევის ორგანიზატორია. იმავე წლის 1 დეკემბერს მიმალულმა მოწონელიძე ცაგერში მცხოვრებ ცხვედიანების ოჯახს დაესხა ყაჩაღურად, შემდეგ დაამზადა ყალბი პასპორტი ტარიელ ვაშაყმაძის სახელზე და საქართველო-რუსეთის საზღვარი გადაკვეთა.

ვაშაყმაძის სახელით მოსკოვში სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის მოწონელიძე სამჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში.

ოჯ, ეს ქრთამი

საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აჭარაში მერაბ დოლიძე თურქეთის მოქალაქისთვის თანხის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. დოლიძესთან ერთად დაკავებულები არიან ამავე სამსახურის წამყვანი სპეციალისტები იოსებ სულიკაშვილი და მიხეილ ბაინდურაშვილი.

აღნიშნული პირები თურქ თაბრინ ჰაიდს დაზღვევის არქონის მოტივით 150 დოლარს სძალავდნენ.

დაკავებულები წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს.

აჭარის შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, მათ თავისუფლების 8-დან 15 წლამდე აღკვეთა ემუქრებათ.

კონკურსის წესით შეირჩევიან

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში რეორგანიზაცია ხორციელდება. რეორგანიზაციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გუშინ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისგან ალექსანდრე ბეჟანიძისგან აჭარის უმაღლესმა საბჭომ მოისმინა.

რეორგანიზაციის ფარგლებში სამინისტროში სულ ექვსი სამსახური გაერთიანდა, მათ შორის – ფინანსთა, ეკონომიკის, შემოსავლების სამინისტროები, ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი და ქონების მართვის სამმართველო. მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო კი საქვეუწყებო დასით ახალ უწყებაში „ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის" სახელწოდებით გაერთიანდა.

რეორგანიზაციის შედეგად უწყებაში 120 თანამშრომლიდან 75 დარჩება. უახლოესი კვირის განმავლობაში თანამშრომლები ატესტაციას გაივლიან და თანამდებობებზე კონკურსის წესით შეირჩევიან.

ინტერ-პრესი.

ფიქრები „ვარდების რევოლუციის" წლისთავზე

ქვეყნის გადარჩენისთვის სამართლიანი საზოგადოება უნდა შევქმნათ

(მესამე გვერდიდან)

რამდენიმე წლის შემდეგ პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ საკუთარი განცხადებით გაანთავისუფლა მშენებლობის მინისტრი მ. ჩხენკელი და თან განაცხადა, იგი პატიოსანი მუშაკია, მაგრამ მაინც ვანთავისუფლებო. თუ პატიოსანი მუშაკი იყო, რატომ გაათავისუფლა?..

კანონის დამრღვევებმა სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა დაუბრუნონ უკანონოდ აშენებული სახლებიდან მიღებული თანხები, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ იმათ, ვინც უფლება გასცა უკანონო მშენებლობაზე.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის" ლიდერებს ეფექტიანი რეფორმების განხორციელებისთვის ბრძოლაში მხარში უდგას მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. მაგრამ არიან გამონაკლისები, რომლებიც აგრძელებენ სახელმწიფო ქონების ხელყოფას, აფეთქებენ ელექტროგაყვანილობის ანძებს, რის გამოც მოსახლეობა აღშფოთებულია და მოითხოვს ასეთი მოღალატეების მიმართ სასტიკი ზომების მიღებას. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტომანქანების ბაზრობამდე, მთელ ქუჩაზე მოპარულია კანალიზაციის ჭების თუჯის სახურავები, რომლებსაც ჯართის ჩამბარებელ პუნქტებში ჰყიდიან. იქ რომ ავტომანქანამ გაიაროს და ვერ შენიშნოს ეს თავღია ჭები, კისერს მოიმტვრევენ, მძღოლიც და მგზავრებიც. იპარავენ ელექტროსადენებს, ჭრიან და აბარებენ ჯართის მიმღებ პუნქტებში.

ქვეყანაში რეფორმების გატარება არცთუ ისე ადვილად მიმდინარეობს, მას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. ასე იყო ეს ყოველ სახელმწიფოში და ასე არის ჩვენთანაც. გასაკვირი არაფერია. რუსეთში დიდი რეფორმატორის პეტრე პირველის დროსაც იყო მძაფრი შინაბრძოლა, მოწინააღმდეგეები მკაცრად ისჯებოდნენ. ივანე მრისხანემ, პეტრე პირველმა ურჩობისთვის საკუთარი შვილებიც კი არ დაინდეს.

ოპოზიციური პარტიების ნაწილი ეწინააღმდეგება ეფექტიანი რეფორმების გატარებას, ზოგი მათგანი რევოლუციის დღეებში არც კი გამოჩენილა, დღეს კი უსაფუძვლოდ აკრიტიკებენ ხელისუფლებას და პრეტენზიები აქვთ დიდ თანამდებობებზე.

ჯერ კიდევ არსებობენ ძველი ხელისუფლების დროიდან შემორჩენილი თანამდებობის პირები, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ. დედოფლისწყაროში არსებულ სამხედრო საწყობში აღმოჩენილი საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ქვემეხების და ჭურვების განადგურების ფაქტები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არიან ისინი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ. მაშინ, როდესაც ქვეყანა იმყოფებოდა და, ფაქტობრივად, ახლაც იმყოფება საომარ მდგომარეობაში. ეს სამშობლოს ღალატია.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ სამართალდამცავმა ორგანოებმა დააპატიმრეს ძველი ხელისუფლების ხუთი მინისტრი და ბევრი მაღალჩინოსანი. მათ ბიუჯეტში დააბრუნეს მითვისებული მილიონები. მათი დანდობა არ შეიძლება, თუ მათ საშუალებას მივცემთ, თავი დააღწიონ ჩადენილ დანაშაულს, ისინი კვლავ გააგრძელებენ ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას და ამაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც შეიბრალა და დააფარა ხელი. გენიალური ვიქტორ ჰიუგო ამბობდა, „ვინც ძერას დაშავებულ ფრთას მოურჩენს, ის აგებს პასუხს მისი კლანჭების მოქმედებაზეო".

რეფორმების განხორციელებისთვის საჭიროა სამართლიანი საზოგადოების შექმნა და კანონის უზენაესობა. მხოლოდ ასე შეიქმნება პირობები ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, რათა აღორძინდეს ქვეყნის დანგრეული ეკონომიკა. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარება შეუძლებელია უენერგეტიკოდ. საქართველოში 26 ათასი მდინარე ჩამოედინება და ასეთი ქვეყანა ელექტროენერგიას უცხო ქვეყნებიდან ყიდულობს. ეს, სხვა თუ არაფერი, სირცხვილია.

ჩვენი ჰესები ჩალის ფასად გაიყიდა და ამჟამად ისინი გაჩერებულია. საჭიროა ინვესტიციების ჩადება და ჰესების მშენებლობა. თუ ინვესტორი მოიძებნება, ხუდონჰესის მშენებლობა განახლდება, ეს ჩვენი ქვეყნის გასაჭირიდან გამოყვანის გარანტია იქნება.

ცნობილმა ბიზნესმენმა ბატონმა ბ. პატარკაციშვილმა ამას წინათ ტელევიზიით განაცხადა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა ხელოვნების და სპორტის განვითარებაო. ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ჯერჯერობით უკეთესი იქნება, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას მივხედოთ, რათა ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდეს. მშიერი ხალხი არც ხელოვნებისთვის ვარგა და არც სპორტისთვის.

რეფორმის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, ამისათვის კი საჭიროა ბიუჯეტიდან თავდაცვის ფონდში საკმარისი რაოდენობის თანხები გადაირიცხოს. ჩვენ კბილებამდე შეიარაღებული მტერი გვყავს, რომელიც აფხაზ და ოს სეპარატისტებს სამხედრო ტექნიკით და ბოევიკებით ამარაგებს. უნდათ ჩვენი მიწების წართმევა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. პუტინი სიტყვით მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ფაქტობრივად კი, მის ანექსიას ახორციელებს. აღადგინა რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა სოხუმი – სოჭის მიმართულებით. აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს მისცა რუსეთის პასპორტები, ჩაერია თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებში და ყოველმხრივ უჭერს მხარს პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებულ ხაჯიმბას. თვითგამოცხადებული ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კოკოითი რჩევა-დაიგებას ლებულობს მოსკოვში. ვითომ რუსებს ესიამოვნებათ, ჩვენ რომ ბასაევი გამოვიძახოთ და მითითებები მივცეთ რუსეთის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ჩატარებისთვის. ხაჯიმბაც და კოკოითიც სეპარატისტები არიან. ასეთ ვითარებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით ნაკლებად დამაჯერებელია.

გოეთე გვასწავლიდა: „შეცდომა შეიძლება დავუშვათ, ვიდრე ახალგაზრდები ვართ, მაგრამ სიბერემდე არ უნდა ვათრიოთ იგი". 30 წლის განმავლობაში რამდენი შეცდომა და უმგავსოება ჩაუდენია ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, რასაც ვითმენდით და არ ვაკრიტიკებდით. ახლა კი ერთი წლის მანძილზე რამდენი სიკეთე გაკეთდა, გაუმჯობესდა ხალხის სოციალური მდგომარეობა, დაიწყო ხელფასების და პენსიების მომატება. შესრულდება დანაპირები, 2005 წლის პირველი იანვრიდან გაორმაგდება პენსიები და მოემატება ხელფასები. ცოტაც მოვითმინოთ, ვაცალოთ ხელისუფლებას ამ დანაპირების შესრულება.

ოპოზიციამ, ხელისუფლების კრიტიკასთან ერთად, ქვეყნის განვითარების სასარგებლოდ საქმიანი წინადადებები უნდა წარმოადგინოს. ამის ნაცვლად ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი საპატიმრო ადგილებში მიდის და პატიმრებს ჩვენებებს ართმევს, რასაკვირველია – ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. პატიმრების უფლებების დამცველი ორგანოები ისედაც ბევრია ქვეყანაში, პარლამენტშიც, მის გარეთაც, მხედველობაში მაქვს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი, ომბუდსმენი, არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი პატიმრების უფლებებს უფრო იცავენ, ვიდრე მათ მიერ დაზარალებული მოქალაქეებისას. ამის გამო აღარ არის საჭირო კიდევ, დამატებით, მათი პატიმრებთან შესვლა მათი ინტერესების დაცვის მიზნით: არ არის საჭირო დამნაშავეების დაცვა ცალკეული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიერ. ისინი უდანაშაულონი არიან თუ არა, ამას სასამართლო გადაწყვეტს. პირველი ინსტანციის სასამართლომ თუ დაუშვა შეცდომა, იგი მეორე ინსტანციაში გამოსწორდება ან ბოლოს – უზენაეს სასამართლოს მიერ. ასე რომ, უდანაშაულო ადამიანი არ დაისჯება. არა მარტო პატიმრები უნდა დავიცვათ, საჭიროა დავიცვათ დაზარალებულნი, და მათი უფლებებიც.

ნიცშე ამბობდა, „სახელმწიფო გონიერი დაწესებულებაა, რომელიც პიროვნებებს ერთმანეთისაგან იცავსო". ზოგი ოპოზიციონერი ისე დაწვრილმანდა, რომ პარლამენტის სხდომაზე აცხადებს, საჭიროა შევისწავლოთ ხელისუფლების ხელმძღვანელთა ნაციონალური წარმომავლობაო. ასახელებს ზოგიერთი მათგანის „უცხო წარმომავლობას". თუნდაც ასე იყოს, რა არის ამაში საძრახისი? საძრახისი ამ სხვატომელობაზე ამდენი ლაპარაკია. საქართველოში 80 ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მათ უყვართ ჩვენი ქვეყანა, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, ეს არის მათი სამშობლო და ძალით რომ გაყარონ, სხვაგან წამსვლელები არ არიან, ჩვენც გვიყვარს ისინი: აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, აფხაზები, ოსები და სხვ. ისინი ჩვენი ახლობლები და ნათესავები არიან.

პარლამენტის დეპუტატების ნაწილი, რომლებიც რეგლამენტის დაწესებულ წესებს არღვევენ და შეურაცხყოფენ ერთმანეთს, უარყოფითად მოქმედებს ამომრჩევლებზე. პარლამენტის ხელმძღვანელობამ, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა მათ, ეთიკის კოდექსი შემოიღო მას ყველამ მოაწერა ხელი. არადა, წესით, ამის შემოღება გამართლებული არ არის, რადგან ხალხის რჩეული ისედაც უნდა იყოს მაღალი ზნეობის, მორალის, ეთიკისა და პატიოსნების მქონე. ამიტომ აირჩია ისინი ათასობით ხალხმა. „იყო პატიოსანი იმას ნიშნავს, რომ იყო რჩეული ათი ათასთა შორის" (შექსპირი).

აბელ გეგია,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

◎ აი გამოცემა!

ხელხვავიანი შემოდგომა ჯემალ აჯიაშვილისა

მისი თავმდაბლობის ამბავი რომ ვიცი, ძნელად წარმოიდგენდა, ამ ორმოცი წლის წინათ, ჩვენი დედაუნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ჯემალ აჯიაშვილი, რომ, ორმოცი წლის შემდეგ, წიფობისთვეში, მას საპატიო თბილისელად აირჩევდნენ და მადლიერი ქართველი და ებრაელი საზოგადოება დაბადების 60 წლისთავს თბილისის საოპერო თეატრში გადაუხდიდა.

...დაღიოდა უჩუმრად სენაკიდან ჩამოსული ქართველი ებრაელი ყმაწვილი უნივერსიტეტში. ღმერთმა ინება და, მეც მის მეგობართა რიცხვში აღმოვჩნდი (დღეს რომ ასე მეამაყება), ვუკითხავდით ერთმანეთს ლექსებს, მწერალთა წრის შეკრებებზეც გვიკამათია და სტუდენტური, მწირი პურ-მარილის დროსაც. ვიცოდით, როგორ არ ვიცოდით, ჯემალი ნიჭიერებით რომ იყო სავსე, მაგრამ თუ ასე აწრთობდა ამ ნიჭს, თუ ამდენს მუშაობდა, თუ ამდენს ასწრებდა, აგერ, მოგვიანებით, კარგა ხნის შემდეგ გახდა პირადად ჩემთვის ცნობილი. და ეს, უფრო, მის მთარგმნელობით საქმიანობაზე ითქმის.

ამ ხნის განმავლობაში შესანიშნავი კრებულები გამოსცა – საკუთარი ლექსებისა თუ უცხოურიდან თარგმნებისა, თავისი მოღვაწეობით ერთ-ერთი მძლავრი ბურჯი გახდა ისრაელ-საქართველოს კიდეც უფრო დაახლოებისა, არის ბიბლიის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის წევრი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი, ყოფილი პარლამენტარი, თუმცა, აკი მოგახსენეთ, ეს შემოდგომა ჭეშმარიტად განსაკუთრებით ხელხვავიანი გამოდგა ჯემალ აჯიაშვილისთვის, ხელხვავიანია-მეთქი...

შემოვიდა გუშინწინ რედაქციაში ჩემი ჯემალი, ჯერ მისაყვედურა, ოპერის თეატრის რაგომ არ მოხველი, ხომ დაგპაგიქეო... მიმეცი რომ ავუხსენი, თავისებურად, კეთილად გაიღიმა, ა, სამაგიეროდ, შენ ხაჩუქარით და ჩანთიდან უზარმაზარი (თითქმის 600-გვერდიანი) წიგნი ამოიღო. **„ჯემალ აჯიაშვილი, „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა...“** – აწერია თეთრი შრიფტით მუქშინდისფერ სუპერზე. რა თქმა უნდა, გავიხარე და მასთან ერთად დავთვალიერე კიდეც.

შესავლის წერილში **„დრო-ჟამთა წიაღ...“** ჯემალ აჯიაშვილი ამბობს: **„ხალხური გადმოცემით, ბიბლიური ფსალმუნების ავტორს, პოეტთა მამად აღიარებულ დავით მეფეს, თავისი ქნარი სამეფო სახლის გალავანთან ჰქონია დაკიდებული. მთელი დღე, დილადან ვიდრე შუაღამემდე, იგი თურმე დუმდა, შუაღამისას კი, როცა იერუსალიმის ციხე-გალავნებს ჩრდილოეთის მაცოცხლებელი ნიავი დაბერავდა, ქნარი შეირხეოდა და თვითონვე იწყებდა გალობას. მის ჰანგებზე გამოღვიძებული მეფე-პოეტი გამოდიოდა გალანში, ჩამოიღებდა ქნარს და განთიადამდე თხზავდა თავის უკვდავ საგალობლებს.**

ფსალმუნთა წიგნი მართლაც ღვთაური შთაგონებით არის შექმნილი და დიდი მეფე-წინასწარმეტყველი მხოლოდ უმენარის ნებას თუ აღასრულებდა. ნებისმიერ შემოქმედებით აქტში, მეგაფორულად თუ ვიტყვით, სულიწმინდის სუნთქვა ისმის, პოეტურ მეტყველებაში მას მუშასაც უწოდებენ, განღეჭილობის უძირო ღამეებში „ჯოჯოხეთის“ სტრიქონებს რომ ჰკარნახობდა დანტეს...

„ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“ – ესაა ის პროფეტული გამონათქვამები გაჯერებული ეს სტრიქონები წავუმძღვარე სათაურად ამ წიგნს, რომელშიც სხვადასხვა დროისა და ქვეყნის თორმეტი ავტორია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს მსოფლიო პოეზიის იერარქიაში თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული, ყველას აერთიანებს ერთიანი პოეტური სივრცე, რომლისთვისაც არავითარი მიჯნა და სამანი არ არსებობს. კატაბრიობის დიდი პოეტები ხომ, რაფაელის ფრესკასა არ იყოს, ერთ დიდ სულიერ გრაპეზს შემოსხდომიან და კატათა მოდგმის უმთავრეს საფიქრალს დასგრიალებენ – სიყვარული იქნება ეს თუ ბოროტება, სიცოცხლე თუ სიკვდილი...

დროისა და სივრცის ჩვეულებრივი გაგება აქ თითქოს დაკარგულია; ასეთ შემთხვევაში ინგლისელი შექსპირიც და იაპონელი ჩიკამაცუც შეიძლება ერთმიმეორის გვერდგვერდ აღმოჩნდნენ (თუმცა ორივე მათგანის ურთიერთმეგობლობას ფორმალურად თითქოს მაინც აქვს საფუძველი: მათი შემოქმედებითი სულისკვეთების გიპოლოგიური თანხვედრის გამო აკი ჩიკამაცუს „იაპონელ შექსპირად“ მოიხსენებდნენ. და პირუკუ – ევროპული ცივილიზაციის გაცნობის შემდეგ შექსპირი „ინგლისელი ჩიკამაცუს“ გიგანტით შევიდა იაპონელთა ცნობიერებაში; ორივე მათგანის პოეტურ თვალსაწიერზე აღორძინების – დასავლური ისა თუ აღმოსავლური – ერთიანი სული გრიალებს).

და კიდევ ერთი: წიგნში წარმოდგენილი ლექსების ერთი ნაწილი შორდება თარგმანის, ასე ვთქვათ, რეგლამენტირებულ, „ნორმატიულ“ გაგებას. ეს უმალ „თარგმანებაა“ – ამ სიგყვის გრადიციული მნიშვნელობით, რაც ინტერპრეტირებისა და ვარიირების გარკვეულ ხარისხს გულისხმობს. ბიბლიური ფსალმუნები, როგორც ცნობილია, დავით მეფეს მიეწერება, თუმცა საგალობელთა მთელი წყება ვერც ქრონოლოგიურად, ვერც რიგი სხვა ნიუანსებით მისი მეფობის ხანაში ვერ შეიქმნებოდა, მაგრამ, რაკი ყველა ეს ფსალმუნი საკუთრივ დავითის საგალობელთა შთაგონებითაა შექმნილი და მის თარგმეი მოჭრილი, ყველა ბიბლიური ფსალმუნი დავითის სახელს დაუკავშირდა და ქართულ გრადიციაშიც „დავითნის“ სახელწოდებით დამკვიდრდა.

თუ თარგმანი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში არ მონაწილეობს და მას ყავლგასული სამუზეუმო ექსპონატის სუნი ასდის, იგი მუშაობს გვაგონებს, გულმოწყალე მკითხველს მოლოდინში რომ გაქვავებულა და, პოეტის მოხდენილი სიგყვებისა არ იყოს, მხოლოდ ქრესგომათიულ კუბოებში გაქვს ქათქათი...

ნებისმიერი პოეტი, მეგადრე მთარგმნელი, ნებსით თუ უნებლიეთ, „სულთა მიგრაციის“ კანონს ემორჩილება და დროსა და სივრცეში მოგზაურობს. და შენც – თითქოს წარმოსახვითი არგინთ ხელში, დაბბიჯებ ათასწლეულებში და ჟამთა წიაღ გადანახულ საგანძურს აუნჯებ; ხან ვის მიუკაკუნებ კარზე და ხან – ვის... თუ გამოგხედეს დანგემ, პეგრარკამ, შექსპირმა, თუ მათთან შემოქმედებითი დიალოგი მოხერხდა, ხომ კარგი, თუ არადა, – რა გაეწყობა. სანუგეშოდ ისღა დაგრჩენია, რომ ვარსკვლავთა ჩრდილში მყოფი და მაღალთა სულებს მიყურადებული, დროდადრო მათ ნათელსაც ინაწილებდი...

ეს არის ჭეშმარიგად უნიკალური წიგნი, ძვირფასო მკითხველო. მასში თავმოყრილია ჯემალ აჯიაშვილის მიერ სხვადასხვა დროს ბრწყინვალედ თარგმნილი მსოფლიო კლასიკური პოეზიის შედევრები – დანგე ალიგიერი, ფრანჩესკო პეგრარკა, მიქელანჯელო ბუონაროგი, ანგონიო ვიეალდი, უილიამ შექსპირი, მანძაევის ჩიკამაცუ, რაინერ მარია რილკე, ნელი ზაქსი, პეგერ ჰუხელი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ოსიპ მანდელშგამი, ბორის პასგერნაკი...

მაშ!

– თუმცა, – მეუხნება ჯემალი, – რომ იცოდეთ, ეს არ არის სრული „სია“ იმისა, რაც აგერ, ორმოც წელზე მეგია, „მოსავალი მომიწევია“. მაგალითად: ამ გომში ვერ შევიდა ბიბლიურ ფსალმუნთა და სხვა ბიბლიურ ავგორთა ჩემეული თარგმანები, ასევე, შეა საუკუნეების ებრული პოეზიის ანთოლოგია, კალდერონის, გორსო დე მალინას, კორლო ფოცის დრამაგული პოემები, ძველეგიპგური და ირანული პოეგური ნიმუშები და ათობით სხვა ავგორი... ეს ყველაფერი რომ გამოცემულიყო, ბარე ცხრა გომს მოიცავდა, მაგრამ მე ამითაც მადლობელი ვარ, რომ, ამ შეჭირვების ჟამს, ეს სოლიდური გომი მაინც გამოვიდა, რაშიც ძალიან შემიწყვეს ხელი საქართველოდან გამოსულთა კავშირმა (ისრაელი) და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა. მე დიდი მადლობელი ვარ მათი, მადლობელი ვარ აგრეთვე წიგნის რედაქგორების – მერაბ ღაღანიძისა და გიგი შაჰნაზარის, მხატვარ გუგა კოგეგიშვილის, დიზაინერ ბესიკ დანელიასი... წეგ, **19 ნოემბერს, 15 საათზე** წიგნის წარდგენა მოხდება ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში და, იმედია, იქ მაინც მოხვალ, – ღიმილით დასძენს ჯემალი.

კრებულში ჯემალ აჯიაშვილს შექსპირის პოემის „ლუკრეციას“ თარგმანი შეუგანია, რომლის შესახებაც აი, რას წერს „მცირე ბოლოთქმაში“ ცნობილი შექსპიროლოგი, პროფესორი, თავად შესანიშნავი მთარგმნელი გენიალური შექსპირისა, ნიკო ყიასაშვილი: „ჯემალ აჯიაშვილის მიერ თარგმნილი შექსპირი ნამდვილად შექსპირია, მხოლოდ აჯიაშვილისეული (შექსპირის ასეთი და ამ რანგის თარგმნელია, სხვათა შორის, პასგერნაკი). მთარგმნელი ღრმად ჩასწვდა შექსპირის ენობრივ და სგილისგურ შრეებს, რის შედეგადაც მივიღეთ ასეთი ღედნისეული და, ამავე დროს, ბუნებრივი ქართული ლექსი“.

ბაგონი ნიკო ყიასაშვილი დითირამბებს გყუილუბრალოდ არ არიგებდა.

გილოცავ, ჯემალ, ძმაო, დაბადების 60 წლისთავს, ამ ხელხვავიან შემოდგომას, როგორც ყველას, მთელ საქართველოს (და არა მარგო საქართველოს), მეც მიყვარხარ და მემამყვები.

ვილენ მარდალეიშვილი.

ჟაკ შირაკი არ იზიარებს ტონი ბლერის სიხარულს

გუშინ დაიწყო საფრანგეთის პრეზიდენგის ჟაკ შირაკის ოფიციალური ვიზიგი ლონდონში. ერაყში ომის შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობა საგრძნობლად გაცივდა. ლონდონმა, როგორც ცნობილია, მხარი დაუჭირა სამხედრო ოპერაციის დაწყებას, პარიზი კი სამხედრო ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე იყო.

„ერაყის პრობლემამ ნათლად წარმოაჩინა უთანხმოება ევროპასა და ამერიკას შორის, აგრეთვე გაუსვა ხაზი ბრიგანეთის როლს, – განაცხადა ბრიგანეთის პრემიერ-მინისგრმა გონი ბლერმა ლონდონის სიგის რაგუშაში საფრანგეთის პრეზიდენგის ჩასვლამდე სიგყვით გამოსვლის დროს. – ღღეს მსოფლიოში დარჩა მხოლოდ ერთი ზესახელმწიფო. ჩვენ მისი საიმედო მოკავშირე ვართ. მაგრამ ყველაზე გავლენიანი პოლიგიკური ძალა არის ევროპის კავშირი და ჩვენ მისი ერთ-ერთი წამყვანი წევრი ვართ. ეს ჩინებული მდგომარეობაა და ეს ძალზე უნდა გვახარებდეს“.

შირაკი არ იზიარებს ბლერის სიხარულს. ბრიგანული ჟურნალისგთვის მიცემულ ინგერვიუში მან თქვა, რომ ამერიკას არაფერი მიუცია ბრიგანეთისთვის მისი მხარდაჭერის სანაცვლოდ.

კერძოდ, ამერიკელებს არ გაუღიათ ძალისხმევა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის გამოცოცხლებისათვის. შირაკმა ეჭვქვეშ დააყენა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ერაყში ომის დაწყებით მოგებული დარჩა როგორც ბრიგანეთი, ისე მთელი მსოფლიო. „გარკვეულწილად სადამ ჰუსეინის წასვლა პოზიგიური მოვლენგი იყო, მაგრამ ამან ნეგაგიური რეაქციაც გამოიწვია. მაგალითად, იმძლავრა რადიკალურმა განწყობილებამ მოგიერთ ისლამურ ქვეყანაში, ამან კი მსოფლიოს კიდევ ერთი საფრთხე მოუგანა“, – თქვა შირაკმა ბიბი-სისათვის მიცემულ ინგერვიუში.

ტონი ბლერი აცხადებს, რომ ახლა ბრიგანეთი გახდა თავისებური „ხიდი“ ევროპასა და ამერიკას შორის. თუმცა შირაკი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, და აღნიშნავს, რომ დღევანდელ ამერიკასთან ურთიერთობაში არავის, და მათ შორის, არც ბრიგანეთის, არ შეიძლება ჰქონდეს „პაგიოსანი შუამავლის“ როლის შესრულების იმედი.

ლონდონის ეკონომიკის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობის პროფესორს უილიამ უოლესს მიაჩნია, რომ აქ საქმე ეხება კონკურენგიას: „ბრიგანელები პრეგენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ამერიკელებმა თავიანთ ევროპელ მოკავშირეებთან ურთიერთობა დაამყარონ ბრიგანეთის მეშვეობით“. თუმცა, აღნიშნავს უილიამ უოლესი, ამჟამად ბრიგანეთისა და საფრანგეთის ურთიერთობას ყველაზე ცუდს ვერ უწოდებთ.

ასე რომ, საქმე ორი ლიდერის პირად მეგოქეობაშია: „შირაკს საკუთარი თავი მიაჩნია ევროპის სრულუფლებიან ლიდერად, იგი ევროპულ პოლიგიკაში მოღვაწეობს შუა 1960-იანი წლებიდან. ეს აღამიანი ბლერს თავის ძირითად კონკურენგად მიიჩნევს. იმის მიუხედავად, რომ ბლერი ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში მოღვაწე ყველა სხვა ბრიგანელ პრემიერებზე უკეთ ფლობს ფრანგულ ენას, შირაკი კი საფრანგეთის სხვა პრეზიდენგებთან შედარებით გაცილებით უკეთ ლაპარაკობს ინგლისურად. მაინც სამწუხაროა, რომ ამ ორმა აღამიანმა ვერ შეძლო საერთო ენის გამონახვა“, – დაასკვნის უილიამ უოლესი.

ისრაელმა შეცდომით გაუხსნა ცეცხლი ეგვიპტელებს

ისრაელმა დაადასგურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისი არმიის ჯარისკაცებმა მოკლეს სამი ეგვიპგელი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მათ პალესგინელ მოთარეშეებად მიიჩნიეს.

დაწვრილებითი ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა, მაგრამ ისრაელის თავდაცვის არმიის რადიოსადგური იუწყებოდა, რომ ეგვიპგელებს ცეცხლი გაუხსნეს ღანკიდან ღაზის სექგორის სამხრეთ საზღვარზე.

ეგვიპგისა და ღაზის სექგორის საზღვარზე გამუდმებით ხდება შეგაკებები ისრაელის ძალებსა და პალესგინელ მოთარეშეებს შორის, რომლებიც ცდილობენ ისრაელის გერიგორიაზე იარაღის შემგანას.

ისრაელის მხარეს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ მისი ჯარისკაცები ამ რაიონში ხსნიან ცეცხლს ისე, რომ არც კი ცდილობენ გაარკვიონ, თუ ვის ესვრიან.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისგროს წარმომადგენლის მარკ რეგევის თქმით, სამხედროებმა შენიშნეს „საეჭვო მოძრაობა“ საზღვრისპირა რაიონში და გახსნეს ცეცხლი.

თუ ეს სავალალო შეცდომა იყო, შენიშნა რეგევმა, მაშინ ისრაელი ღრმა სინანულს გამოთქვამს ამის გამო.

„ეს საზღვრის ძალზე საშიში მონაკვეთია, რომლიდანაც გერორისგები ხშირად შემოსულან ჩვენი ქვეყნის გერიგორიაზე, ასე რომ, ჩვენმა ჯარისკაცებმა ცეცხლის გახსნის დროს დაიცვეს ყველა წესი. მოგვაანებით, ეგვიპგელებმა განაცხადეს, რომ ამ ინციღენგის შედეგად დაღუპულან მათი ჯარისკაცები“, – თქვა რეგევმა და დასძინა, რომ გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ამ ფაქგის გამო სინანული გამოთქვა ისრაელის თავდაცვის მინისგრის მოადგილემ შვეე ბოიმმაც.

ამ ინციღენგს, შესაძლოა, მოჰყვეს ძალზე სერიოზული შედეგები, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისრაელს აქვს ეგვიპგის დახმარების იმედი ღაზის სექგორიდან ისრაელის არმიის გამოყვანისა და ებრაელთა დასახლებების გამოგანის შემდეგ, იქ უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

აბასი პალესგინელთა დაჯგუფებებს ემუქრება

მაჰმუდ აბასმა, რომელიც იასირ არაფგის გარდაცვალების შემდეგ სათაოეში ჩაუდგა პალესგინის გათავისუფლების ორგანიზაციას, განაცხადა, რომ განახორციელებს სერიოზულ ღონისძიებებს პალესგინის გერიგორიაზე მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებების წინააღმდეგ.

მაჰმუდ აბასმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ბოლოს მოულებს იარაღის დემონსგრაციული გარების პრაქგიკას.

რეიგერის საგენგოსთვის მიცემულ ინგერვიუში აბასმა თქვა, რომ მგკიცედ იმოქმედებს ყველა იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც დაარღვევს კანონს. მისი მიზანია, რომ მოქალაქეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. მეთვალყურეთა აზრით, მაჰმუდ აბასი პალესგინის ავგონომიის მეთაურის პოსგის რეალური პრეგენგენგია.

ამავე დროს, პალესგინელთა დეფგაგია გაემგზავრა პარიზს, სადაც გარღაიცვალა იასირ არაფგი. როგორც რამალაში აცხადებენ პალესგინელთა სახელმწიფო მოხელეები, დელეგაციის წევრებს სურთ გაიგონ არაფგის გარდაცვალების მიზეზები.

ავგონომიის პრემიერ-მინისგრმა ამჰედ ქურეიმ მოითხოვა საჯაროდ გამოექვეყნებინათ ავადმყოფობის ისგორია, მაგრამ საფრანგეთის კანონმდებლობით ამის გაკეთება აკრძალულია.

ფრანგული კანონმდებლობით მხოლოდ არაფგის უახლოეს ნათესავებს მიუწვდებათ ხელი ამ ინფორმაციაზე.

ირლანდია „მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაა“

ირლანდია გავიდა პირველ ადგილზე „ცხოვრების დონის“ მიხედვით და გაუსწრო გრადიციულად ლიდერ სახელმწიფოებს – შვედეთს, კანადას და ნორვეგიას.

„ცხოვრების დონის“ რეიგინგი ცალკე აღებულ ქვეყანაში პირველად შეადგინა ჟურნალმა „ეკონომისგმა“ 17 წლის წინათ. ახლა ეს ინდექსი ყოველწლიურად ქვეყნდება ჟურნალის გამოცემაში „მსოფლიო მომავალ წელს“.

2004 წელს ამ საპაგო სიას სათავეში პირველად ჩაუდგა ირლანდია.

ამა თუ იმ სახელმწიფოს შეფასებისას ითვალისწინებენ ყველა იმ ფაქგორს, რომლებიც მეგ-ნაკლებად ეხება აღამიანის არსებობას – იქნება ეს შემოსავლების დონე, ოჯახური კეთილდღეობა, საზოგაღოებრივი თავისუფლება, სამედიცინო მომსახურება, სქესების თანასწორუფლებიანობა და სხვა.

გამოცემის დირექგორის დანიელ ფრანკლინის თქმით, ირლანდიას გაუმართლა, რადგან სწორედ ამ ქვეყანას აქვს ყველაზე სასურველი ფაქგორების საუკეთესო შეწარჩევი – „უმუშევრობის დაბალი დონე, დიდი პოლიგიკური თავისუფლება, სგაბილური ოჯახური ცხოვრება“.

ირლანდიაში მრავალი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სერიოზული ცვლილებები. ეკონომიკური ზრდის ტემპით მან კარგა ხანია გაუსწრო ევროპელ მეზობლებს.

და მაინც, ჟურნალ „ეკონომისგის“ დასკვნებმა გააკვირვეს ირლანდიელები, რომლებიც გრადიციულად არ მიიჩნევენ თავიანთ ქვეყანას „მსოფლიოში ყველაზე წარმაგებულად“.

ამის მიუხედავად, ობიექგური მახასიათებლების ჯამის მიხედვით ირლანდიამ გაუსწრო რეიგინგის გრაღიციულ ფავორიგებს – შვეიცარიას, ნორვეგიას, ლუქსემბურგსა და შვედეთს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს ეს, ყველაზე ნაკლები რაოდენობის ქულა მოაგროვეს საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიგანეთმა (შესაბამისად 25-ე, 26-ე და 29-ე ადგილები): ამ ქვეყნებში ძალზე მაღალია შემოსავალი სულ მოსახლეზე, თუმცა, დიდია განქორწინებათა პროცენგი და სუფეგს სოციალური უთანასწორობა.

ამერიკის შეერთებულმა შგაგებმა დაიკავა მე-13 ადგილი, ჩინეთმა მე-60, რუსეთი კი ამ ნუსხაში 105-ეა, რომელშიც ბოლო – 111-ე ადგილი უკავია ზიმბაბვეს.

გთავაზობთ პირველი ათეულის ქვეყნებს:

1. ირლანდია, 2. შვეიცარია, 3. ნორვეგია, 4. ლუქსემბურგი, 5. შვედეთი, 6. ავსგრალია, 7. ისლანდია, 8. იგალია, 9. დანია, 10. ესპანეთი.

მოკლედ

უკრაინის პრემიერ-მინისგრმა მანმოჰან სინგჰმა განაცხადა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ქაშმირის პრობლემის შესახებ იმ ადა-

მიანებთან, რომლებსაც შეუძლიათ „ძალადობის აღკვეთა“. ინდოეთი „ბონუსის“ სახით მზად არის გამოუყოს ქაშმირს 5,3 მილიარდი ღოლარის ეკონომიკური დახმარება.

* * *

2004 წელს აგლანეთში ნარკოგიკების წარმოება 64 პროცენგით გაიზარდა. ეს ხაზგასმულია გაეროს ნარკოგიკების წინააღმდეგ ბრძოლის ცენგრის მოხსენებაში, რომელიც ხუთშაბათს გამოქვეყნდა. ამასთან დაკავშირებით, გაერო მოუწოდებს აგლანეთის მთავრობას, გაადაგას ქმედითი ნაბიჯები ოპიუმის ნათესების განადგურების საქმეში.

* * *

ბელგიამ სადღეღამისო დაცვა დაუწესეს სენაგორ ქალს, რომელსაც „რეგულური მკვლელობით“ ემუქრებიან. მუქარით აღსავსე გელეფონის ზარები და წერილები გამოჭნდა მას შემდეგ, რაც ბელგიის პარლამენგის ამ წევრმა (წარმოშობით მუსლიმანმა) მკაცრად გააკრიგიკა ბელგიის მუსლიმანთა თემის ხელმძღვანელობა, რომელმაც არ დაგმო ჰოლანდიელი კინორეჟისორის თეო ვან გოგის მკვლელობა.

* * *

ეგვიპგის დედაქალაქს ვარდისფერი კალიები შეესივნენ. ქალაქის ცა დაიბნელა მილიონობით მწერმა, რითაც მათ სერიოზული პანიკა გამოიწვიეს კაიროს მცხოვრებლებში შორის. თვითმხილველთა თქმით, კაიროში კალიების „ნამდვილი წვიმა“ მოვიდა.

* * *

კრონღლიმა რასის ოპერაციისთვის ამზადებენ. ოპერაცია „უმნიშვნელო“ იქნება და რაიმი უკვე შაბათს დაბ-

რუნდება შინ, განაცხადა მისმა პრესმდივანმა შონ მაკკორმაკმა, თუმცა, მან თავი შეიკავა რაიმე დეგალების გამხელისაგან.

* * *

ამერიკის შეერთებული შგაგების ხელისუფლება ძალზე დაინგერესდა უახლესი სარაკეგო-ბირთვული სისგემების შესახებ პუგინის მიერ გაკეთებული განცხადებით. სპეციარო განცხადებაში ოფიციალური ვაშინგგონი ამგკიცებს, რომ იცნობს რუსეთის გეგმებს, თუმცა, კერძო საუბრების დროს, ბუშის ადმინისგრაციის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ დაინგერესებული არიან პუგინის მიერ გაკეთებული განცხადებით და სურთ რაც შეიძლება მეგი დაწვრილებითი დეგალი შეიგყონ ამის თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისგროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია II კაგეგორიის საქმიანობაზე:

1. ქარელის რ-ნის კუხიჯრის საკრებულოს სათემო კავშირ „ლისაურის“ მიერ ქობულეთის რ-ნის სოფ. აჭში მდებარე „ჰიდროელექგროსადგურ აჭის რეაბილიგაციის პროექგი“;

2. შპს „მამულის“ მიერ ღეღოფლისწყაროს რ-ნში (ჯაგაანთ ყურე) „სამონადირეო მეურნეობა „მამულის“ შექმნისა და გაძღოლის პროგრამა;

3. შპს „ვიქგორიას“ მიერ თერჯოლის რ-ნის სოფ. გოღოგანში „კირქვების საბადოს დამუშავების პროექგი“;

4. I კაგეგორიის საქმიანობაზე შპს „მგკვარის“ მიერ „ასფალგბეგონის ქარხნისა და ინერგული მასალების გადამუშავების საწარმოს გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიში (მცხეთის რ-ნი სოფ. მუხრანი)“.

საპროექგო დოკუმენგაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ბ. წ. 4 იანვრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისგროს პრესცენგრში: თბილისი, კოსგავას № 68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტელ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 4 იანვარს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისგროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.

2004 წლის 30 ნოემბერს, დღის 3 საათზე, ქ. შარგავას ქ. № 7 (შრომის სასახლე, VII სართული) გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ბინათმშენებლობის ამხანაგობის გამგეობის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ;
(მომხს. ამხანაგობის თავმჯდომარე).

2. ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის კუთვნილი ტერიგორიის ამხანაგობა „ჟურნალისგი-3“-ის მიერ უკანონოდ მითვისების, ბენზინგასამართი სადგურსა და „მაერსკ-საილენდთან“ დაკავშირებული პრობლემების შესახებ;
(მომხს. ამხანაგობის თავმჯდომარის მოადგილე).

3. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.
(მომხს. ამხანაგობის იურისგი).

ინდ. მეწარმე ედუარდ ამირანაშვილის გარემოსდაცვითი საქმიანობის მოკლე ანოგაცია

ინდ. მეწარმე ედუარდ ამირანაშვილის საწარმოს საქმიანობის მიზანია:

ხის სახერხი საამქროს ფუნქციონირება. წელიწადში 2080 მ³ ხის მასალა.

საწარმოს ხელმძღვანელი – ედუარდ ამირანაშვილი.

საწარმო თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, ბარალეთის ქ. № 14.

საწარმოს მთელი სისრულით ამოქმედება დაგეგმილია 2004 წლის მე-4 კვარგალიდან. საქმიანობის დასრულების ვადა განსაზღვრული არ არის.

საქმიანობის კაგეგორია – მესამე.

მისამართი: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ: 98-87-36, 98-81-48.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 269. პარასკევი. 19 ნოემბერი. 2004 წელი.

◎ მესამე სექტორი

პრივილეგირებული არასამთავრობოებიც არიან

ადამიანის უფლებების დაცვა დემოკრატიის ქვაკუთხედია

უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის ლიდერი თუ ჩვეულებრივი თანამდებობის პირი საქართველოში სტუმრობისას სრულ სიმართლეს – თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში, ხშირად არასამთავრობო სექტორისგან იგებს. ამას წინათ ნატოს გენერალური მდივანი სხეფერი, სანამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს შეხვდებოდა, პირველად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ეწვია.

დღეს მინდა გაგაცნოთ ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნისტიის“ წევრი გიორგი თევზაძე. იგი 17 წელიწადია ამ საქმეს ემსახურება. პროფესიით იურისტი, ბუნებით პატიოსანი ახალგაზრდა კაცი, შეჭირვებული ადამიანების გვერდით დგას. ხშირად მიუღწევია კიდეც წარმატებისთვის, დარდით, ტკივილით, ლოდინით დაღლილ უიმედო მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის სამართალი უპოვია. წარუმატებლობაც ჰქონია, მაგრამ, გული არ გაუტეხია. მას მოქალაქეთა მიღება ერთ პაწია ოთახში უხდება. მიუხედავად მძიმე სამუშაო პირობებისა, მის კართან საშველად მოსულ ადამიანებს ყოველთვის ნახავთ.

სხვათა შორის, უპრიანია იმის აღნიშვნაც, რომ გიორგი თევზაძეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს საკმაოდ მაღალი, ერთობ პასუხსაგები თანამდებობა ეკავა: იგი „მრგვალი მაგიდის“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ.

– ბატონო გიორგი, სამართალდამცავ ორგანოებში რეფორმა კარგა ხანია დაიწყო. თქვენ, როგორც ცნობილი ადამიანის უფლებათა დამცველი, როგორ შეაფასებდით მის შედეგებს?

– რეფორმები ყველა სტრუქტურაში მისასალმებელია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით პრაქტიკული შედეგები არ იგრძნობა. სამწუხაროდ, პოლიციაში ვერ აღმოიფხვრა იარაღისა და ნარკოტიკების ჩადება, ადამიანის წამების და მიუღებელი ქმედებების ჩადენა, ცრუ მოწმეების შტატის შემოღება. ისე, საზოგადოების რეაქციას გარკვეული დადებითი შედეგები მაინც მოჰყვა. დაკავებულია არაერთი სამართალდამცველი. თვით ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სატელევიზიო გამოსვლისას დაგმო პოლიციის ასეთი უმსგავსო ქმედებები და მკაცრი კონტროლი მოითხოვა. ჩვენს ორგანიზაციაში არაერთი განცხადება შემოსულა ასეთ საკითხებზე.

მაგალითად, მოქალაქე ოთარ კაპანაძემ მოგვმართა, რომ მისი შვილი აჩიკო კაპანაძე მთაწმინდა-კრწანისის პოლიციამ დააკავა. შემდეგ, კრიმინალური პოლიციის უფროსმა გიორგი ცააძემ ცეცხლსასროლი იარაღი შეუტანა და უთხრა, ეს შენიაო! ჩხრეკისას ცრუ მოწმე დავით გუგუშვილიც გვერდით დაიყენა. კაპანაძემ ამის გამო არაერთხელ მიმართა შესაბამის სამსახურებს, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ მას სათანადოდ დავეხმარეთ...

გლდანი-ნაძალადევის რაიონში მცხოვრები ირაკლი აბუსერიძის ბინაში, ნარკოტიკული ნივთიერება შეიტანეს და საწოლის ქვეშ დამალეს, საწოლი აბუსერიძის დედის აღმოჩნდა... აქაც ცრუ მოწმეები დაისწრეს, ვინმე ფოლადაშვილი და თამაზაშვილი, რომლებიც დაქირავებული არიან და არაერთხელ იყვნენ ასეთ საქმეებში შემჩნეული. თუ ეს მოწმეები მოისყიდეს, ისინი ყველა სახის დანაშაულს „დაადასტურებენ“ და საქმე უკვე შეკერილია. რამდენიც უნდათ, იმდენს „გაყურყუტებენ“ ციხეში. გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ.

მსგავსი ფაქტები დღეს ნამდვილად არ უნდა ხდებოდეს. კანონის უზენაესობა თუ არ იქნა, სამართლებრივ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. ჩვენ ყოველთვის გადაველობებით უკანონობას.

– თქვენი აზრით, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ადრე უფრო იყვნენ შეზღუდული თუ დღეს?

– წინა ხელისუფლების დროს, ძალოვან სტრუქტურებში ჩვენს მიერ მიწოდებულ ფაქტებზე დროული რეაგირება ხდებოდა. როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნისტიის“ წევრი, რომლის სათაო ოფისი ლონდონშია, ხშირად იძულებული ვარ დახმარებისთვის მივმართო ამ საერთაშორისო „ამნისტიას“. ლონდონიდან გამოხმაურება სწრაფად ხდება. შედეგიც არის. რატომ უნდა იყოს ასე? ჩვენ ხომ იმ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომელსაც მსოფლიოში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრეტენზია აქვს. ჩვენი ორგანიზაციის თითოეულ წევრს აწუხებს ის, რაც საქართველოში ჯერ კიდევ ხდება.

სულ ახლახან პრეზიდენტის მითითებით იუსტიციის სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შეიქმნა საბჭო, რომელთაც პენიტენციურ სისტემაზე მონიტორინგის უფლება მიეცა. აქაც, რატომღაც, შერჩევით მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების შეყვანა. თუ რა კრიტერიუმებს მიექცა მეტი

ყურადღება, ჩემთვის გაუგებარია. ალბათ, ვისაც უფრო მაღლა ეჭირა რევოლუციის დროშა. თამამად ვიტყვი, რომ ზოგიერთებს ნაკლები გამოცდილება და დამსახურება აქვთ, მიუხედავად ამისა, მაინც პატივში არიან. ზოგიერთები კი წლობით იღვწიან ადამიანის უფლებების დასაცავად და შეზღუდულები არიან. იმედია, ეს ტენდენცია დიდხანს არ გაგრძელდება და ბოლო მოეღება „პრივილეგირებულ“ და „არაპრივილეგირებულ“ არასამთავრობო სექტორის არსებობას.

– საქართველოში, სამწუხაროდ, შეიმჩნევა არალეგალური ბორდელების მომრავლება, ტრეფიკინგის ფაქტებმაც იმატა. ამბობენ, რომ თავად მაღალჩინოსნები მფარველობენ ასეთ ხალხს. თქვენი ორგანიზაცია ამ მხრივ რას აკეთებს?

– გეთანხმებით, ასეთი გარყვნილების ბუდეებს, ხშირად ჩინოვნიკები მფარველობენ. ასე რომ არ იყოს, მაშინ არც ერთი „ჰარამხანა“ არ იარსებებდა. მეტსაც გეტყვით. ასეთი სახლების მეპატრონეებს ისინი ზოგჯერ ინფორმატორებად და აგენტებად იყენებენ. რევოლუციის შემდეგ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. პირიქით, ზოგიერთმა ჩინოსანმა ასეთ სახლებს სახელიც კი მოუძებნა და კომერციულ ობიექტად მონათლა.

ჩვენთან შემოვიდა ერთ-ერთი დაზარალებული ახალგაზრდა ქალის განცხადება, რომელიც აღნიშნავდა: – ოსიაურის პოლიციის საგუშაგოსთან იყო სასტუმროს ტიპის სახლი. ამ სახლის მეპატრონეები „სუტენიორობდნენ“, ჰყავდათ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები და აიძულებდნენ დაეკმაყოფილებინათ კლიენტები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, იქ შედგა კომპეტენტური ჯგუფი, რომელიც ადგილზე გაეცნო ვითარებას და ეს ფაქტი დადასტურდა. მაშინ, „მართალია ამ „ბუდემ“ შეწყვიტა მუშაობა, მაგრამ შემდეგ ვიღაცის მფარველობით ისევ განაგრძო ძველი საქმიანობა.

– თქვენ, როგორც პატიმართა უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ, კონკრეტულად, რა ღონისძიებები განახორციელეთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ყოფის შესამსუბუქებლად?

– საზღვარგარეთის ციხეებსა და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, მძიმე ყოფის მიუხედავად, მაინც არ რჩება საკუთარ ცოდვასთან მარტო. იმის გარდა, რომ მათ შექმნილი აქვთ ნორმალური არსებობისა და შრომის პირობები, ასეთ დაწესებულებებში აქტიურად მოქმედებს რელიგიური და ფსიქოლოგიური სამსახურები, რომელთა წარმომადგენლებს ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ თითოეულ პატიმართან. ეს კი ხელს უწყობს პიროვნების მიერ საკუთარი თავის შეცნობას, ნამოქმედარის გააზრებას და თუ მათ სურვილი გაუჩნდებათ, მიუახლოვდებიან ღმერთს, აღიარებენ ცოდვებს, მოინანიებენ და განიწმინდებიან, რაც საჭიროა ადამიანისთვის და განსაკუთრებით – მსჯავრდებულისთვის.

საქართველოს ციხეებში შექმნილი პირობები საკმარისი არ არის ადამიანის სულის გადასარჩენად. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ თუ რა გავაკეთეთ, მოგახსენებთ: – მე, როგორც ყოფილი იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრი, ამ დაწესებულებებში რეგულარულად ვატარებდი მონიტორინგს. ჯანმრთელობაშერყეული პატიმრები დაუყოვნებლივ გადმოგვყავდა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. სხვათა შორის, ეს საბჭო შეიქმნა მაშინდელი იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის დროს. ბატონ მიშასთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა და იგი ყოველთვის ყურადღებას აქცევდა საბჭოს საქმიანობას, მზად იყო დახმარების აღმოსაჩენად. ვხვდებოდით როგორც ჩვეულებრივ პატიმრებს, ასევე პოლიტპატიმრებს. მაგალითად, 1993 წელს უზენაეს სასამართლოში დოკვაძის, გელბახიანის და სხვა პოლიტპატიმრების პროცესებს ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი დამცველის რანგში გოგი ხოშტარია იცავდა. მრავალი გახმაურებული საქმეა ისეთი, სადაც წარმატებებს მივაღწიეთ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ წინა ხელისუფლების დროს ამ მხრივ უკეთესად იყო საქმე?

– მაშინ ანგარიშს უწევდნენ საზოგადოებრივ აზრს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი არც ერთი მიმართვა რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. სამწუხაროდ, დღეს ამას ნაკლები ყურადღება ექცევა. ალბათ, ეს იმიტომ ხდება, რომ როგორც აღვნიშნე, სამწუხაროდ, „პრივილეგირებულ“ არასამთავრობოებს უფრო მეტი ყურადღება ენიჭებათ. ვფიქრობ, მომავალში ყველაფერი დაიხვეწება, გადაფასდება და კანონის უზენაესობა დამკვიდრდება.

– ბატონო გიორგი, მწერალთა კავშირის ისტორიული სახლის გასხვისებასთან დაკავშირებით რას იტყვით?

– თვით ბერიას, ორჯონიკიძეს და კიდევ მათ მსგავსებს თავში არ მოსვლიათ, რომ მწერალთა კავშირის ისტორიული შენობა გაესხვისებინათ. ეს ყველაფერი ქართული ცნობიერების წინააღმდეგაა მიმართული. ჩვენ აუცილებლად მივმართავთ ქვეყნის პირველ პირს. თუ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მაშინ მსოფლიოს საერთაშორისო ინსტიტუტებს შევატყობინებთ და თუ საჭირო იქნა, მოვაწყობთ მშვიდობიან საპროტესტო აქციას, სადაც, მჯერა, ყველა საღად მოაზროვნე ქართველი მოვა და მხარს დაგვიჭერს. ისე, ვიმედოვნებ, რომ თავად ხელისუფლება უარს იტყვის ამ ჩანაფიქრზე. სასამართლოც საბოლოოდ მივა იმ დასკვნამდე, რომ ქართველი მწერლების მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

ესაუბრა
ნანა სულავა.

◎ მოღვაწე

კაცი, რომელიც შესანიშნავი მეცნიერიც იყო, პედაგოგიც და ორგანიზატორიც

პროფესორ ლუარსაბ შარაშიძის 80 წლისთავის გამო

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ პედაგოგსა და ორგანიზატორს, მედიკოს მეცნიერთა მრავალი თაობის აღმზრდელსა და მოამაგეს, ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დამაარსებელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ლუარსაბ შარაშიძეს.

იგი იყო სამედიცინო აზროვნების ელვარე გამობრწყინება და, ამასთან, უაღრესად კეთილსინდისიერი და უკომპრომისო მეცნიერი. განგებისგან დაჯილდოებული გახლდათ ხალასი ნიჭით, სხარტი აზროვნებით, შეუდარებელი მეცნიერული ალღოთი და განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობით, არაორდინარული მოვლენა იყო მეცნიერებაში. ჰქონდა ცოდნის ფართო დიაპაზონი, რომელიც მოიცავდა როგორც ფუნდამენტურ მეცნიერებას, ისე თეორიულ და კლინიკურ მედიცინას.

თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ლ. შარაშიძე მედიცინის უკეთილშობილეს საქმეს. იგი იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, უსაზღვროდ შეყვარებული სამშობლოსა და ხალხზე, მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას უშურველად ახმარდა მომავალი თაობის აღზრდას. მისი მოღვაწობა მედიცინაში აღინიშნა მეცნიერთა მთელი პლეადის აღზრდით, სამეცნიერო-კვლევით ისტიტუტებში თანამედროვე ლაბორატორიების ჩამოყალიბებით, ნოვატორული მეცნიერული კვლევებით, რაც ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დაარსებით დაგვირგვინდა...

ლუარსაბ შარაშიძის ნიჭი და განათლება არ გამოპარვია მის მასწავლებელს, საქართველოში პათოლოგიური ანატომიის სამსახურისა და კათედრის ფუძემდებელს აკადემიკოს ვლადიმერ ჟღენტს, რომლის წარდგინებით, მას, ჯერ კიდევ IV კურსის სტუდენტს, დაევალა პათოლოგიური ანატომიის ლექცია-პრაქტიკულების ჩატარება III კურსის სტუდენტებთან. ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა სტუდენტი მიიწვიეს კათედრაზე უფროს ლაბორანტად და ლექცია-პრაქტიკულების ჩასატარებლად, რაც მომავალი მეცნიერის სერიოზულ აღიარებას ნიშნავდა.

1951 წელს ლ. შარაშიძე მუშაობას იწყებს ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათომორფოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; ამ პერიოდში მის მიერ შესრულებულმა ფილტვის ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზური მენინგიტისადმი მიძღვნილმა გამოკვლევებმა თავისი სიახლითა და აქტუალურობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ მძიმე დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობის სრულყოფაში. მან მსოფლიოში პირველმა დაადგინა, რომ ჩანაცვლებული რნმ-ის მქონე მიკრობაქტერიები ნაკლებ ვირულენტურია, რასაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინების შესაქმნელად.

1955 წლიდან ლ. შარაშიძე მუშაობას იწყებს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტში ექსპერიმენტული ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად. მან პირველმა საქართველოში დანერგა ციტო-ჰისტოქიმიის მეთოდები და ჩამოაყალიბა პირველი ჰისტოქიმიური განყოფილება, სადაც გამოიყენებოდა ენზიმოქიმიური, ციტოფოტომეტრიული, ქსოვილოვანი კულტურების, ელექტრონული მიკროსკოპიული და სხვა უახლესი მეთოდები, რომლებმაც მკვეთრად აამაღლეს ჩატარებული კვლევების დონე. ამიტომ ლ. შარაშიძე აღიარებულია ამ უნატიფეს მორფოლოგიურ კვლევათა ერთ-ერთ პიონერად ყოფილ სსრ კავშირში.

მნიშვნელოვანი იყო ექსპერიმენტულ ონკოლოგიაში შესრულებული შრომათა ციკლი „კანის ინდუცირებული კიბოს ჰისტოქიმია“, რაზედაც 1960 წელს, 37 წლის ასაკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და გამოსცა ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც სპეციალისტების მიერ აღიარებულია, როგორც ორიგინალური კაპიტალური გამოკვლევა და ამ დარგში მომუშავე მეცნიერებისთვის სამაგიდო წიგნად გადაიქცა.

ლ. შარაშიძის ნაყოფიერი მუშაობა ონკომორფოლოგიაში გაგრძელდა ქსოვილოვანი კულტურების, ელექტრონული მიკროსკოპიისა და ფერმენტული ექსტრაქციის მეთოდების გამოყენებით. მან პირველმა საბჭოთა კავშირში, დაადგინა ლაბილური და სტაბილური რნმ-ს არსებობა და განსაზღვრა ლაბილური ფრაქციის როლი სიმსივნურ უჯრედთა მომწიფების პროცესში.

ამდენად, ჩამოყალიბდა სრულიად ახალი შეხედულება კიბოს მკურნალობაზე – კიბოს უჯრედები კი არ უნდა გავანადგუროთ, არამედ უჯრედის გენეტიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებით უნდა დავუკარგოთ მათ სიმსივნური ბუნება, გადავაქციოთ ისინი არააგრესიულ ნორმალურ უჯრედებად.

მან პირველმა შეიმუშავა უჯრედთა შენების ახალი სამუშაო სქემა, რომელიც ცხადყოფს ყველა უჯრედული და და უჯრედშიგა მემბრანების ერთიანობას, მათ სტრუქტურულ-სივრცობრივ ურთიერთდამოკიდებულებას ციტოპლაზმას, ბირთვსა და ბირთვაკს შორის. შეიმუშავა უჯრედთა მომწიფების ინდექსი.

ლ. შარაშიძის მიერ ჩატარებული ყოველი ექსპერიმენტი და კვლევისათვის შერჩეული მეთოდების თითოეული დეტალი ისეთი სიზუსტით იყო მეცნიერულად გააზრებული, რომ მიღებული შედეგები თითქმის ყოველთვის სიახლის მომტანი იყო და ავტორის ჩანაფიქრს პასუხობდა, რაც მის საოცარ და უტყუარ მეცნიერულ ალღოზე მიუთითებდა. წერდა მოკლედ, სხარტად და გასაგებად. ზუსტად გადმოსცემდა დასმულ საკითხს.

ლუარსაბ შარაშიძის ხელმძღვანელობით და დაუღალავი შრომით, განყოფილებაში მიმდინარეობდა ინტენსიური კვლევები, სამეცნიერო ინტერესთა სფეროს ფართო არეალმა და უზადოდ შესრულებულმა კვლევებმა შორს გაიტანეს ლაბორატორიის სახელი. მალე იგი საკავშირო მნიშვნელობისა ხდება და მასთან თანამშრომლობა სსრ კავშირის მრავალი წამყვანი სამედიცინო დაწესებულებისთვის უკვე პრესტიჟულია. აქ ჩამოდიან დისერტანტები თავიანთი შრომების შესასრულებლად თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. ასე მაგალითად, მოსკოვიდან, ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრიდან (დირექტორი – საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, აკადემიკოსი ბ. პეტროვსკი), რომელსაც საკმაოდ ძლიერი მორფოლოგიური განყოფილება ჰქონდა, ლ. შარაშიძის ლაბორატორიაში მოვლინებული იყო ოთხი დოქტორანტი, რომლებმაც მისი ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები. ამიტომაც იყო, რომ ლ. შარაშიძემ მოსკოველ კოლეგებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი და მყარი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც სერიოზული მასშტაბის მეცნიერმა.

სილამაზის ძიება მისი ხასიათის განუყოფელი ნაწილი იყო. მხატვარიც იყო და ესთეტიც. ჰისტოქიმიური ანალიზებისას მას აღაფრთოვანებდა არა მარტო მიღებული შედეგები, არამედ ამ რეაქციების თანმხლები ფერთა არაჩვეულებრივი შეხამება.

ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულ ამ განსწავლულ კაცს, მაღალი გემოვნება და ფერთა ჰარმონიის შესანიშნავი ფლობის უნარი ჰქონდა. ეს საშუალებას აძლევდა ბატონ ლუარსაბს, ტილოზე გადაეტანა თავისი სულიერი განწყობა, რაც გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევდა მნახველებში.

ლუარსაბ შარაშიძის მოღვაწეობა ქირურგიის ინსტიტუტში განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა არა მარტო თავად ბატონი ლუარსაბისთვის, რომელმაც უკვე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის სახელი დაიმკვიდრა, არამედ თვით საქართველოსთვისაც, რადგანაც აქ მუშაობის 20 წლის მანძილზე, მან შექმნა სრულიად ახალი ციტო-ჰისტოქიმიური და ენზიმო-ჰისტოქიმიური კვლევის ეპოქა, რომელიც მოედო მთელ საქართველოს სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტებს. სამშობლოს აღუზარდა მეცნიერთა მთელი თაობა, რომლებიც შემდგომ სათავეში ჩაუდგნენ სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, განყოფილებებსა და ლაბორატორიებს.

ქირურგიის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდიდან ლ. შარაშიძე აქტიურად მონაწილეობს ყველა მნიშვნელოვან რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ყრილობებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში პათომორფოლოგიის, ონკოლოგიისა და ციტო-ჰისტოქიმიის დარგში (მოსკოვი, ლენინგრადი, ნიუ-იორკი, პარიზი, ტოკიო, მაინის ფრანკფურტი, კიოტო, ბუენოს-აირესი, ბუდაპეშტი, პოლონეთი, ხარკოვი, კიშინიოვი და სხვა). ლ. შარაშიძის მოხსენებები თავისი სიახლითა და მასალის ღრმა ანალიზით ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია და, როგორც წესი, ყველა ფორუმებზე მაღალ შეფასებას იმსახურებენ. მოხსენებების გარდა, იგი აქტიურად ებმება დისკუსიებშიც, რაშიც მას მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, ხელს უწყობს ინგლისური ენის ცოდნაც. არაჩვეულებრივი პოლემისტი იყო. ამასთან, იცოდა საპირისპირო აზრის პატივისცემა. ლ. შარაშიძის შრომებისადმი დიდი ინტერესის მაჩვენებელია ცნობილ მეცნიერთა გამოხმაურება და ის დიდი კორესპონდენცია, რომელიც მის არქივში ინახება.

1968 წლიდან ლ. შარაშიძე, აკადემიკოს ვლ. ჟღენტის მიწვევით, შეთავსებით მუშაობს პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე პროფესორად, სადაც მის მიერ ჩატარებული ლექციები მუდამ გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნით და, როგორც წესი, ყოველთვის გამომდინარეობდა კლინიკურ-მორფოლოგიური პოზიციებიდან. იყო უზადო ლექტორი, მჭევრმეტყველი, ჰქონდა მოხსენების გამორჩეული კულტურა, რასაც განაპირობებდა მისი განათლების ფართო დიაპაზონი, განსწავლულობა და უმაღლესი პროფესიონალიზმი. შეეძლო ურთულესი საკითხის გასაგებად გადმოცემა. აზრის გადმოცემის დიდოსტატი იყო.

1975 წლის დასაწყისში უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორი ლ. შარაშიძე მთავრობის განკარგულებით დაინიშნა ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად და დაიწყო ზრუნვა ონკოლოგიური სამსახურის კოორდინაციასა და განვითარებაზე. უმოკლეს დროში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მთავრდება ახალი აპარატურით აღჭურვილი შენობის მშენებლობა ლისის ტბაზე. მისი ინიციატივით გაერთიანდა რამდენიმე მომიჯნავე პროფილის დაწესებულება და ქვეყნის ხელმძღვანელობისა და იმდროინდელი საკავშირო ჯანდაცვის მინისტრის დახმარებით შეიქმნა ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი.

ონკოლოგიის ცენტრში მუშაობის პერიოდში ლ. შარაშიძის მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი ეხება ონკოლოგიის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს რესპუბლიკის, ონკოქსელის ოპტიმალურ მართვას. რიგ შრომებში გაშუქებულია რესპუბლიკაში ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგიის თავისებურებანი, ძუძუსა და სხვ ორგანოების სიმსივნეების დიაგნოსტიკის გასაუმჯობესებლად, ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვ.

შარაშიძეს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მათ შორის – 9 მონოგრაფია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არის შესრულებული და დაცული 36 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

ლ. შარაშიძის სამუშაო კაბინეტისა და სახლის კარი მუდამ ღია იყო ყველასთვის, რადგანაც ადვილად და გულუხვად გასცემდა რჩევებსა და იდეებს. ცხადია, რომ ასეთი გულისხმიერი ბუნებისა და აზროვნების ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერმა, გაცილებით უფრო მეტ ადამიანს გაუწია დახმარება საკვალიფიკაციო თემის შესრულებაში და დაკავალიანა მეცნიერებაში. თავად მშრომელი – სხვათა ნამოღვაწარისადმიც კეთილმოსურნე იყო. მასში შესანიშნავად იყო შერწყმული როგორც მეცნიერის, ისე კარგი ორგანიზატორის ნიჭი, რაც დიდი იშვიათობაა.

ლუარსაბ შარაშიძე მუდამ მბორგავი და მოუსვენარი კაცი იყო. ჰქონდა ლაღი და სიმართლის მთქმელი ქართველი კაცის ბუნება, უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო.

საქმის ერთგული, უაღრესად შრომისმოყვარე მეცნიერი და პრინციპული პიროვნება იყო. იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაძაბულ რიტმში მუშაობდა, იცოდა დროის ყადრი, სულ ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა დროის უკმარისობას. ჩქარობდა – უნდოდა მეტი გაეკეთებინა...

68 წლის ასაკში, სამუშაო მაგიდასთან მოულოდნელად შეწყდა მისი მაჯისცემა, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი საუკეთესო სამეცნიერო ფორმაში იყო. წავიდა ამქვეყნიდან ისე, რომ ჰქონდა ამოწურული თავისი შესაძლებლობანი. განუხორციელებელი დარჩა მრავალი იდეა.

ძნელია, პრაქტიკულად შეუძლებელია, ერთ საგაზეთო მასალაში თუნდაც გაკვრით აღნიშნო ბატონი ლუარსაბის მთელი დამსახურება... მრავალი ადამიანური ღირსებით შემკული, დარბაისელი, თავმდაბალი პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტი – აი ასეთად დარჩა იგი თანამედროვეთა მეხსიერებაში.

რევაზ გაგუა,
ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სს თავმჯდომარე, პროფესორი;
ზაზა ზარქუა,
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;
ლევან ჩარკვიანი,
საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი.

◎ სოფელი

თამაზ ხაჭაპურიძის მთავარი საქმე

თრიალეთზე, მურადინისა და შუანას მთები რომ აფერადდება და ტყემლოვანისწყალიც ფერს იცვლის, ბუნება თითქოს შორიდან ნიშანს აძლევს ბარელებს – წელიწადის დრო იცვლება, ზამთარი მოდის და თადარიგი დაიჭირეთო.

ბარში დროების ცვლილებებს მიჩვეული არიან, მზადებით კი ზამთრისთვის მაინც ემზადებიან. ფოთოლს ჩამოყრის და გზაზე ტყეში მიმავალი ურემი გამოჩნდება, მინდორში სიმინდს არჩევენ, ბოსლებს ათბუნებენ, ჩალას ეზიდებიან. მე მათზე არ ვამბობ, ვისაც ორი ან სამი სული საქონელი ჰყავს, თორემ თამაზ ხაჭაპურიძეს თავისი ცხვარ-ძროხისთვის სამყოფად ზამთარში სამი ათასი შეკვრა თივაც არ ჰყოფნის, წელიწადის ყველა დრო მისთვის ერთნაირადაა დატვირთული.

ცხოვრობდა ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცაში მშრომელი და დაუზარელი კაცი. დილის რიჟრაჟზე რომ ადგებოდა, დაღამებამდე (ახლა დღის ოთხ საათზე რომ ღამდება, ასე არ იყო მაშინ) მოცლა არ ჰქონდა. შვილებიც თავის გვარზე ატარა, ვასილ ხაჭაპურიძემ წუთისოფელი შრომაში გალია და მიწაში რომ ჩავიდა, მოჭირნახულე კაცის სახელი თან კი არ წაიღო, შვილებს დაუტოვა. მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა, თამაზ ხაჭაპურიძემ, 1991 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო რომ დააარსა, სახელწოდებაზე ბევრი არ უფიქრია – „ვასილიჩი“ უწოდა. შპს დღეს საიმედო და საქმიანი პარტნიორია ბევრი ორგანიზაციისთვის ქარელის რაიონში და მის ფარგლებს გარეთაც.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს შექმნამდე თამაზ ხაჭაპურიძემ მაღალი პასუხისმგებლობის რიგ სამეურნეო თანამდებობებზე იმუშავა, ბოლოს ქვენატკოცისა და ფცის გაერთიანებულ მეურნეობაში მეცხოველეობის დარგს ხელმძღვანელობდა. 4200 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა, ხორცის, რძისა და სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმების ყოველწლიურად გადაჭარბებით შესრულება, ფერმებში სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება თამაზს არ გასჭირვებია მაშინაც კი, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ამინდი შეიცვალა. მალე საბჭოეთი დაინგრა და თამაზ ხაჭაპურიძე სხვებივით ნანგრევებში კი არ მოჰყოლია, ალღოიანმა მეურნემ იჯარით 20 ჰექტარი მიწის ფართობი აიღო, ცოტა სათიბიც მიუმატა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შეიძინა და ფერმერობას პირველად მოუსინჯა კბილი. სხვები რომ გეგმავდნენ – ორ კვირაში უნდა გავმდიდრდეთო, თამაზი სხვაგვარად ფიქრობდა: დინჯად, ყველა წვრილმანის გაანგარიშებით აშენებდა თავის ფერმერულ მეურნეობას, ლარს დებდა იქ, საიდანაც ლარი და ათი თეთრი უნდა ამოეღო. საბაზრო ეკონომიკას თავისი ზნეობრივი კანონები აქვს.

– ორ კვირაში ვერ აშენდები, – მითხრა ერთხელ თამაზ ხაჭაპურიძემ, – ორ კვირაში შეიძლება ჩაიძირო ან გაკოტრდე, როგორც ეს ბევრ სულსწრაფს დაემართა. ფერმერობა სეზონური კი არა, უწყვეტი პროცესია, ცხოვრების სკოლაა, რომელმაც არც არდადეგები იცის და არც მხართეძოზე წამოწოლის უფლებას იძლევა.

დღეს შპს „ვასილიჩს“ 34 ჰექტარი სახნავი ფართობი აქვს, სათიბი მინდვრები და მდელოები 250 ჰექტარია, 20 ჰექტარიც საძოვარი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, როგორც თამაზ ხაჭაპურიძე ამბობს, ბევრი არ ჰყავთ, სულ 40 სულია. ახლა ფერმის ჯიშობრივ განახლებაზე ფიქრობენ. თუ წლევანდელი წელი კარგად ჩაათავეს, რისი იმედიც აქვთ, ზამთარში კავკასიური წაბლა ჯიშის საქონელს შემოიყვანენ. იგი კარგად ეგუება მაღალმთიან პირობებს, საშუალო წლიური მონაწველი 3500 კილოგრამამდეა, ცხიმიანობაც მაღალი აქვს – 3,9 პროცენტი. საქონელი ზაფხულში შუანას მთაზე ეყოლებათ, ზამთარში – ფერმებში, ბაგურ კვებაზე.

ცხვარიც ჰყავს თამაზ ხაჭაპურიძეს, მეცხვარეობა საწარმოს ახალი „გატაცებაა“. ჯერჯერობით 300 სულია, მაგრამ გაისად ფარას 1500 სულამდე გაზრდიან. ასე ამბობს „ვასილიჩის“ ბუღალტერი მანანა გეგელაშვილი. ცოტა ღორიც ჰყავთ, ცოტა ფუტკარიც. ბუღალტერმა არ დააზუსტა ეს „ცოტა“ რამდენია და არც მე ჩავციებივარ. მთავარია, რომ ჰყავთ და ეს ყველაფერი საწარმოს შრომითი კოლექტივის (შპს-ში 25 კაცი მუშაობს, ზაფხულობით, მთაში, თიბვაზე დამატებით 40 კაცია დასაქმებული) ოჯახების კეთილდღეობას ხმარდება. ნამატი სოფლის მეურნეობის პროდუქტები სარეალიზაციოდ ბაზარზეც კი გააქვთ.

მეთევზეობა ახალი „ხილია“. საწარმოს ეზოში მძიმე ტექნიკა მუშაობდა. ექსკავატორი ციცხვით ღონიერად თხრიდა მიწას, თვითმცლელებიც იქვე ტრიალებდნენ.

– ტერიტორიას შემოვღობავთ, ტბორს წესრიგში მოვიყვანთ და ლიფსიტებს გავუშვებთ. წყლის პრობლემა არ გვაქვს – ტბორი მიწისქვეშა ნაჟური წყლებით აივსება. თევზი საუკეთესო სასაქონლო პროდუქტია, რომლის წარმოებაც დიდ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული. ეს დამატებითი ფულადი შემოსავალია; საწარმოს ყოველი კვადრატული მეტრი ამონაგებს უნდა იძლეოდეს, – ასე სწამს შპს „ვასილიჩის“ დირექტორს.

ეს რომ ასეა, ამაში მალე დავრწმუნდი. თამაზმა ამას წინათ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიგდებული შენობები შეისყიდა და უკვე ისინიც „დაასაქმა“. ერთში ხილის ყუთებს კრავენ (ახლა ხილის კრეფის დროა და საამქროში გახურებული მუშაობაა), მეორეში კი საკედლე ბლოკს უშვებენ.

საქმიანი ეზოს დათვალიერების შემდეგ ორხიდიანი მანქანით მე და თამაზი მინდორში გავედით. 34 ჰექტარ ფართობზე ორი ტრაქტორი გუგუნებდა. თესვას ამთავრებდნენ საწარმოს მუშები. კმაყოფილი ჩანდა თამაზ ხაჭაპურიძე.

– კარგი დღე იყო, – მითხრა მან დამშვიდობებისას, – მთავარ საქმეს – თესვას მოვრჩი, მაგრამ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეც დამრჩა გასაკეთებელი. ქარელში უნდა ავირბინო და ჩემს პატარა შვილიშვილს, იზას, თოჯინა ვუყიდო. დილით შევპირდი. ვიცი, ახლა ფანჯარასთან ზის და მოუთმენლად ელოდება, როდის გამოჩნდება გზაზე შინ მიმავალი პაპა...

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

⊙ თაობა

ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!..

მათემატიკური პროექტებისა და კომპიუტერული პროგრამების შემოქმედნი

საქართველოში „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები ნიჭიერებით გამოირჩევიან. არაერთხელ გაუმარჯვიათ რესპუბლიკურ, მსოფლიო თუ საერთაშორისო ოლიმპიადებში, კონფერენციებში. ამის დასტურიც გახლდათ ახლახან მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გამართული საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულთა შეხვედრა.

აი ისინიც: ათენში გამართული 45-ე საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილენი მათემატიკაში (ასევე გვასახელეს ინფორმატიკაში ათენში მოსწავლეთა მე-16 საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილეებმა) – საქართველოს გუნდის 6 წევრიდან 5 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ერთმა კი – სიგელი: გამარჯვებულთ შორის არიან თბილისის პროფესორ თენგიზ გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატიდან გიორგი ორველაშვილი, ირაკლი მერაბიშვილი და სანდრო ლომაძე. ქუთაისის რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მოსწავლე ავთანდილ რუხაძე, ქუთაისის ოცხელის სახელობის გიმნაზიიდან ვანო გოქაძე. საპატიო სიგელი დაიმსახურა თენგიზ გეგელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატიდან დავით ცირეკიძემ (ნაკრების უფროსი მწვრთნელი პროფესორი ლერი გოგოლაძე, მწვრთნელი გია ბარელიძე).

აღსანიშნავია ისიც, რომ დარბაზში მსხდომნი არ იყვნენ უბრალოდ მსმენელნი, ისინი გამარჯვებულთ შეკითხვებით მიმართავდნენ, დაეხმარა თუ არა თითოეულს წინა წლებში ჩატარებულ ოლიმპიადებში მონაწილეობის გამოცდილება, იყო თუ არა რთული ამოცანები, ძნელია თუ არა მათემატიკაში წარმატების მიღწევა და ა.შ. (გამარჯვებულთა შორის სამმა სკოლა უკვე დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხნენ).

დარბაზის შეკითხვებზე მწვრთნელების ლერი გოგოლაძისა და გია ბარელიძის პასუხი ასეთი იყო:

– მათემატიკაში ქართველი მოსწავლეების ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება!

ნორჩ პროგრამისტთა XVI მსოფლიო ოლიმპიადაზე საქართველოს მოსწავლეთა გუნდის 4 წევრიდან მედალი ორმა მიიღო: დემირელის სახელობის კოლეჯის მოსწავლმ ზვიად მეტრეველმა (მას ვერცხლის მედალი და სპეციალური მედალიც გადაეცა) და ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის გიმნაზიის მოსწავლემ ირაკლი ხომერიკმა, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა (მათი გუნდის უფროსი მწვრთნელი პროფესორი გია გვარამია და მწვრთნელი გოჩა მანდარია).

ნიჭიერ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა ამ შეხვედრაზე განსაკუთრებით გამოარჩიეს დემირელის სახელობის კოლეჯის მოსწავლე ზვიად მეტრეველი, რომელმაც ამ 3 წლის წინათ ფინეთში ჩატარებულ მსოფლიო ოლიმპიადაზე 11 წლის ასაკში მოიპოვა მსოფლიო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი, წლეულს ათენში გამართულ ოლიმპიადაზეც ის ყველაზე ახალგაზრდა მედალოსანი იყო და ინფორმაციის დამმუშავებელთა საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური მედლითაც დაჯილდოვდა. ზვიად მეტრეველი დემირელის სახელობის კოლეჯის მე-10 კლასის მოსწავლეა და მას უკვე მოპოვებული აქვს საერთაშორისო ოლიმპიადის ერთი ვერცხლის, საერთაშორისო კონფერენციების 2 ბრინჯაოს მედალი და გამორჩეულია, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მქონე ყმაწვილი. ზვიად მეტრეველმა და ირაკლი ხომერიკმა (ის პირველად მონაწილეობდა საერთაშორისო ოლიმპიადაზე) ისაუბრეს ოლიმპიადებზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე, სამომავლო გეგმებზე.

... ქართველ ახალგაზრდებს მიღწევები აქვთ კომპიუტერული პროგრამების საერთაშორისო ოლიმპიადებზეც. ნიდერლანდებში წარმატებას მიაღწია თბილისის ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლიდან ნანა ლემონჯავამ. თურქმენეთში კომპიუტერულ პროგრამებში დემირელის სახელობის კოლეჯიდან ვერცხლის მედლები მოიპოვეს გიორგი მარიამიძემ და მიხეილ ამაშუკელმა. ხოლო ზუგდიდის პირველი სკოლის მოსწავლემ გიორგი შამუგიამ ბრინჯაოს მედალი (ნაკრების მწვრთნელები საშა ნემსაძე, ზაზა ჯღარკავა და ლელა მოსიაშვილი) დაიმსახურა. გიორგი მარიამიძესა და მიხეილ ამაშუკელს თბილისში ჩატარებულ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ასეთი ტიპის ოლიმპიადებზეც ოქროს მედლები გადაეცათ.

საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, ჯერ კიდევ 1993 წელს მიიღო მონაწილეობა 34-ე საერთაშორისო ოლიმპიადაში, რომელიც სტამბოლში გაიმართა. იმ წლიდან მოყოლებული საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ჯგუფი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადებში. საქართველოს ნაკრების წევრებმა მოიპოვეს ერთი ოქროს, 7 ვერცხლის, 28 ბრინჯაოს მედალი და 21 საპატიო სიგელი. 1999 წლიდან კი დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ხელშეწყობით საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაზე გამარჯვებული კვლევითი ხასიათის ნაშრომების ავტორებისაგან დგება, მონაწილეობს მათემატიკური პროექტების საერთაშორისო კონკურსებშიც. ეს კონკურსები ტრადიციულად ყაზახეთში იმართება. იქ ქართველი მოსწავლეები ყოველთვის წარმატებას აღწევენ.

ტრადიციულად საქართველოში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობას. ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ გარკვეული დროის განმავლობაში კომპიუტერული პროგრამების შექმნაზე, თავიანთ ნაშრომებს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ან ნორჩ პროგრამისტთა რესპუბლიკურ კონკურსებზე წარმოაჩენენ ხოლმე. სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ქართველ მოსწავლეებს კომპიუტერული პროგრამების საერთაშორისო ოლიმპიადებზე მონაწილეობის საშუალებაც მიეცათ და აქაც შეძლეს წარმატებების მიღწევა.

საერთაშორისო არენაზე გამარჯვებულ მათემატიკოს, პროგრამისტ მოსწავლეების შეხვედრაში ხალისი შეიტანა დიდმა კონცერტმა, რომელიც გამართა სასახლის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა „ყაზბეგმა“, ბიჭუნათა ვოკალურ ანსამბლ „ალიონმა“, ვოკალურმა ჯგუფმა და სხვებმა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ინფორმატიკის კაბინეტის (გამგე ლია შენგელია) თაოსნობით გამართულ ამ საინტერესო შეხვედრაში მონაწილეობდნენ პროფესორები ჰამლეტ მელაძე და მალხაზ შაშიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე.

დამოუკიდებელ საქართველოში მოსწავლეთა ნიჭიერებას ფართო გზა ეხსნება...

ნათელა ფაილოძე,
რიტა ჩაკვეტაძე.

⊙ სოფლის სატკივარი

რატომ ბორგავს და ფუთფუთებს შინდისი?

სწორად მოიქცა გორის რაიონის გამგებელი იოსებ მუმლაძე, როცა შინდისიდან თბილისში, სახელმწიფო კანცელარიაში საჩივლელად ჩასულ მოსახლეობას „ოპერატიული შეტყობინების“ საფუძველზე დაედევნა და დედაქალაქში ფეხდაფეხ ჩაჰყვა.

კანცელარიის წინ შეკრებილ შინდისელებს, ის იყო, ტრანსპარანტები უნდა გაეშალათ – მოგვხედეთ, ჩვენი ცოდვით მიწა იწვის, თქვენ რით ვერ მოგილბეთ გულიო, რომ იქ მისული გამგებელი შეპირდა, დაბრუნდით შინ, ხვალ გამგეობაში მობრძანდით, პირადად შეგხვდებით და თქვენს პრობლემებს მაქსიმალურად მოგიგვარებთო.

მაინც, რას ჩივიან შინდისელები? ამის ფესვები 90-იან წლებში უნდა ვეძებოთ. ეს ის დროა, როცა ქვეყანა დაინგრა, კომუნისტები გარეკეს, სახელმწიფო სტრუქტურებში ბევრი შემთხვევითი ხალხი მოვიდა, მიწების პრივატიზაციაც დაიწყო და ამ საქმეში ჩაუხედავმა, სამაგიეროდ ილლიაში „პაპკა“ ამოჩრილებმა საუკეთესო მიწები მიიტაცეს, ათობით ჰექტარი არენდის წესით გაიფორმეს, ან კანონის დარღვევით გაასხვისეს და ასობით ოჯახი (ე.წ. „დაბალი ღობე“) უმიწოდ და ულუკმაპუროდ დატოვეს. მას აქეთ არათუ ეს დარღვევები არ სწორდება, ძველს ახალი ემატება, მრუდდება და უკუღმართდება სამართალი.

... დაპირებისამებრ, მეორე დღესვე მიაკითხეს შინდისელებმა გამგეობას. გამგებელი ეტყობა, საქმის გამო სადღაც შეყოვნდა და ორი საათის დაგვიანებით ისიც შემოვიდა დარბაზში.

მომჩივანთა გამოსვლებს არც ემოციები აკლდა და არც აღელვება. თურმე, თამარ ხუციშვილის ოჯახს 1,25-ის ნაცვლად 0,40 ჰექტარი ფართობი უკავია, ნინო მთვარაძეს, ობოლი შვილიშვილის ერთადერთ გამზრდელს – 0,30 ფართობი აქვს, ლენა ბალუაშვილს – 0,55. ბოლო არ უჩანდა სოფლის სამდურავს. შვიდი შვილი ჰყავს ნაზო თვალიაშვილს, ხოლო ოჯახი ათსულიანია – მიწას კი არ აძლევენ. გამწარებული ქვრივი ადგა და გამგებელსა და მის მოადგილეებს ლექსად უთხრა სათქმელი:

„ხუთი წელია დავდივარ,
ფეხები დამელალაო,
გამგეობისა შენობის
ვერ გავისტუმრე ღალაო“.

დარბაზში კი ატყდა ტაში, მაგრამ ამით საქმეს ვერა ეშველა რა. „ხუთი წლისთავზე თუ ასეთი ლექსი დაგვიწერე, ათ წლისთავზე, იმედია, უკეთესს გვეტყვიო“, შეაქეს პრეზიდიუმიდან.

შეხვედრა თანდათან ნერვიული ატმოსფეროთი იმუხტებოდა. შინდისელები ხელისუფლებას უნიათობაში ადანაშაულებდნენ, ის, თავის მხრივ, წინა ხელისუფლებას სდებდა ბრალს (მახსოვს, თავის დროზე ის წინა ხელისუფლება რომ მოვიდა, მთელი ცოდვა და ბრალი თავის „წინა“ ხელისუფლებას გადაულოცა), გამგეობაში შეკრებილები კი თავისას ითხოვდნენ.

მოულოდნელად იოსებ მუმლაძე ადგა და წასასვლელად მოემზადა. შინდისელები წივილ-კივილით მისცვივდნენ – სად მიდიხარ, ძლივს მოგიყვანეთო. გამგებელმა სალოკი თითი კრძალვით ზევით აიშვირა – მეძახიან და მალე დავბრუნდებიო. „ზევით“ მართლა ეძახდნენ თუ არა, არავინ იცოდა, მაგრამ დაბრუნებით კი აღარ დაბრუნებულა.

ამასობაში შინდისელ გუგული სურმანიძეს გული შეუღონდა და ვიდრე სასწრაფო დახმარებაში გაარკვევდნენ, რა დაჯდებოდა ექიმების მოსვლა და სასიკვდილოდ გადადებული ქალის სამედიცინო მომსახურება, ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კრიტიკული გახდა. ბოლოს, ეტყობა, რაღაცაზე შეთანხმდნენ, რადგან სასწრაფო დახმარება მოვიდა, ცნობადაკარგულ ქალს ნემსი გაუკეთეს, აბები გადააყლაპეს და ამ სოფელში დააბრუნეს.

შინდისელები კი თავიანთ სოფელში წავიდნენ. დიდი იმედი, რომ ადგილობრივი ხელისუფლება რაიმეს იღონებს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, არა აქვთ. ამიტომ კვლავ სათბილისოდ ემზადებიან.

გურამ ბუკია
„სრ“ საკ. კორ.

დღეგრძელი ბრძანდებოდეთ!

ბატონი ირაკლი ოჩიაური 80 წლისაა! ბატონო ირაკლი, თქვენს მიერ განვლილი ეს გზა ზოგჯერ ფერადოვანი, ხალისიანი, ზოგჯერ უფერული, ტკივილიანი, მაგრამ ურყევი რწმენითა და სიკეთით სავსე იყო. თქვენ მუდამ ღრმა სიყვარულით ემსახურებით სამშობლოს კეთილდღეობას.

ბრწყინვალე მონუმენტებით, ფერწერითა და გრაფიკით ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეგაქვთ.

თქვენი შემოქმედება დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. უზომოა თქვენი დამსახურება ქართული ოქრომჭედლობის აღდგენა-განვითარების საქმეში. ასევე დიდია თქვენი ღვაწლი პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ყველაფრის დასტურია ის ჯილდოები და რეგალიები, რომლებიც თქვენ მაღალმხატვრული შემოქმედების გამო მოგენიჭათ.

ბატონო ირაკლი, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულითადად გილოცავთ ამ შესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს კვლავ ჩვენი ერისა და საქართველოს სადიდებლად.

ღმერთმა რჩეულთ მიანდო შემოქმედებითი ასპარეზი, რათა მომავალი თაობა წინაპართა ნააზრევს აზიაროს, ქართველს ქართველურად აუძგეროს გული და სამყაროს ახლებურ ჭვრეტაში დაეხმაროს.

თქვენ თქვენი შემოქმედებით, ცხოვრების წესით გამორჩეული ბრძანდებით რჩეულთა შორის. დღეგრძელი ბრძანდებოდეთ.

პატივისცემით
მერაბ ბერძენიშვილი.

⊙ ქართული ჭიდაობა

გმირის სახე – ფალავანთა მედლებზე

საქართველოს სხვადასხვა კუთხის 100-მდე სპორტსმენი ჩავიდა ქართულ ჭიდაობაში ჟიული შარტავას მესამე მემორიალურ ტურნირზე საასპარეზოდ ხობში. სამიდან ზედიზედ ორი ტურნირი სწორედ აქ გაიმართა. ხობთანაა დაკავშირებული საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას შრომითი საქმიანობა. ტურნირის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა შეჯიბრების დაწყებამდე გვირგვინებით შეამკეს ჟიული შარტავას ძეგლი მის მშობლიურ სენაკში.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ხობის“ პრეზიდენტის, პარლამენტარ გოდერძი ბუკიას და ჟიული შარტავას სახელობის ფონდის პრეზიდენტის რობერტ ღარიბაშვილის ძალისხმევით ბევრი კარგი საქმე კეთდება, მათ შორის – ქართულ ჭიდაობაში ჟიული შარტავას მემორიალური ტურნირის მოწყობა. წლეულს ამ ასპარეზობაში ბევრმა ცნობილმა მოჭიდავემ მოსინჯა ძალ-ღონე.

ასპარეზობის ორგანიზატორებს განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ იმისთვის, რომ კოლხეთის მიწაზე, ლეგენდარულ ნესტორ ესებუას მშობლიურ კუთხეში, ჩვენს ეროვნულ ჭიდაობას დამატებითი მუხტი შესძინა. სამეგრელოში და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში თუ ისეთივე პოპულარული იქნება ქართული ჭიდაობა როგორც აღმოსავლეთის რაიონებში, ამით მკვეთრად ამაღლდება საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში...

ტურნირზე დასამახსოვრებელი იყო ქუთაისელი ფალავანი ირაკლი ცირეკიძე (95 კგ), რომელიც, ჩვენი ვარაუდით, ახლო მომავალში წონად სიტყვას იტყვის დიდ ჭიდაობაშიც. რაც შეეხება გორელ ზვიად ბაზანდარაშვილს, მან ხობის ცენტრში, ღია საჭიდაო მოედანზე, ლამაზი ფანდებით მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები:

65 კგ. 1. ზვიად ბაზანდარაშვილი (გორი), 2. ვალერი გიგიბერია (ფოთი), 3. ალექსი ჩახუნაშვილი (სპორტის აკადემია).

75 კგ. 1. დავით ნადარაია (ხობი), 2. მამუკა სახვაძე (გორი), 3. გიორგი ზუბიტაშვილი (სპორტის აკადემია).

85 კგ. 1. ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი), 2. ბადრი გავაშელიშვილი (სპორტის აკადემია), 3. ლევან წიკლაური („შევარდენი“).

95 კგ. 1. ირაკლი ცირეკიძე (ქუთაისი), 2. მიხეილ ჩერქეზიშვილი (სპორტის აკადემია), 3. ლევან ტყემალაძე (ხობი).

+ 95 კგ. 1. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი), 2. გელა ბეჭვაია (ქუთაისი), სოსო ქანთარია (სპორტის აკადემია).

აბსოლუტურ ფალავნობაში, რომელშიც 10 მოჭიდავე გამოვიდა, ყველას აჯობა საქართველოს წლევანდელი ფალავნობის ფინალისტმა რუსთაველმა ზვიად ჩინჩალაძემ.

პრიზიორებს გადაეცათ მოოქროვილ-მოვერცხლილი მედლები ჟიული შარტავას გამოსახულებით, აგრეთვე ფულადი ჯილდოები, ფალავანს კი, რაღა თქმა უნდა, ჭედილაც ერგო.

ხობის ჟიული შარტავას სახელობის პირველი სკოლის სახელით თამუნა საბეკიამ სპეციალური პრიზი გადასცა 75 კგ-ში გამარჯვებულ დავით ნადარაიას, ხოლო საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნი „უკვდავება“ საჩუქრად მიიღო პირველ ტურნირში გამარჯვებულმა კასპელმა მიხეილ ჩერქეზიშვილმა. ეს წიგნი, რომელიც საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირებს ეძღვნება, ფალავანს წიგნის რედაქტორმა ნარგიზა ლომთაძემ გადასცა.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრებიც. პარლამენტართა სახელით ვალერი გელბახიანმა მაყურებელთა სიმპათიის პრიზი გადასცა გორელ ზვიად ბაზანდარაშვილს.

ტურნირის ორგანიზატორების – გოდერძი ბუკიასა და რობერტ ღარიბაშვილის თქმით, ჟიული შარტავას მემორიალი მომავალში საერთაშორისო შეჯიბრება უნდა გახდეს.

შთამბეჭდავი იყო ტურნირის დახურვის და დაჯილდოების ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები: გრიშა ქობალია, გუგე ცანავა, ვალერი იზორია, გოდერძი ბუკია, ვალერი გელბახიანი, ხობის გამგებელი დავით კუკავა, სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ძიუდოში, შიდა ქართლის სპორტის სამმართველოს უფროსი გიორგი თენაძე, ჟიული შარტავას სახელობის ფონდის პრეზიდენტი რობერტ ღარიბაშვილი, ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის აკადემიის კათედრის გამგე ნუგზარ გოგოლაური, ხობის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ანზორ სანიკიძე, სპორტის აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი დავით კვინიკაძე, ხობის მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს ხელმძღვანელი რალა ჩემია. დახურვის ზეიმზე საჩვენებელი გამოსვლა გამართა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდმა „გრაციამ“.

ჟიული შარტავას მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში საკმაოდ სერიოზული შეჯიბრებაა და ამ ტრადიციას, ვფიქრობთ, დავიწყება არ უწერია...

გაბრიელ ბარჯაძე,
ხობი.

სურათებზე: ჟიული შარტავას მესამე მემორიალურ ტურნირზე; რუსთაველი ზვიად ჩინჩალაძე.

ავტორის ფოტო.

⊙ ფეხბურთი



თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი.

საქართველო – დანიის მატჩს 17 ნოემბერს 25 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ეროვნული დროშებით „შეიარაღებული“ თბილისელებისა და მათი ემოციური მხარდაჭერის გარკვეულ შედეგად უნდა ჩავთვალოთ, რომ მატჩის დროს ორჯერ დაწინაურებულ სტუმრებს მასპინძლებმა ასევე ორი ლამაზი გოლით უპასუხეს.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

მხოლოდ შედეგები

„მუნდიალ – 2006“. შესარჩევი რაუნდი. ევროპა.

I ჯგუფი. სომხეთი – რუმინეთი 1:1, მაკედონია – ჩეხეთი 0:2, ანდორა – ჰოლანდია 0:3.

ჰოლანდია, რუმინეთი – 10-10, ფინეთი, ჩეხეთი – 9-9, მაკედონია – 4, ანდორა – 3, სომხეთი – 1 ქულა.

II ჯგუფი. საქართველო – დანია 2:2, თურქეთი – უკრაინა 0:3, საბერძნეთი – ყაზახეთი 3:1.

უკრაინა – 11, დანია, თურქეთი, ალბანეთი – 6-6, საბერძნეთი, საქართველო – 5-5, ყაზახეთი – 0 ქულა.

III ჯგუფი. რუსეთი – ესტონეთი 4:0, ლიხტენშტეინი – ლატვია 1:3, ლუქსემბურგი – პორტუგალია 0:5.

პორტუგალია – 13, სლოვაკეთი – 10, რუსეთი, ლატვია, ესტონეთი – 7-7, ლიხტენშტეინი – 4, ლუქსემბურგი – 0 ქულა.

IV ჯგუფი. კვიპროსი – ისრაელი 1:2.

ირლანდია, საფრანგეთი, ისრაელი – 8-8, შვეიცარია – 5, კვიპროსი, ფარერები – 1-1 ქულა.

VII ჯგუფი. ბელგია – სერბეთი 0:2, სან-მარინო – ლიტვა 0:1.

სერბეთი – 10, ლიტვა – 8, ესპანეთი – 5, ბოსნია – 2, ბელგია – 1, სან-მარინო – 0 ქულა.

VIII ჯგუფი. მალტა – უნგრეთი 0:2.

შვედეთი – 9, ბულგარეთი, ხორვატეთი – 7-7, უნგრეთი – 6, ისლანდია, მალტა – 1-1 ქულა.

სამხრეთ ამერიკა. ეკვადორი – ბრაზილია 1:0, არგენტინა – ვენესუელა 3:2.

ამხანაგური მატჩები: ესპანეთი – ინგლისი 1:0, გერმანია – კამერუნი 3:0, საფრანგეთი – პოლონეთი 0:0, იტალია – ფინეთი 1:0, შოტლანდია – შვედეთი 1:4, სლოვაკეთი – სლოვენია 0:0, სამხრეთ აფრიკა – ნიგერია 2:1, აზერბაიჯანი – ბულგარეთი 0:0, ალჟირი – სენეგალი 2:1.

⊙ მინიფეხბურთი

კოტე მახარაძის თასი – გორელებს

ზიზი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში ორი კვირა გრძელდებოდა ცნობილი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძის ხსოვნის თასის IV ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში.

სამ ასაკობრივ ჯგუფში 48 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის ორი – აზერბაიჯანიდან. ერთ-ერთმა – ბაქოს „ნეფთჩიმ“ 1992 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ფინალში გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. აქ მათი მეტოქე იყო ზუგდიდის „ოდიში“ (მწვრთნელი ვალერი გულორდავა), რომელმაც აღმავლობით წარმართა მატჩი და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით – 4:0. მესამე ადგილზე თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის ფეხბურთელები გავიდნენ.

ყოფილმა თბილისის დინამოელმა სერგო კოტრიკაძემ საუკეთესო მეკარის პრიზით „ოდიშის“ კაპიტანი ბაკურ საჯაია დააჯილდოვა. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და ამ ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა რევაზ მგელაძემ ბაქოს „ნაფთჩის“ მოთამაშეს ტურაი ისკანდეროვს საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადასცა. საუკეთესო მოთამაშედ ზუგდიდელი ნიკა ძალამიძე აღიარეს, მცველად – „საბურთალოს“ წევრი კოკა ბაქრაძე.

1991 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ფინალური მატჩი სენაკის „ტეხურას“ და „ავაზას“ შორის დამთავრდა ფრედ – 0:0, პენალტების სერიაში გაიმარჯვეს (4:3) სენაკელებმა (მწვრთნელი მურად კუპრეიშვილი). მესამე ადგილი თელავის „კახეთს“ ხვდა. ამ ასაკში საუკეთესო მეკარედ სენაკელი გოგიტა სოხაძე აღიარეს. „შევარდენის“ ფეხბურთელი იაკობ აფხაზავა ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად მიიჩნიეს. ოთარ მეუნარგიამ („ავაზა“) საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი დაიმსახურა.

კოტე მახარაძის გარდამავალი თასის ფინალურ მატჩში გორის „დილამ“ (მწვრთნელები – ლავრენტი ბოლოთაშვილი, ზვიად ანიაშვილი) სპორტის აკადემიის „დინამო“ დაამარცხა 2:1. გამარჯვებულებს მთავარი პრიზი ქართული თეატრისა და კინოს პოპულარულმა მსახიობმა, ქალბატონმა სოფიკო ჭიაურელმა გადასცა.

შალვა ქირია.

სურათებზე: სოფიკო ჭიაურელი აჯილდოებს გორის „დილას“ კაპიტანს; ზუგდიდის „ოდიშის“ ჭაბუკთა გუნდი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

⊙ ჭრელაჭრულა

ჩინეთი მეზობლებს შემოსწყრა

შეიძლება, ტაივანი არ დაუშვან 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც პეკინში უნდა გაიმართოს. საქმე ისაა, რომ ჩინეთი დღემდე არ მიიჩნევს ამ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

როგორც ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის საპატიო თავმჯდომარემ ხე ჩჟენლიანმა განაცხადა: „თუკი ტაივანის პრეზიდენტი – ჩენ ბუიბიანი აპირებს თავის ოლიმპიური კომიტეტის სახელი „ჩინეთის ტაიბეიდან“ შეცვალოს „ტაივანად“, მაშინ მას ამ ნაბიჯზე ორჯერ დაფიქრება მოუწევს“.

ეს კი ნიშნავს, რომ ტაივანმა ხელახლა უნდა გაიაროს ატესტაცია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. იგი აღიარებს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. როგორც ხემ თქვა, „ტაივანი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

ამავე დროს, ხე ჩჟენლიანი უშვებს ჩინეთ-ტაივანის ერთობლივი გუნდის შექმნის შესაძლებლობას პეკინის ოლიმპიადისთვის იმ შემთხვევისთვის, თუ ტაივანის ხელისუფალნი აღიარებენ, რომ ტაივანი ჩინეთის ნაწილია.

ამრიგად, ოლიმპიური თამაშები კვლავ ხდება პოლიტიკური თამაშების ინსტრუმენტი.

„კევალეჭია“ ჩემპიონები

მატჩების დროს „კევის“ ღეჭვა ბევრი ცნობილი სპორტსმენის ჩვევაა. დანიელი ფეხბურთელი ფლემინგ პოულსენი ან კანადელი ჰოკეისტი სტივ ლარმერი თამაშზე „საღეჭის“ გარეშე არ გადიოდნენ. ღეჭავდნენ და ღეჭავენ მწვრთნელებიც. როგორც ჩანს, ეს პროცესი მათზე დამამშვიდებლად მოქმედებს.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა, გაახსენდათ რა, რომ წლეულს ასი წელი სრულდება საღეჭი რეზინის გამომგონებლის ტომას ადამსის გარდაცვალებიდან, გამოიკვლიეს თუ ვინ ითვლება ყველაზე „ღეჭია“ მწვრთნელად ინგლისის პრემიერ-ლიგაში. აღმოჩნდა ამ წოდების სამი აშკარა პრეტენდენტი – „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი, „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი და „ბოლტონის“ დამრიგებელი სემ ალარდაისი.

თუ პრემიერ-ლიგის სხვა მწვრთნელები მატჩის განმავლობაში დროგამოშვებით „იცოხნებიან“, ეს სამეული შეუსვენებლად ამუშავებს ყბებს მთელი 90 წუთის განმავლობაშიც და ზოგჯერ – მსაჯის მიერ დანიშნულ დამატებით დროშიც. ამასთან, ინგლისელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ არსენ ვენგერი რაღაც განსაკუთრებულად ღეჭავს – „ფრანგულად, ელეგანტურად“, ამიტომაც ხომ არ ითვლება „არსენალი“ ინგლისის საუკეთესო გუნდად? თუ ჩემპიონობაა – აქაც ჩემპიონი იყოს.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სემინარის მონაწილენი.
1978 წელი.

სურათი მოგვაწოდა ზურაბ ქუქუნაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

გიხაროდენ!

ლინა საინგილოში ბიჭს ჩაიყვანს

როცა დედაქალაქს სძინავს, სამშობიარო სახლის მედპერსონალი ფხიზლობს, ყოველ წუთს ახალი სიცოცხლის დაბადებას ელოდება. მეორე დილით კი ჩვილის ახლობლები რედაქციაში გვიკავშირდებიან, ასევე სამშობიარო სახლების მორიგე ექიმები თუ მედდებიც. ასე იყო გუშინაც, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის (ყოფილი № 3) სამშობიარო სახლიდან უფროსმა მედდამ ეთერ ტიტვინიძემ გვაცნობა:

– პირველი ნოემბრიდან 17-ის ჩათვლით ჩვენთან 60 ბავშვი დაიბადა. ყველა ჯანსაღი გაეწერა. მოსამშობიარებლად თბილისში ჩამოვიდა საინგილოს კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს მკვიდრი 22 წლის ლინა ხინაშვილი, მას მეორე შვილი ბიჭი შეეძინა, კასპიდან ჩამოსულ თამარ ბახტაძე-ლონგურაშვილსა და ყვარლიდან შორენა რევაზიშვილს პირველი შვილი გოგოები ეყოლათ, დანარჩენი თბილისელებია. დედების უმრავლესობა 22-23 წლისანი არიან და ახალგაზრდა ოჯახებიდან არიან.

საპატრიარქოს ამ სამშობიარო სახლის მთავარმა ექიმმა **გიორგი ჯავახიშვილმა** კი დაუმატა:

– ჩვენთან მშობიარობა უფასოა. ყველა პალატა დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს აკმაყოფილებს. მოწესრიგებულია ზამთარში გათბობის სისტემაც. ჩვენ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში ვართ და ყველაზე გაჭირვებულ ფენას ვემსახურებით.

ნათელა ფაილოძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

– ეს რა დანგრეული ხარ, ბიჭო, რა მოგივიდა?

– რა ვიცი, გუშინ გზაჯვარედინზეკვეთრად მივუხვიე...

– მერე რა?

– რა და ის, რომ იქ თურმე არც გზაჯვარედინი ყოფილა და არც – მოსახვევი!

* * *

– რატომ გერხუბებოდა გუშინ ცოლი?

– ბიბლიოთეკის გამო.

– რაო, ბიბლიოთეკაში იყავი?

– ჰო.

– მერე ამისთვის რად გერხუბა?

– სამკითხველო დარბაზში ტრუსები დამრჩენია.

* * *

სული ანანასისა და შამპანურისკენ მიიწევს, ხელი კი ჯიუტად ეტანება არყის ჭიქას.

* * *

ეშაფოტზე აყვანილი სიკვდილმისჯილი ჯალათს ამუნათებს:

– შეხედეთ თქვენს ნაჯახს! იგი ხომ დაჟანგულია! თქვენ რა, გინდათ, რომ სისხლის მოწამვლით დავიღუპო?

* * *

ქმარმა ცოლს საწოლში საყვარელთან ერთად წაასწრო.

– რას აკეთებს ეს კაცი ჩვენს საძინებელში?

– სასწაულებს, – მინაზებული ხმით უპასუხებს ცოლი.

* * *

ნებისმიერი წინასაარჩევნო კამპანია ტრენაჟორზე სირბილს ჰგავს. და მასში გამარჯვებული, ფიგურული სრიალის მსგავსად, შესრულების ტექნიკისა და არტისტულობისთვის მოპოვებული ბალების ჯამით გამოვლინდება.

* * *

ტროპიკები. კუ პალმაზე ასვლას ცდილობს. აცოცდება, აცოცდება და ხტება. მთლად დალილავებული კვლავ მიცოცავს ზევით და ისევ ხტება. ამ საცოდაობას ორი თუთიყუში უყურებს.

– ძვირფასო, იქნებ ვუთხრათ ჩვენს ბავშვს, რომ იგი ნაშვილებია? – ეუბნება ერთი მეორეს.

კროსვორდი



შვეულად:

1. მჭრელი იარაღის არამჭრელი მხარე; 2. ქალაქი საფრანგეთში; 3. გადამდნარი კარაქი; 4. თევზის წვრილი ძვალი; 7. სეპარატიზმის მომხრე; 8. კელტური ტომების სახალხო მგოსან-მომღერალი; 9. დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი. 11. ცალკული პიროვნების ხელშეუხებლობა, მასზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობა; 13. იგივეა, რაც ბრავო, ოღონდ უფრო დიდი აღტაცებით; 14. ქალაქი ესპანეთში; 15. ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს; 18. ერთ-ერთი ცნობილი ფირმა საქართველოში; 22. ხრიკი, ილეთი ანუ...; 27. თიხის მოზრდილი ცალყურა დაბალყელიანი და ფართოპირიანი ჭურჭელი; 28. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 30. ნიავი ანუ...; 31. არე ტანსაცმლის ქვეშ გულმკერდთან.

თარაზულად:

2. ზიანის, ზარალის მომტანი; 5. სათამაშო კოჭის ზედა, ოდნავ ამოღრუებული მხარე; 6. ღრმა ორმო; 10. წყლის დიდი ფრინველი, აქვს გრძელი მოღერებული ყელი; 12. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია; 13. დატკეპნილი, მიწის ბრტყელი სახურავი; 16. ყურის ბიბილოზე გასაკეთებელი სამკაული; 17. კაცის სახელი; 19. ოსეთის ძველი სახელწოდება; 20. სულელი, ყეყეჩი, რეგვენი; 21. ცნობილი ბელგიელი ველომრბოლელი, „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებული; 23. ციხე-კოშკი, რომლის ქვედა ნაწილი გამოყენებულია საპყრობილედ; 24. სოფელი კახეთში, სიღნაღის რაიონში; 25. უშფოთველი ცხოვრება; 26. ცხენებით სატარებელი მსუბუქი ოთხთვალა; 27. მუსულმანებში – მსუბუქი გრძელი მოსასხამი, რომელიც ქალის სახეს ფარავს; 29. მიწაში ამოთხრილი ამოღრმავებული ადგილი; 32. პიპინიას ძაღლის სახელი; 33. მდგომარეობა, ყოფა, პირობები; 34. კვარცის ნაირსახეობა, ძვირფასი ქვა მოწითალო ან ჭრელი ფერის.

14 ნოემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. შრატი; 4. პარტიზანი; 6. ბეი; 8. ორკესტრიონი; 9. გზა; 11. პრერია; 13. ტრამვაი; 15. კლანჭი; 18. სტავროპოლი; 19. იმპორტიორი; 21. ამიმია; 22. ისრაელი; 23. სირენა; 26. სია; 27. ილუზიონიზმი; 28. ვაი.

შვეულად: 1. პალიასტომი; 2. შერი; 3. არაო; 4. პუდრი; 5. იოანე; 7. ედელვაისი; 10. ზონდირება; 12. ილორი; 13. ტალკი; 14. რაზმი; 16. ლერწი; 17. იორღა; 20. ბაროკამერა; 24. პლედი; 25. ომსკი; 29. ელბა; 30. აზია.

მხარე

ტვირთმა როკის გვირაბიდან „გამოყონა"

როკის გვირაბიდან კონტრაბანდული ტვირთები კვლავ შემოდის.

ახლა ისეთი ინტენსივობით აღარ, როგორც ადრე, როცა კონტრაბანდა ნიაღვარივით მოვარდებოდა და ლამის წალეკა საქართველოს ეკონომიკა. არა, დღეს უფრო მოწანწკარებს, მაგრამ ხომ მოწანწკარებს?

ერთხელ პრეზიდენტმა ბრძანა, როკის გვირაბს ჩვენ არ გავაღებთ, დავწვებით და, კონტრაბანდულ ტვირთებს არ გავატარებთო. ეს სიტყვები თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაითავისოს, თორემ თუნდაც ერთი მოღალატე და ორგული რომ გამოგვერიოს, ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენებისთვის მიმართული მთელი ეს ძალისხმევა წყალში გადაიყრება.

მაშ, ასე: როკის გვირაბიდან კონტრაბანდული ტვირთები კვლავ შემოდის.

...სისხამ დილით შიდა ქართლის მხარის ფინანსური პოლიციის თანამშრომლები სოფელ ქვენადკოცაში (ქარელის რაიონი) გელა ცისკიძის ეზოკარს მიადგნენ. სახლობას ეძინა. სამაგიეროდ ფხიზლობდა გელას ძაღლი, ავად უყეფდა მოსულთ. საფინანსო პოლიციის ოპერატიული მუშაკი თემო ზაუტაშვილი ეზოში შევიდა და თავისი ჯგუფიც შეიყვანა. სახლის პატრონი გააღვიძეს და სარდაფის გაღება მოსთხოვეს. სულო და გულო, რაღა არ დახვდათ იქ! ნაირნაირი კვებისა და სამრეწველო პროდუქტები – ერთმა დიდმა საბარგო ავტომანქანამაც ვერ დაიტია 20 ათას ლარამდე ღირებულების საქონელი.

ჯერჯერობით პოლიციამ ის იცის, რომ მთელი ეს კონტრაბანდული ტვირთი როკის გვირაბიდანაა გამოსული.

გურამ პავლიაშვილი,
„სრ" საკ. კორ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ჰორიზონტს იქით

პატარა, მაგრამ ღორმუცელა

ინდონეზიაში კაცობრიობის გადაგვარების ნიშნებს მიაგნეს

გამოქვაბულში, ინდონეზიის კუნძულ ფლორესზე, ნაპოვნია გონიერი ადამიანის ყველა ნიშნის მქონე, ერთი მეტრი სიმაღლის ქალის ჩონჩხი. მისი ასაკი, ასე, 18 ათასი წელია. ყველა საინფორმაციო სააგენტოს მიერ ტირაჟირებული ეს ახალი ამბავი ეგებ ბოლო ასწლეულის ანთროპოლოგიური მეცნიერების მთავარ სენსაციად იქცეს.

შეტყობინებაზე პირველი რეაქცია ასეთი იყო: დიდი რამე, თუ ლილიპუტი ამოთხარეს, უფრო პატარებიც შეგვხვედრია – დედამიწაზე ხომ 50-სანტიმეტრიანი კაცუნებიც ცხოვრობდნენ. გათხრების ხელმძღვანელი, ავსტრალიელი ანთროპოლოგი პიტერ ბრაუნი ირწმუნება, რომ ძველი ადამიანის ჩონჩხის გარშემო ნაპოვნია კიდევ შვიდი ასეთივე პატარა სხეულის ფრაგმენტები. მთელი ოჯახია, თუ მთელი ტომი არა!

ავსტრალიელმა პროფესორმა რიჩარდ რობერტმა მსოფლიოს უჩვენა გრეიპფრუტის მსგავსი, მრგვალი ფორმის ნაპოვნი თავის ქალა. ინდონეზიურ ჯუჯა ქალს მონადირეთა ტომის ინტელექტუალური მანდილოსნის სულაც სანდომიანი თავი აქვს. ის, რომ ჯუჯები მონადირენი იყვნენ, უეჭველია: გამოქვაბულში მიგნებულია ასევე კუნძულ ფლორესზე მობინადრე მინიატურული სპილოებისა და გიგანტური ვირთხების ნაშთები და შრომის ქვის იარაღები. გამოდის, რომ ჯუჯები ამ ძუძუმწოვრებს შეექცეოდნენ.

ავსტრალიელ სწავლულთა ნაპოვნის კომენტირება ალექსანდრე ბელოვს სთხოვეს, პოპულარული წიგნის „ანთროპოლოგიური დეტექტივის" ავტორს:

– მკაცრად თუ მივუდგებით, ეს უთუოდ საინტერესო მონაპოვარი არც ისეთი გაუგონარი სენსაციაა. ადრეც მიუგნიათ საკმაოდ დაბალი ადამიანების ნაშთებისთვის, მაგალითად, კავკასიაში.

სამხრეთ აფრიკაში დღესაც მცხოვრები პიგმეები შეიძლება შევადაროთ ინდონეზიის კარლიკებს: მამაკაცები 1,2 მეტრს აღწევენ, ქალები – 1,05 მეტრს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მათი წინაპრები ევროპიდან, ან წინა აზიიდან მოვიდნენ.

სავსებით სარწმუნოა ინდონეზიაში ჯუჯათა გამოჩენის სხვა გზაც. იაპონელმა სწავლულებმა დაამტკიცეს: 15 ათასი წლის წინათ მსოფლიო ოკეანის დონე მკვეთრად, 150 მეტრით ამაღლდა. დონის აწევამდე ინდონეზიის არქიპელაგის ადგილას სამხრეთ ჩინეთისა და ავსტრალიის გამაერთიანებელი ვრცელი კონტინენტი იყო. წყლის აწევის შემდეგ მაშინდელი პოპულაციის ნაწილი შეიძლებოდა კუნძულებზე იზოლაციაში აღმოჩენილიყო და ახლონათესაური შეჯვარების გამო გადაგვარება დაეწყო.

რა გამოდის – კაცობრიობა ნელა, მაგრამ განუხრელად ადგას დეგრადირების გზას? გადაგვარების ძირითადი ნიშანი ხომ დაპატარავებაა. ფლორესის კუნძულზე ნაპოვნი კარგად ადასტურებს ინვოლუციის ჰიპოთეზას – homo sapiens-ის სახეობის თანდათანობით გადაგვარებისა.

MK

კრიმინალი

დააკავეს საგადასახადოს ინსპექტორები

ვაკე-საბურთალოს რაიონის საგადასახადო ადმინისტრაციის ორი ინსპექტორი – თედო შუბითიძე და ჯამბულ გოგუა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

როგორც გუშინ ჟურნალისტებს უშიშროების მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ განუცხადა, შუბითიძე და გოგუა საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ვაკე-ფშაველას გამზირზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. მათ თან ჰქონდათ ერთ-ერთი მეწარმისგან ქრთამის სახით გამოძალული, წინასწარ დანომრილი 400 ლარი.

შუბითიძესა და გოგუაძეს დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ქუთელიას თქმით, არსებობს მათ მიერ ქრთამის აღების ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა.

ინტერ-პრესი.

შენიშვნების პასუხად

იმედი გვაქვს, სამომავლოდ უარს არ გვეტყვის...

2 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ქალბატონ ქეთევან თავდიშვილის წერილი „შენიშვნები საგამოცდო ტესტის ნიმუშზე", რომელიც, როგორც თვითონ ავტორი წერს, „ნაკარნახევია ტესტის შემდგომი დახვეწისა და საქმის გამოსწორების წადილით". ვფიქრობთ, არ შეიძლება ასეთი კეთილი მიზნებით შექმნილი ტესტი უყურადღებოდ დავტოვოთ და არ გამოვეხმაუროთ.

ქალბატონ ქეთევან თავდიშვილის აზრით, შეკითხვა – „რომელი ქართველი პოეტია ლექსში („მთაწმინდის მთვარე") დასახელებული?" – დამაბნეველი და ორაზროვანია. იგი გვიხსნის, რომ „ხსენებულ შედევრში ავტორი ასახელებს **არა ერთ ქართველ პოეტს, არამედ – ორს**". ქალბატონ ქეთევანს რომ შეფასების სქემის ნახვის საშუალება ჰქონოდა (სამწუხაროდ, ჩვენი კრებულის გამოცემა დაგვიანდა) აღმოაჩენდა, რომ ეს ჩვენც გვცოდნია, რადგან იქ წერია: „ლექსში დასახელებულია ბარათაშვილი (*დასაშვებია აგრეთვე* – აკაკი წერეთელი)"; ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ აბიტურიენტი ქულას მიიღებს ორივე შემთხვევაში (და, ცხადია, იმ შემთხვევაშიც, თუ ორივე პოეტს დაასახელებს).

ქ. თავდიშვილი ჩვენი ტესტის განხილვამდე რატომღაც იმოწმებს ყოვლად უვარგის ნიმუშს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოყენებული ერთი ტესტიდან. არაკორექტულია ჩვენი ჯგუფის მიერ მომზადებული ტესტური დავალებების განხილვა იმგვარი კითხვების კონტექსტში, რომლებსაც ჩვენ თვითონ ვაკრიტიკებდით („ახალი განათლების" მკითხველს კარგად მოხსენება).

ერთ კითხვასთან დაკავშირებით ქალბატონი ქეთევანი შენიშნავს: „პასუხის ა,ბ, გ და დ ვარიანტებში ყველგან წერია „ვაჟამ". ესეც უხეში შეცდომაა. ქართულ მწერლობაში ამ სახელის ავტორი არ არსებობს. არსებობს მწერალი ლუკა რაზიკაშვილი, რომელსაც აქვს ფსევდონიმი **ვაჟა-ფშაველა** და ეგ ფსევდონიმი არ შეიძლება გაიხლიჩოს, გაიყოს". დავანებოთ თავი იმას, რომ ეს შენიშვნა ღიმილს იწვევს და გალაკტიონის ცნობილი სტრიქონები – „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და..." – თურმე შეცდომა ყოფილა! დავანებოთ თავი იმასაც, რომ ქართველ ხალხს ვერავინ დაუკანონებს მზა კლიშეებს, როგორ უნდა მოიხსენიოს მან თავისი საყვარელი პოეტი. მაგრამ, ვთქვათ, მართალაც ასეა, მერე? სად წერია ჩვენს კითხვაში, რომ მწერალ ვაჟა-ფშაველაზეა საუბარი? იქნებ საკუთარი სახელის „ვაჟას" ცალკე ხსენება საერთოდ არ შეიძლება? თუ ამაზე უფრო სერიოზული და საკამათო ჩვენ ტესტში არაფერია, მაშინ კარგად ყოფილა საქმე.

ასევე ღიმილის მომგვრელია შენიშვნა: „რა როლს თამაშობს პიტიახშის კარზე" – არ შეიძლება და უნდა იყოს „რა როლს ასრულებს", მსახიობის ასოციაცია რომ არ გაუჩნდეს აბიტურიენტსო. მსახიობი როლს არ ასრულებს? სიტყვა „ასრულებს" რომ გამოგვეყენებინა, არავითარ შემთხვევაში არ გაჩნდებოდა მსახიობის ასოციაცია? განა არ შეიძლება, პერსონაჟი როლს თამაშობდეს? სპარსი კაცი არაფერს თამაშობს? ცოტა გაუგებარია, რაზე ვდავობთ.

იმ ქვეყნად რომ ერთად გვიწერია, ამის გამო წერილის ავტორი ორთოგრაფიულ ლექსიკონზე მიგვითითებს, სადაც, სხვათა შორის, **ამქვეყნად** ერთად წერია და **იმ ქვეყნად** – ცალ-ცალკე. ეს ტესტის პრობლემაა, თუ ორთოგრაფიული ლექსიკონის?

მე მგონი, ანალოგიურია შემდეგი შენიშვნაც: არ შეიძლება დავწეროთ პოემაში „*ვეფხის-მასპინძელი*" და აუცილებლად უნდა იყოს: პოემა „*სტუმარ-მასპინძელში*". ვერავინ დამარწმუნებს, რომ კარგი ქართულია მოთხრობა „*კაცია-ადამიანში?!*", ლექს „*მერანში*" და ცუდი ქართულია მოთხრობაში „*კაცია-ადამიანი?!*", ლექსში „*მერანი*". სხვათა შორის, ყველა არ ეთანხმება ასეთ კატეგორიულ მტკიცებას და ზოგ ენათმეცნიერს ეს დებულება სადავოდაც მიაჩნია (მაგალითად, აკაკი შანიძეს), სხვები იმასაც კი თვლიან, რომ ორივე ფორმა დასაშვებია და აქ შეცდომას ტყუილად ვეძებთ.

ზედმეტად კატეგორიული მგონია იმის მოთხოვნა, რომ არ შეიძლება უბრჭყალებოდ ვიხმაროთ ცეკვის სახელი *ლეკური* წინადადებაში: „იმ დღემდე ლეკური ფეხების პარტყუნი მეგონა და ხელების..." ქალბატონი ქეთევანის აზრით, საერთოდ დაუშვებელია ასეთი რამის დაწერა: „აჭარლები ხორუმს კარგაც ცეკვავენ". აქ თურმე აუცილებლად ბრჭყალები უნდა იყოს. ვითომ? ძალიან საეჭვოა (გავიხსენოთ, თუნდაც, ეკატერინე გაბაშვილის „თინას ლეკური"). პირადად მე, ის დაწერილობა უფრო მეხამუშება, რასაც ქალბატონი ქეთევანი გვთავაზობს: „*შენიშვნები... ნიმუშზე*", „*ტესტის ნიმუში ქართულ ენა-ლიტერატურაში*". ეს უზადო ქართულია?

ალბათ, ქალბატონ ქეთევანს ჰგონია, რომ ჩვენც ისე ვმუშაობთ, როგორც აქამდე იყო მიღებული: ორი კაცი შეიკეტებოდა ოთახში და დაწერდა საგამოცდო „ტესტს". საგამოცდო ტესტიცა და სანიმუშო დავალებებიც სხვაგვარად იქმნება – ათეულობით პედაგოგის მონაწილეობისა და კონსულტაციების შედეგად (ისინი კვირაში ორჯერ მოდიან ჩვენს ცენტრში და სრულიად უსასყიდლოდ გვეხმარებიან). სხვათა შორის, განსახილველი სანიმუშო ტესტი შეტანილია კრებულში, რომლის სარედაქციო კოლეგიაშიც არიან: გიორგი ალიბეგაშვილი, ავთანდილ არაბული, ელენე ბაბუნაშვილი, ამირან გომართელი, რევაზ სირაძე, გრივერ ფარულავა, მზექალა შანიძე და ბელა წიფურია. ვსარგებლობ შემთხვევით და საგანგებო მადლობას მოვახსენებ მათ ჩვენი კრებულის რედაქტირებისა და საგულისხმო შენიშვნებისთვის. მხოლოდ მათი პრინციპული თანხმობის შედეგად ჩავთვალეთ დასაშვებად სანიმუშო მაგალითების გამოქვეყნება. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის წევრებს მუდმივად ეხმარება (სრულიად უსასყიდლოდ) საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც თხუთმეტი წევრია (დამსახურებული მეცნიერები და პედაგოგები). ასე რომ, მხოლოდ ჩვენს კომპეტენციასა და გემოვნებაზე არ არის მინდობილი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმწიფო გამოცდის ბედი.

მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ტესტის ნიმუშში კორექტურებიც გაიპარა და ორიოდე უმნიშვნელო უზუსტობაც. მაგალითად, სამართლიანია შენიშვნა, რომ „პირველი **ან** კავშირის წინ მძიმე არ იწერება", „დაანახა" მცდარი ფორმაა და უნდა ეწეროს „დაანახვა". ეს შეცდომები კრებულში გასწორებულია.

დიდ მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ქეთევანს გაწეული შრომისათვის, თუმც, ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო იქნებოდა ასეთი კვალიფიციური სპეციალისტის აზრი მთელი ტესტის შედგენილობაზე, წერითი დავალებების თავისებურებებზე და ყველა იმ სიახლეზე, ახალი ტიპის გამოცდა რომ სთავაზობს საზოგადოებას. იმედი გვაქვს, ქ. თავდიშვილი უარს არ გვეტყვის, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ცენტრში გამართულ შეხვედრებსა და დისკუსიებში და მომავალშიც მოგვაწვდის თავის შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

კახა ჯამბურია,
შეფასების ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი.

ხსოვნა

სოსო კალანდაძე

ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დეაწლმოსილი მსახიობი სოსო კალანდაძე.

ხანგრძლივი და საინტერესოა ს. კალანდაძის მიერ ქართულ თეატრში განვლილი გზა. 65 წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა იგი საყვარელ საქმეს, ეროვნულ სასცენო ხელოვნებას, ჯერ მოზარდ მაყურებელთა, შემდეგ რუსთაველის, უკანასკნელი რამდენიმე ათეული წელი კი სოხუმის ქართულ თეატრში. მის მიერ შექმნილი სცენური სახეებიდან მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა – ოსმან აღა („სურამის ციხე"), ფეიქარ ხანი („ბაში აჩუკი"), ანდრო („ანდრო"), მერკუციო („რომეო და ჯულიეტა"), მგელი („წითელქუდა"), მათია („ხევისბერი გოჩა"), დურმიშხანი („სურამის ციხე"), დონ-ჟუანი („დიდი აურზაური"), ჩარლზი („ჭორიკანობის სკოლა"), კოხტაია („მარინე"), ტიტიკო („ახალგაზრდა მასწავლებელი"), კასიო („ოტელო"), ილინსკი („ბარათაშვილი"), ლევანი („ტარიელ გოლუა"), მაურისიო („ხეები ზეზეურად კვდებიან"), მაქსი („მეექვსე სართული"), მანუჩა („მაია წყნეთელი"), მამლუქი („მამლუქი"), ხავთასი („როცა ქალაქს სძინავს"), მღვდელი (ბათა ქექია"), მედოვსკი („კიკვიძე"), კილგა („ჰაკი აძბა"), გაბრო („გლახის ნაამბობი"), ისიდორე („საბრალდებო დასკვნა") და მრავალი სხვა, ნიჭითა და მაღალი პროფესიონალიზმით აღბეჭდილი როლი.

ს. კალანდაძის მთელი ცხოვრება თეატრში საქმის უზომო სიყვარულის, შრომისმოყვარეობის, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობისა და მაღალი პროფესიონალიზმის ნათელი მაგალითია.

კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

გრიგოლ და თინა ბოკუჩავები სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს ვასილ ჩალაძეს მეუღლის
თამარ ვაშაძე-ჩალაძის
გარდაცვალების გამო.

სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი
სოსო კალანდაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო სამძიმარს უცხადებს თბილისის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ვასილ ჩალაძეს მეუღლის
თამარ ჩალაძის
გარდაცვალების გამო.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika